PRIME Time

N42 (343), ორშაბათი 26 ოქტომბერი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს უსუფაშვილის დაცვას სკანდალურ კომპრომატებთან

რა მასალები წაიღო პარლამენტის თავმჯდომარის პირადი დაცვის წევრმა ოდესაში

SCANDAL

სოსო ცისკარიშვილი: „დიდი ალბათობით, შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის წერილის ავტორები ნაციონალები არიან“

ეკა ბესელია პროკურატურაში გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტებს აგზავნის

TOP SECRET

საქმეში მოქმედი მაღალჩინოსნებიც მოხვდნენ

„სცემეს მისი მეუღლე, იარაღის ლულას უდებდნენ პირში და „ტვინის გასხმევინებით“ ემუქრებოდნენ. ასევე, ემუქრებოდნენ მის თვალწინ მეუღლის გაუპატიურებით“

EXCLUSIVE

ჭაშნაგირი CHASHNAGIRI

გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ მორიგი უპრეცედენტო აქცია

PRIME Time

ექსკლუზივი

AXIS TOWERS

„აქსის თაუერსი“ ტყუპი ცათამბჯენი თბილისში

EXCLUSIVE

როგორ დავიცვათ თავი ჰაკერებისგან?

ინტერვიუ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

მკერდის პლასტიკის თანამედროვე მიდგომები „კარაპს მედლაინში“

სამი წელი ოპოზიციაში, სამი შეთქმულების თეორია და ორი სისხლის სამართლის საქმე

„ნაციონალები არ დაკმაყოფილდებიან მოკლე გამოსვლებით. ყველანაირი სცენარი სისხლიანი გაგრძელებისკენ მიდის...“

„სააკაშვილს ისეთები უკეთებია საქართველოში, არც ახლაა გამორიცხული, ვინმეს მოკვლას გეგმავდეს სიტუაციის უფრო მეტად დასაძაბად“

„ნაციონალური მოძრაობის“ სკანდალური გეგმები

- **2013 წლის** შემოდგომა – გადატრიალება სამეგრელოდან
- **2014 წლის** შემოდგომა – მაიდანის მოწყობა
- **2015 წლის** შემოდგომა – სისხლიანი გადატრიალება?

ვინ მიითვისა ავღანეთში დაჭრილი სამხედროების კუთვნილი მილიონ-ნახევარი?

EXCLUSIVE

„წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში რამდენი თანხა მოტეხეს ჩვენი არსებობის ხარჯზე... ჩვენი გათვლით, ეს თანხა მილიონ-ნახევარს აღემატება...“

ახალი სკანდალი „რუსთავი 2“-ის მეწილეებს შორის

„ნიკა გვარამიას ბრალდებებისთვის მოვიცლი და პასუხს ვაგებინებ“

ექსკლუზიური ინტერვიუ ტელეარხის ერთ-ერთ მეწილესთან ნინო ნიჟარაძესთან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ ნადირაძე

სამი წელი ხელისუფლებაში და გადატრიალების უკვე მესამე მცდელობა... ყოველ შემთხვევაში ასე გვიჩვენებს ზედაპირული სტატისტიკა და მოვლენათა თანმიმდევრობაც ერთ ხელწერაზე მიუთითებს. თუმცა ხელწერის ავტორის ძიებამ შესაძლოა, დიდი დაბნეულობა გამოიწვიოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ლოგიკა გამორიცხვის მეთოდზე არ იგება. შანსების ალბათობა თანაბარია.

სამი წელი ხელისუფლებაში და სამი ცხელი შემოდგომა გადატრიალების მოლოდინით

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინაც იყო მითქმა-მოთქმა, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად არ წავიდოდა. მაშინდელი ვერსიების მიხედვით, საპრეზიდენტო ვადის მიწურულს მიშამ უამრავი კრიმინალი შეიწყალა. სწორედ მათ თავისუფლებაზე აკეთებდნენ გათვლას ექსპერტები, როდესაც მოსალოდნელ გადატრიალებას აანონსებდნენ, რომელიც სამეგრელოდან უნდა დაწყებულიყო და მას სააკაშვილისგან საპრეზიდენტო ვადის მიწურულს შეწყალებული თენგიზ გუნავა უნდა ჩასდგომოდა სათავეში... ხელისუფლებისთვის ამ საფრთხის მოსაგერიებელ იარაღად პროკურატურა იქცა, თუმცა დააგვიანა, ვინაიდან სანამ სამართალდამცველები მის მიმართ აღძრული საქმეების სიას დააანონსებდნენ, სააკაშვილმა ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის სტატუსით დატოვა საქართველოს საზღვრები და ათასობით კილომეტრის დისტანციიდან დაიწყო მუშტების ქნევა...

გავიარეთ 2014 წლის შემოდგომაც და ისევ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მოლოდინით. მაშინ ეს საფრთხეები არასამთავრობოებისგან გახმოვანდა. უფლებადამცველი ნიკა მემანიშვილის პროგნოზებით: „ნაციონალური მოძრაობა“ მინიმუმ მილიარდი ლარის დახარჯვას გეგმავდა სახელმწიფო გადატრიალების სისრულეში მოსაყვანად: „ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნის ზონდერჯგუფებს, საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე... უშუალო მითითებები მიიღეს სააკაშვილთან შეხვედრაზე, სარფში. ამის შემდეგ აღნიშნული საქმე ჩაიბარა გიორგი ვაშაძემ. „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს, ძალიან დიდი ფული დახარჯოს და სახელმწი- ფო გადატრიალება მოახდინოს... ნაციონალების ხელშია რამდენიმე მილიარდი ლარი და ამ თანხებს გამოიყენებენ იმისთვის, რომ, რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში... მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს დაჯგუფებების შექმნა, განსაკუთრებით შემოდგომაზე აპირებენ გააქტიურებას. თითოეულ დაჯგუფებას ეყოლება სამი ხელმძღვანელი. თითოეული მათგანი გადაინაწილებს ფუნქციებს. თითოეულ დაჯგუფებაში ეყოლებათ ათობით ადამიანი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, წავიდნენ ნებისმიერ პროვოკაციასა და საქმეზე...“ – დაახლოებით ასე გამოიყურებოდა ნიკა მემანიშვილის მიერ გაშიფრული ნაციონალური რევანშის სქემა.

მოგვიანებით შს მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემაც „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში დაადასტურა შესაძლო გადატრიალების მცდელობა.

ოქტომბერმა მშვიდობით ჩაიარა და დაანონსებულმა გადატრიალებამ ნოემბრისთვის გადაინაცვლა. აქ უკვე სცენაზე „თავისუფალი თაობის“ ლიდერი, ლადო სადღობელაშვილი შემოდის. პათოსი და შინაარსი უცვლელია, მხოლოდ გადატრიალების ორგანიზების ადგილია სხვა – ბაქო... თუმცა ნაციონალების 15 ნოემბრის აქციამაც მშვიდობიანად ჩაიარა და გასული წლის მოლოდინმა სახელმწიფო გადატრიალებაზე მომავალ, ანუ ამ წლის, შემოდგომამდე გადაინაცვლა. თუმცა მანამდე იყო გეგმა „ბ“, რომელიც ასევე ჩავარდა. ახალი კრიზისის კონტურები მოიხაზა: კონსტიტუციის მიხედვით, 5 მინისტრის დათხოვნის შემთხვევაში სამთავრობო გუნდი უნდა შეცვლილიყო, რასაც ღარიბაშვილის პრემიერობა გადაყვებოდა. ეს ის დროა, როდესაც ირაკლი ალასანია აშკარად იწყებს მკვეთრ განცხადებებს პრემიერის წინააღმდეგ და დემარშით ტოვებს ხელისუფლებას. უწინდელი პროგნოზები იმის შესახებ, რომ ალასანია-უსუფაშვილი-მარგველაშვილის სამეული ჩაანაცვლებდა ხელისუფლებას, ჩავარდა ერთი მარტივი მიზეზით – არასწორი გათვლა გაკეთდა თეა წულუკიანსა და თამარ სანიკიძეზე, რომლებმაც არათუ მხარი აუბეს კონსტიტუციური გადატრიალების სქემას, პირიქით, საკმაოდ მკვეთრი განცხადებებიც გააკეთეს ალასანიას მისამართით...

ისევ ოქტომბერია და მოცემულობა – უცვლელი. ამჯერად უკრაინულმა საიტმა აუწყა მსოფლიოს, რომ სააკაშვილმა და ბოკერიამ ათა თურქის აეროპორტში დაგეგმეს სისხლიანი გადატრიალება. მათ, ვისაც ჯერ არ წაუკითხავთ ეს დიალოგი, გთავაზობთ ფრაგმენტებს:

გიგა ბოკერია: „...კიდევ გეუბნები, ის ბიჭები მზად მყავს, თორმეტივე, მაგრა გადაუვლიან, მიანგრევენ ყველაფერს. ერთი კი არი, ეს უნდა იცოდე! მსხვერპლი შეიძლება იყოს!

მიხეილ სააკაშვილი: „მერე იყოს, ეგ არ გვინდა! ნიკა არ დაინვალიდონ, დაასისხლიანონ მხოლოდ, ასე ეფექტური იქნება. ქალი რომ დაიბრიდოს, აჯობებს, თან შვილიანი თუ იქნა, დედა, უკეთესი იქნება. უნდა შეარჩიო ეგეთი კოლექტივიდან! მაგარი ბომბი გამოვა. პინგვინას ქოცების თავდასხმა თავისუფალ მედიაზე მთელ მსოფლიოს შეძრავს. ესე გაუშვებთ. ყველაფერი უნდა დაფიქსირდეს კამერაზე, აუცილებლად. გვარამია გმირად უნდა ვაქციოთ, დაღუპული დედით კი მთელ საქართველოს დავაყენებთ ფეხზე. ბიჭო, შენი ნიღბიანები დროზე უნდა გაძვრნენ მერე იქიდან, შეუმჩნევლად. ეს კარგად გათვალე!

გ.ბ.: მიშა, ეგ რაც ვილაპარაკეთ, არავინ იცის, ნიკასაც არ ვეტყვი. რო გაბაზრდეს, ჩაგვეშლება. მე პირდაპირი კონტაქტი ბიჭებთან არ მაქვს, გაგუშა არის მაგათთან. ამიტომ არსად გამოვჩნდებით. სცენარი უკვე გავლილი გვაქვს, ოპერატორი „რუსთავი 2“-დან იქნება, იმას ეცოდინება, რომ ყველაფერი უნდა დააფიქსიროს. მაგას არ ახლებენ ხელს. მერე ყველა თურქეთში გადავა. ამაზე სულ 160 გვინდა და...

მ.ს.: მოიცა, ხომ გითხარი, ბეჟო გადაწყვიტავს-მეთქი, ეხლა ეგ თბილისში არ არის. ზურა გაიფრთხილებს და მაგ თანხას მოგიტანენ. მთავარია, ყველაფერი სწორად ააგო. რუსთავის დარბევას და მსხვერპლს გადავაყოლებთ მაგ ნაბიჭვრებს. ვინ არის მოძალადე, დაინახავს ყველა, მონაგონი იქნება ის კადრები, რაც გამივრცელეს. ხო, გიორგი ნახე, რა, გიგა! ჩემგან მადლობა უთხარი და სთხოვე, რეაგირება გააკეთოს. განცხადებით გამოვიდეს, ელჩები მოიწვიოს, კარორჩე ატეხოს რა ამბავი, თავისუფალი მედიის დაცვა, კონსტიტუცია... უკმაყოფილოს არ დავტოვებთ, იცის მაგან!

გ.ბ.: მარგველას ვნახავ დილიდან, ჩაფრენისთანავე. ამოძრავდება და გამოვა, აბა, რას იზამს. რეალურად ეს ჩვენი გეგმა გადაარჩენს „რუსთავსაც“ და „მოძრაობასაც“. თანხა როგორც მოვა, დავიწყებთ.

მ.ს.: შენ შეეცადე, სასამართლომდე გააკეთო ყველაფერი, მერე სასამართლო აღარც ჩატარდება.

გ.ბ.: მე მგონი, მოვასწრებთ! ის ურთმელიძე მოსამართლე რომ არის, ნაწყენი ყოფილა ადეიშვილზე და იმიტომ დასთანხმდა. სასამართლოში ყველა ჩვენია თითქმის და გამოაძვრინეს ეგ ტიპი. მაგას დავაშინებთ კარგად, ვიცი, როგორც! ზაზა მეიშვილი და შავლიაშვილი უზენაესიდან აქტიურად არიან ჩართული, ზურას მიჰყავს ეგ თემა. მთავარია, რაც დაიგეგმა, გაკეთდეს და როგორც შენ თქვი, სასამართლოს აზრი აღარ ექნება...

ხელისუფლება ისევ ნაცად მეთოდს მიმართავს და კვლავ 315-ე მუხლის პირველი ნაწილით იწყებს გამოძიებას. ისევ ბოკერიას იბარებენ პროკურატურაში და ისევ არსებობს გეგმა „ბ“, რომელსაც ამჯერად ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩერგოლეიშვილი აუღერებს, თუმცა კონკრეტიკის გარეშე...

სისხლიანი დაპირისპირების მოლოდინში

ერთი სიტყვით, მესამე მცდელობა ისევ ნაცად წრეზე გადის, მაგრამ შეიკვრება თუ არა ის საწყის წერტილთან, ამაზე ექსპერტებს არაერთგვაროვანი პროგნოზები აქვთ.

მამუკა არეშიძე:

– ჩემთვის მთავარი ის საერთო სურათია, რაც ჩვენს თვალწინ ვითარდება: „რუსთავი 2“-ის პრობლემა ხელოვნურად გადაიქცა ეროვნულ ტრაგედიად. ამაზე აიგო კამპანია, ზოგჯერ – ძლიერი, ზოგჯერ – სუსტი, მაგრამ ეს გახდა მთავარი თემა ქვეყნისთვის. თანაც თემა აიწია ისეთ კონტექსტში, რაც თავის დროზე თვითონ აქვთ ჩადენილი. ეს ცინიზმია ჩემთვის ყველაზე მეტად გამაღიზიანებელი.

– ამ ხელისუფლების პირობებში ეს უკვე მესამე შეთქმულების მცდელობაა, თუმცა დაუსრულებელი სამართლებრივი შეფასებებით...

– ასეთი შეთქმულებების რეჟიმში ვცხოვრობთ 2003 წლიდან. ხან – ფსევდო, ხან კი – რეალური... წინა ხელისუფლების პირობებში რამდენი გვახსოვს 315-ე მუხლით აღძრული საქმე. ფაქტია, რომ ძალიან ცუდი სურათი გვაქვს. ხალხს სჭირდება განვითარებაზე ორიენტირებული მთავრობა, რომელიც, პირველ რიგში, სამართლიანობას აღადგენს. რაკი ეს ვერ ხერხდება, იმიტომაც ვართ სულ შეთქმულების რეჟიმში. მაგრამ ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“



2013 წელი: „გადატრიალება სამეგრელოდან უნდა დაიწყოს, რომლის ორგანიზებაც თენგიზ გუნავას დაევალა“...

2014 წლის შემოდგომა – მაიდანის მოწყობის მცდელობა

2015 წელი, მიხეილ სააკაშვილი: „ნიკა არ დაინვალიდონ, დაასისხლიანონ მხოლოდ, ასე ეფექტური იქნება. ქალი რომ დაიბრიდოს, აჯობებს, თან შვილიანი თუ იქნა, დედა, უკეთესი იქნება. უნდა შეარჩიო ეგეთი კოლექტივიდან! მაგარი ბომბი გამოვა. პინგვინას ქოცების თავდასხმა თავისუფალ მედიაზე მთელ მსოფლიოს შეძრავს“

„ძალიან მეშინია, ქუჩის ექსცესებში არ გადაიზარდოს“

„ნაციონალები არ დაკმაყოფილდებიან მოკლე გამოსვლებით. ყველანაირი სცენარი სისხლიანი გაგრძელებისკენ მიდის...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ასეთი შეთქმულებების რეჟიმში ვცხოვრობთ 2003 წლიდან. ხან – ფსევდო, ხან კი – რეალური...“

სამი წელი ხელისუფლებაში და გადატრიალების უკვე მესამე მცდელობა...

თავის მდგომარეობას არ შეურიგდებოდა, წარმოუდგენელი იყო ვინმესთვის? ის, რომ ჩატოვებულია უზარმაზარი მეხუთე კოლონა სამთავრობო და სხვა სტრუქტურებში, ესეც ხომ ფაქტია? მდგომარეობა ძალიან რთულია. საზოგადოება გახლეჩილია. ისტორია მეორდება. ზუსტად იგივე განწყობებია, რაც გამსახურდიას დროს იყო. ამას ემატება ჩვენი მძიმე ბიოგრაფია, რაც ქვეყანამ 2003-2012 წლებში გადაიტანა. შესაბამისად, გაღიზიანებისა და დაძაბულობის ხარისხიც ძალიან მაღალია. ძალიან მეშინია, ქუჩის ექსცესებში არ გადაიზარდოს. ეს ყველაფერი ახდენს ქვეყნის იმიჯის დისკრედიტაციას. შეიძლება 25 წლის განმავლობაში ესმოდეს დასავლეთს, რომ საქართველოში გამუდმებით გადატრიალების წინაპერიოდია?

– დასაშვებად მიგაჩნიათ პროგნოზი მოსალოდნელი მსხვერპლის შესახებ, რომელიც სიტუაციას კიდევ უფრო მეტად დაძაბავს?

– ასეთი მეთოდი ცნობილია პიარტექნოლოგიაში. მახსოვს ერთ-ერთი პოლიტიკური ფიგურის მიერ დაცხრილული საკუთარი მანქანა, რომელიც მოწინააღმდეგის თავდასხმად გასაღდა... სხვა ამბებიც მახსოვს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გააჩნია, სადამდე მიუშვებს სიტუაციას ხელისუფლება. თუ ხელისუფლება არ მიიღებს გადამჭრელ ზომებს, პროცესები უმართავი გახდება.

ირაკლი კაკაბაძე:

– სააკაშვილისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ის ყველაფერზე წავა. მთავრობა ამ შემთხვევაში არაეფექტურად მოქმედებს. სამი წელია, სულ არსებობს ხელისუფლების დამხობის საფრთხე და ეს ხდება იმიტომ, რომ ხელისუფლება არაადეკვატურად რეაგირებს იმ ტერორისტული ორგანიზაციის მისამართით, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი აწამა და ამოჟლიტა. მათ მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ბრალია, რომ დღესაც ხელისუფლების დამხობის მოლოდინში ვართ. თუმცა, სააკაშვილის განზრახვებს ამ შემთხვევაში ხალხი დაუდგება წინ და თუ მას უნდა, რომ საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდეს, უკვე ყველაფერი გასაგებია.

– ვარაუდობთ, რომ მსხვერპლი მოსალოდნელია?

– სააკაშვილს ისეთები უკეთებია საქართველოში, არც ახლაა გამორიცხული, ვინმეს მოკვლას გეგმავდეს სიტუაციის უფრო მეტად დასაძაბად.

ვალერი ხაბურძანია:

– თქვენ პროცესების სისხლიან განვითარებას ერთი კვირით ადრე ვარაუდობდით, ვიდრე სოციალურ ქსელში სააკაშვილი-ბოკერიას სკანდალური დიალოგი გამოქვეყნდებოდა. რა გაძლევდათ ამ ვარაუდის საფუძველს?

– თვითონ ნაციონალთა ლიდერების აზროვნების სტილი... მათ არ მოსწონთ დაუმთავრებელი ღონისძიებები. ის, რაც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით აგორდა, არა მგონია, მათ სასარგებლოდ დასრულდეს, რადგან ამ ტელევიზიას არც სათანადო მხარდაჭერა აქვს და არც 2003 წელია. აქედან გამომდინარე, ნაციონალები არ დაკმაყოფილდებიან მოკლე გამოსვლებით. ყველანაირი სცენარი სისხლიანი გაგრძელებისკენ მიდის...

– რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება მიმდინარე პროცესების მიმართ?

– საქმე აღუძრავთ და მაინტერესებს, რა ფაქტი აქვთ, ან აქვთ თუ არა საერთოდ რამე ხელჩასაჭიდი მასალები.

ვინ არის პროცესების დირიჟორი?

უკვე შევთანხმდით, რომ ხელწერა ნაცნობია, ნაცნობია მოქმედი პირები თავისი განზრახვებითა და მიზნებით. არსებობს კითხვები მსოფლმხედველობის მიხედვით: ერთნი პროცესების ავტორად ხელისუფლებას ასახელებენ, რომელსაც ნაციონალების გაქრობა სურს პოლიტიკური ორბიტიდან და ეს სურვილები განსაკუთრებით არჩევნების მოახლოების პარალელურად მძაფრდება...

მეორე ნაწილს სჯერა, რომ ნაციონალები ყველაფერზე წავლენ იმის გამო, რომ ხელიდან არ გამოეცალოთ ის დასაყრდენი, რომლითაც რევოლუციის მოხდენა ერთხელ უკვე შეძლეს. მით უმეტეს, რომ ყოფილ ხელისუფლებას მალე გამოეცლება დასაყრდენი პროცესების მართვისთვის ეროვნულ ბანკსა და საკონსტიტუციო სასამართლოში, საკონსტიტუციო ვადების გასვლის გამო... ტელეკომპანიის დაკარგვის შემთხვევაში ეს პოლიტიკური ძალა რეალურად დგება პოლიტიკური ორბიტიდან გაქრობის საფრთხის წინაშე...

არსებობს მესამე მოსაზრება, რომ პროცესებს მართავს ოლიგარქი კოლომოისკი, რომელიც სააკაშვილის დაუძინებელი მტერია და ნებისმიერ თანხას გამოდის მისი კომპრომეტირებისთვის...

სამივე პოზიციას თანაბრად აქვს მიზეზი, იყოს პროცესების დირიჟორი. სწორედ ამ დროს არსებობს ყველაზე სახიფათო მოლოდინი, რომ მღვრიე წყალში თევზი სრულიად უცნობმა მეთევზემ დაიჭიროს, რაც ქართულ პოლიტიკურ დინებას სულ სხვა კალაპოტში გადაიყვანს...

„სააკაშვილს ისეთები უკეთებია საქართველოში, არც ახლაა გამორიცხული, ვინმეს მოკვლას გეგმავდეს სიტუაციის უფრო მეტად დასაძაბად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სკანდალი „რუსთ

„მე მხოლოდ საკუთარი უფლ არანაირად არ უკავშირდებო

EXCLUSIVE

ამონარიდი დოკუმენტიდან, რომლითაც იუსტიციის სამინისტრომ „რუსთავი 2“-ის მეწილეების მხრიდან წესდების უკანონოდ შეცვლა დაბლოკა და მხარეებს ხარვეზების შესწორებისკენ მოუწოდა.

2. სამართლებრივი შეფასება:

მარეგისტრირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. საზოგადოების პარტნიორი გიორგი გეგეშიძე პ/ნ (01008015551) გარდაცვლილია, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება, დაცული იყო თუ არა კრების მოწვევის წესი და გარდაცვლილი პარტნიორის უფლებამონაცვლეს დადგენილი წესით ეცნობა თუ არა კრების ჩატარების თარიღისა და მისი დღის წესრიგის შესახებ.

2.2. წარმოდგენილი კრების ოქმით იცვლება წესდების ისეთი დანაწესები, რომლებიც წარმოადგენს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, პარტნიორთა კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლების გამოყენების მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-51 და მე-52 პუნქტებით გათვალისწინებულ წესს.

2.5. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ზიანი ადგება იმ პირს, რომელსაც აქვს სამკვიდრო ქონების მართვისა და დაცვის კანონიერი ინტერესი, ამავდროულად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-51 მიხედვით, თუ წესდების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ამგვარი ცვლილება მიიღება მხოლოდ ერთხმად.

2.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს გარდაცვლილი პარტნიორის უფლებამონაცვლის კრებაზე მონაწილეობა.

„ნიკა გვარამიას ბრალდებებისთვის მოვიცლი და პასუხს ვაგებინებ“

ქეთი ხატიაშვილი

„რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი მეწილის, გიორგი გეგეშიძის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქვრივმა წილის გაყიდვა გადაწყვიტა. თუმცა, ამ ერთი შეხედვით მარტივი და ლოგიკური სურვილის განხორციელებისას საკმაოდ სერიოზულ, მოულოდნელ და უსამართლო წინააღმდეგობებსაც კი წააწყდა.

ნიკა გვარამიამ ნინო ნიჟარაძის წინააღმდეგ რამდენიმე ბრალდება უკვე გააჟღერა. ქალბატონი, რომელიც მიჩვეული არ იყო საზოგადოების ყურადღებას და მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა, მოულოდნელად სერიოზული ინტერესების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

რა ხდება „რუსთავი 2“-ის მეწილეებს შორის, რატომ ვერ ახერხებს გეგეშიძის ქვრივი საკუთარი წილის გაყიდვას და რა დაიგეგმა მის ზურგს უკან? „პრაიმტაიმის“ ამ და სხვა კითხვებს ნინო ნიჟარაძე პასუხობს.

– ჩემი მეუღლე 2014 წლის მარტში გარდაიცვალა. და უკვე აპრილის ბოლოს „რუსთავი 2“-დან დამირეკეს და შეხვედრაზე მიმიწვიეს. მდივანმა დამირეკა, თქვენი ხელმოწერაა საჭირო და ეგებ მობრძანდეთო. მივედი. რაღაც შპს-ს გახსნა სურდათ, დოკუმენტებს გავეცანი და ხელიც მოვუწერე. იქვე იჯდა ყარამანიშვილი, ახლაც არ ვიცი, რომელი ძმა იჯდა, მანამდე ნანახიც არ მყავდა არც ერთი და შესაბამისად, ვერც ვიცანი. ხელმოწერის შემდეგ მკითხა: 9%-თან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ, რას აპირებთო. მაშინ, მეუღლის გარდაცვალებიდან 40 დღე იყო მხოლოდ გასული და ამაზე ფიქრის თავიც არ მქონდა, თანაც, მხოლოდ მემკვიდრის სტატუსი მქონდა, მესაკუთრის სტატუსი სასამართლოს სექტემბერში უნდა მოენიჭებინა ჩემთვის. კანონის თანახმად, განხილვა სასამართლოში ექვსი თვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც ვუთხარი, რომ ამაზე ფიქრის არც განწყობა მქონდა ჯერ და არც სამართლებრივი სტატუსი.

თუმცა, მაშინვე დავაფიქსირე, რომ არ მსურდა წილის შენარჩუნება. მითხრეს, ჩვენ სიმბოლურ თანხას შემოგთავაზებთო, მარწმუნებდნენ, რომ ეს 9% ისედაც ბევრს არაფერს ნიშნავდა. მხოლოდ ვთხოვე, შემოთავაზება ადეკვატური ყოფილიყო და არა სიმბოლური.

– თუ ხართ საქმის კურსში, თქვენს მეუღლეს სთხოვდნენ წილების დათმობას?

– არა, ასეთი შემოთავაზება მე მივიღე პირველად და ეს „რუსთავი 2“-ის ინიციატივა იყო. სხვათა შორის, იმავე შეხვედრაზე მკითხეს, შემოთავაზება არ მიგიღიათ ჩვენგანო? ვუთხარი, რომ არაფერი შეთავაზება ჩემამდე არ მოსულა. და ასეც იყო. მოგვიანებით, როცა დავფიქრდი, ვიფიქრე, რომ თანხა, რომელიც, როგორც ჩანს, მართლაც ითქვა ჩემთვის გადმოსაცემად, იმდენად მიზერული იყო, რომ ჩემამდე ამბავიც არავის მოუტანია.

ამ შეხვედრიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ „რუსთავი 2“-დან კვლავ დამირეკეს და მითხრეს, რომ საგანგებო კრება იყო დანიშნული. ვკითხე, რა საკითხი განიხილება-მეთქი, მითხრეს, წესდება იცვლება და მოსაწვევს ბინაზე მიიღებთო. ვთხოვე, ეგებ, წესდებაც გამომიგზავნოთ-მეთქი და, მოსაწვევთან ერთად, წესდება მეორე დღეს მართლაც მივიღე.

წესდებას გადავხედე, მოგეხსენებათ, იურიდიული ენა სპეციფიკურია, ამიტომაც, ჩემს ადვოკატს ვთხოვე დახმარება. ადვოკატმა ძველი წესდება ამოიღო და შედარება გააკეთა. მაშინ გავიგე, რომ ახალი წესდება ყველა უფლებას მართმევს. ანუ წესდების პუნქტები ისე იყო შეცვლილი, რომ მე მთლიანად პროცესის მიღმა ვრჩებოდი, არანაირი საჭიროება ჩემი აღარ იარსებებდა. ადვოკატმა მირჩია, ამ დოკუმენტზე ხელი არ მომეწერა.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რაც ძველი წესდების ამოღებისას გამჟღავნდა. როგორც აღმოჩნდა, წესდების შეცვლის მოთხოვნით, მათ იუსტიციის სამინისტროსთვის უფრო ადრე მიუმართავთ. თუმცა, სამინისტრომ, კანონის შესაბამისად, მოითხოვა გიორგი გეგეშიძის მხრიდან დოკუმენტზე ხელმოწერა. სამინისტრო ამ ხარვეზის გასწორებას ითხოვდა. ამის შემდეგ დადგა დღის წესრიგში კრების მოწვევის საკითხიც, მხოლოდ ამის შემდეგ შემატყობინეს, წესდება იცვლებაო.

ანუ უჩემოდ წესდება რომ ვერ შეცვალეს, შემდეგ იფიქრეს, ეგებ, ისედაც მოაწეროს ხელიო. არ ვიცი, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ მე ვერაფერს გავარკვევდი და მივხვდებოდი.

– კრება ჩაიშალა და არ შედგა?

– დიახ, მე ვუთხარი, რომ ახალ წესდებას ხელს არ მოვაწერდი.

– რატომ გსურდათ წილის გაყიდვა? თქვენ „რუსთავი 2“-ის საქმეებში არასოდეს ყოფილხართ ჩართული?

– არა, არასოდეს დავინტერესებულვარ „რუსთავი 2“-ით. მე მშვიდი ცხოვრება მინდა, არანაირი სხვა ინტერესები, მით უფრო პოლიტიკური, არ მაქვს და არც არასოდეს მქონია. არასოდეს მქონია რაიმე პოლიტიკური აქტივობა, აქციებზე არასოდეს ვმდგარვარ. ერთადერთი, არჩევნებზე გავდივარ და ეს ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობაა. არ მინდოდა, ამ პროცესებში ჩავრთულიყავი, მშვიდ და წყნარ ცხოვრებას ვარ მიჩვეული.

– თქვენი წილის ყიდვა „რუსთავი 2“-ის მფლობელებს შესთავაზეთ?

– დიახ, მე მათ ორჯერ შევთავაზე წილის ყიდვა. პირველად მათგან წამოვიდა ინიციატივა და მე ორჯერ ვთხოვე წილის ყიდვა, ამის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაციაც არსებობს. პასუხად მივიღე, არ გვინდა, არ გვჭირდებაო. როცა ნახეს, რომ რეალური მყიდველი გამოჩნდა, შემდეგ ყველაინირად დაიწყეს ჩემი დაბლოკვა, წილის გასხვისება რომ არ შემძლებოდა.

– ბრალდება, რომელიც ნიკა გვარამიამ გააჟღერა თქვენს წინააღმდეგ, სერიოზული იყო... ხელს უშლით „რუსთავი 2“-ს?

– ალბათ, წესდებას გულისხმობდა, თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა, მე მხოლოდ საკუთარი უფლებები დავიცავი აქ და ეს არანაირად არ უკავშირდებოდა „რუსთავი 2“-ის მუშაობას.

– თქვენთვის, ალბათ, სულერთი არ არის, ვინ იყიდის „რუსთავი 2“-ს. პოლიტიკური ინტერესი დიდია, შეიძლება პრორუსულმა ძალებმა დიდი ფული შემოგთავაზონ?

– რა თქმა უნდა, მე ვუფრთხილდები „რუსთავი 2“-ის იმიჯს, სულაც არ მსურს, რომ ტელევიზიის წილი საეჭვო პირებს ან უცხო პირებს ჩაუვარდეთ ხელში. ამიტომ მე მათ ორჯერ შევთავაზე ჩემგან წილის ყიდვა და ორჯერვე უარი მივიღე. სულაც არა ვარ ანგაჟირებული, როგორც ნიკა გვარამია საუბრობს ჩემზე და არც ფულზე ვარ გაგიჟებული. ვფიქრობ, მათ დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ თავიდანვე უარი მითხრეს წილის ყიდვაზე, ახლა კი მისი გაყიდვის საშუალებასაც არ მაძლევენ.

საერთოდ, ნიკა გვარამიას ბრალდებებისთვის მოვიცლი და პასუხს ვაგებინებ. ეს საკმაოდ უხეში და მიუღებელი ფორმით გაკეთდა და რაც მთავარია,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავი 2“-ის მეწილეებს შორის

ებები დავიცავი აქ და ეს და „რუსთავი 2“-ის მუშაობას“

„წესდების პუნქტები ისე იყო შეცვლილი, რომ მე მთლიანად პროცესის მიღმა ვრჩებოდი, არანაირი საჭიროება ჩემი აღარ იარსებებდა. ადვოკატმა მირჩია, ამ დოკუმენტზე ხელი არ მოვაწერა“

დანართი №1

დამტკიცებულია 2014 წლის 12 სექტემბერს პარტნიორთა კრების ზეპირ

შუნლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-ის"

წესდება

(ახალი რედაქცია)

თბილისი 2014

საერთოდ არ შეესაბამება რეალობას... მან ბოდიში უნდა მომიხადოს ასეთი გამონათქვამებისთვის.

– ანუ წყნარი და მშვიდი ბებიისგან მოულოდნელად ანგაჟირებულ ქალბატონად იქეცით და პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშიც აღმოჩნდით?

– ასე გამოვიდა. ამ სკანდალებისა და ხმაურისთვის სულაც არ ვიყავი მზად, არც ვარ ბუნებით ასეთი. მინდა, ისევ მშვიდ ცხოვრებას დავუბრუნდე.

– და ასე რატომ ნერვიულობენ წილის გაყიდვაზე, რა ფუნქციები ექნება სხვას ისეთი, რომ თქვენი დაბლოკვა აუცილებელი გახდა?

– არ ვიცი, მაგ კითხვაზე თვითონ უნდა გიპასუხონ. ეტყობა, რაღაც აქვთ დასამალი, რადგანაც ასეთ წინააღმდეგობას მიწევენ, არც თავად ყიდულობენ და არც მე მაძლევენ გაყიდვის საშუალებას. აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, რომ უჩემოდ, მალულად სურდათ წესდების შეცვლა და ჩემი პროცესიდან მთლიანად მოხსნა. ეს დასანანია. ასეთი დამოკიდებულება მიუღებელიც არის ჩემთვის და გაუგებარიც. გული მწყდება, რომ ყველაფერი ასე განვითარდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ დავიცვათ

ის, რაც ყველა ინტერნეტ-მომხმარებელმა უნდა იცოდეს

მირიან ბოქოლიშვილი

ვფიქრობ, ეს ინტერვიუ ყველა მომხმარებელს დაინტერესებს, რომელიც ინტერნეტსა თუ ელექტრონულ საბანკო პროდუქტებს იყენებს, რადგანაც ნებისმიერ დროს თითოეული თქვენგანი შესაძლოა, თაღლითების ან ჰაკერების სამიზნე გახდეს. ფაქტია, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მთელ მსოფლიოში მზარდია კიბერდანაშაულის მაჩვენებელიც და რაღა თქმა უნდა, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ცოტა ხნის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ შსს-ს სტატისტიკით ერთ-ერთი დანაშაული, სადაც ზრდის ტენდენცია ფიქსირდება, სწორედ ინტერნეტს უკავშირდება.

ჩვენ დავინტერესდით, როგორ ეუფლებიან თაღლითები ინტერნეტში ჩვენს პირად მონაცემებს? რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სოციალური ქსელის, ან პირადი მეილის ანგარიშის გატეხა და ინფორმაციის მოპარვა? რა მიზნით ხდება კიბერშეტევები და რამდენად დაცულია მომხმარებელი კიბერდანაშაულის რისკებისგან? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსს, მამუკა ჭელიძეს ესაუბრა:

– ბატონო მამუკა, თქვენი უწყებაც ადასტურებს, რომ კიბერდანაშაულის მაჩვენებელი გაზრდილია. რით ხსნით ამას?

– ამას მარტივი ახსნა აქვს: სწრაფი ტემპებით გაიზარდა ინტერნეტისა და ელექტრონული სისტემების მოხმარების მასშტაბები. სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი მოიხმარს მსოფლიოში ონლაინ სერვისებს და ელექტრონულ ტრანზაქციებს ახორციელებს. მაგალითად, 1996 წელს ინტერნეტმომხმარებლის საშუალო რაოდენობა მსოფლიოში 10 მილიონს შეადგენდა, 2013 წლის მონაცემებით კი, ეს ციფრი 2,6 მილიარდამდე გაიზარდა. ანუ ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად იმატა თავად ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ. მეორე მიზეზი გახლავთ, ზოგადად, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ფასები. ტექნოლოგიური განვითარება, კომპიუტერული მოწყობილობების პორტატულობა, ცხადია, ზრდის ამ დანაშაულის რისკებს. დღეს, „გაჯეტებისა“ და ინტერაქტიული ეკრანების ეპოქაში, ძალიან ადვილია, ინტერნეტის გზით როგორც კომფორტის შექმნა და საჭირო მომსახურების მიღება, ისე დანაშაულის ჩადენა. ანუ ტექნოლოგიების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობაა მთავარი მიზეზი, რის გამოც მთელ მსოფლიოში გაზრდილია კიბერდანაშაულის მაჩვენებელი. დღეს სამყაროში 18,2 მილიარდი მოწყობილობა დაკავშირებულია ინტერნეტთან, რაც საკმაოდ ნოყიერ საფუძველს ქმნის კიბერდანაშაულის განვითარებისთვის. ანონიმური მოქმედების შესაძლებლობა არის ინტერნეტსივრცეში ერთ-ერთი სერიოზული მიმართულება. იქმნება ანონიმური „აიპიები“, „იუზერები“, რომელთა იდენტიფიკაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

– ამ ტექნოლოგიურ განვითარებას სამართალდამცავები რამდენად უწყობთ ფეხს? ცხადია, მხოლოდ დანაშაულებრივი სამყარო არ ვითარდება...

– რა თქმა უნდა, პროცესების მიღმა დარჩენა დაუშვებელია. დანაშაული თვითონ გვიბიძგებს განვითარებისკენ და ბრძოლის მეთოდების ჩამოყალიბებისკენ. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან. მოგეხსენებათ, კიბერდანაშაული ისეთი დანაშაულია, სადაც საზღვრები არ არსებობს და ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა. მოქმედებს პროექტი „24/7“, რომლის ფარგლებშიც ინფორმაციას მუდმივ რეჟიმში ვცვლით. სისტემატურად ვატარებთ სწავლებას. ეს არის პარალელური განვითარება, ანუ თუ იზრდება დანაშაული ამ მიმართულებით, ასევე იზრდება ჩვენი პროფესიონალიზმის დონე, სხვაგვარად მასთან ბრძოლა და გამკლავება შეუძლებელია.

– რამდენად ხშირია სოციალური ქსელებისა და პირადი მეილების ანგარიშის გატეხისა და გარკვეული ინფორმაციების დაუფლების შემთხვევები?

– მომართვიანობა, რა თქმა უნდა, არსებობს. ჩვენთვის ნათელია, რომ უსაფრთხოების პარამეტრების შესახებ საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის დონე დაბალია და ჩვენი ამოცანაა, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტში რეგისტრაციის დროს, უსაფრთხოების პარამეტრებს ყურადღება არ ექცევა და შესაბამისად, სოციალური ქსელი იქნება თუ ელექტრონული ფოსტა, ძალიან ადვილად შეღწევადი ხდება. ელემენტარულად, პაროლიც კი ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, არადა დარეგისტრირების პროცესში სოციალური ქსელის ადმინისტრაცია გთავაზობთ უამრავ შესაძლებლობას, დაიცვათ თქვენი პირადი მონაცემები. სასურველია უსაფრთხოების ყველა მექანიზმის გამოყენება, რასაც ადმინისტრაცია გვთავაზობს. საჭიროა უსაფრთხოების პარამეტრების მუდმივი განახლება, რადგან ის, რაც იყო, დავუშვათ, 5 წლის წინათ, დღეს უკვე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

– როგორ უნდა მიხვდეს მომხმარებელი, რომ მისი სოციალური ქსელის ან სხვა ინტერნეტანგარიში, ან ელექტრონული საფოსტო ყუთი „გატეხეს“ და სხვა ადამიანს აქვს მასზე წვდომა?

– პირველ რიგში, აუცილებელია მომხმარებლის აიპი ისტორიის მუდმივი შემოწმება. ასეთი პროგრამული შესაძლებლობა აქვს სოციალურ ქსელებს და ის ავტომატურად გატყობინებთ, ვინ და საიდან შევიდა თქვენი სახელით. შესაბამისად, როდესაც იდენტიფიცირებული გაქვს ის მონაცემები, რითაც ელსაფოსტო ყუთს ან სოციალურ ქსელს დაუკავშირდი, ადვილი გადასამოწმებელია სხვა აიპის დაფიქსირება შენს პირად მეილზე თუ სოციალურ ქსელში. ასევე, ერთ-ერთი ეფექტური გზაა ტელეფონის მეშვეობით უსაფრთხოების დამადასტურებელი კოდის მიღება. ამ შემთხვევაში, თითოეული ვიზიტის დროს, თქვენს ტელეფონზე მოგდით მესიჯი და თუ სხვა პირი შევიდა თქვენს მეილზე ან „ფეისბუკში“, ოპერატიულად, ტელეფონის მეშვეობით მიიღებთ ინფორმაციას, რაც, თავის მხრივ, დროული რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. უფრო მნიშვნელოვანი გარემოებაა, როდესაც ხშირად, ინტერნეტმომხმარებელი იღებს მიბმულ ფაილებს, ან გაურკვეველ ბმულებს, რომელსაც დაუფიქრებლად ხსნის ან ჩამოტვირთავს ხოლმე და რომელიც ჰაკერული თავდასხმის მიზნით გამოიყენება, რადგან თუნდაც ერთი ასეთი ლინკის გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თავი ჰაკერებისგან?

ინტერვიუ ცენტრალური პრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან

მამუკა ჭელიძე: „სასურველია მაქსიმალური დაცვის ყველა იმ მექანიზმის ჩართვა, რასაც ადმინისტრაცია გვთავაზობს. ასევე, საჭიროა უსაფრთხოების პარამეტრების მუდმივი განახლება“

EXCLUSIVE

ხსნით ან მიბმული ფაილის ჩამოწერის მომენტში, მას შეუძლია პირადი პაროლის მოპარვა. ამიტომ, მომხმარებელს ვურჩევ, თავი შეიკავოს ყველა ისეთი შეთავაზების მიღებისგან, რომელიც მეილს ან სოციალურ ქსელს მოჰყვება. ეს შესაძლოა, პირდაპირ იყოს გამიზნული მათი პირადი ინფორმაციის დაუფლებისთვის.

– კომპიუტერულ დანაშაულს ხშირად არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული მასალის, ან პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების მიზნითაც იყენებენ... ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

– რა თქმა უნდა, ბავშვთა პორნოგრაფია ხშირად დაკავშირებულია ინტერნეტდანაშაულთან, თუმცა მსგავსი რამ საქართველოში თითქმის არ ფიქსირდება. ძირითადად გვხვდება უცხო ქვეყნებში შექმნილი პროდუქტის ჩამოტვირთვის ფაქტები. სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ შსს-ს მიერ 45 პირი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის გავრცელებისა და გავრცელების მცდელობის ბრალდებით. ეს ხალხი პირდაპირ არ იყო დაკავშირებული პორნომასალებთან, თუმცა, ისინი ამას საკუთარი საიტის პოპულარიზაციისა და შემომსვლელების რაოდენობის გაზრდის მიზნით იყენებდნენ. ანუ საიტების პირველ გვერდზე ათავსებდნენ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ფოტო ან ვიდეოგამოსახულებას, სადაც სხვადასხვა ასაკის მომხმარებლებს უჩენდნენ ამ საიტზე ვიზიტის განხორციელების ცდუნებას. მართალია, ეს პორნოგრაფიული ფაილები არ იხსნებოდა, მაგრამ იმ კონკრეტულ საიტზე ამ გზით ფიქსირდებოდა ვიზიტორის შესვლა, რაც გარკვეულ ფინანსურ ეფექტზე გახლდათ გათვლილი. იყო, ასევე, ერთი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შექმნასა და გავრცელებაში ვამხილეთ ისრაელის მოქალაქე და, ასევე, არასრულწლოვნის დედა. ამ საქმეზე საკმაოდ ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა უცხოელ კოლეგებთან. ამის შემდეგ მსგავსი შინაარსის მასალა ინტერნეტსაიტზე არ ატვირთულა.

– ხშირად გვსმენია, რომ ინტერნეტის მეშვეობით პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებითაც ემუქრებიან და ეს ხდება გარკვეულწილად შანტაჟის გზით...

– დიახ, ამ შემთხვევაში კიბერდანაშაული გვევლინება, როგორც საშუალება სხვა დანაშაულის ჩასადენად. ყოფილა ფაქტი, როდესაც სწორედ კიბერდანაშაულის გზით მომხდარა კონკრეტული პიროვნების პირადი მონაცემების დაუფლება და შემდეგ მისი შანტაჟი. მინდა მივმართო საზოგადოებას, ვინც ამ გზით შანტაჟის მსხვერპლია, სასწრაფოდ მოგვმართონ სამართალდამცავებს და მაქსიმალურად ითანამშრომლონ. ჩვენ გვაქვს კიბერინციდენტებზე სწრაფი რეაგირების გამოცდილება და გამოძიება მყისიერად მოხდება.

ასევე, საკმაოდ გავრცელებულია ინტერნეტთაღლითობა. ე.წ. ჰაკერები, მას შემდეგ, რაც მოახერხებენ მეილის გატეხას, ეცნობიან არსებული მიმოწერების შინაარსს, აანალიზებენ მას. ასეთი თავდასხმის მსხვერპლნი ძირითადად ბიზნესორგანიზაციები არიან. ჰაკერები, მას შემდეგ, რაც მიმოწერებს დაამუშავებენ, ქმნიან მაქსიმალურად მიახლოებული ფორმის ელექტრონულ ფოსტას და ვითომდა უცხოური კომპანიის სახელით აგრძელებენ კომუნიკაციას ქართულ კომპანიებთან და მომხმარებლებთან, უგზავნიან ანგარიშის ნომერს და ამ გზით თაღლითების ანგარიშზე საკმაოდ სერიოზული თანხებიც ირიცხება. ხშირ შემთხვევაში, ამ დანაშაულის გამოაშკარავება დაგვიანებულია, რადგან კონკრეტული პროდუქტის ტრანსპორტირებას სხვა ქვეყნიდან რამდენიმე დღე სჭირდება, რიგ შემთხვევებში კვირებიც. ამ ხნის განმავლობაში, მსხვერპლი ელოდება კომპანიებისგან ვალდებულების შესრულებას, სინამდვილეში კი ეს ფული არასწორად არის უკვე გადარიცხული თაღლითების ანგარიშზე და განაღდებულია ხოლმე მსოფლიოს სხვადასხვა ბანკში. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებელია ყურადღება და უსაფრთხოების პარამეტრების მაქსიმალური დაცვა, რაც, შეძლებისდაგვარად, თავიდან აგვაცილებს მსგავს ფაქტებს. სწორედ კიბერდანაშაულის გზით ფინანსური სარგებლის მიღებას ჰქონდა ადგილი იმ საქმეში, რომელიც შსს-მ ცოტა ხნის წინ გახსნა. საუბარი მაქვს ერთ-ერთი ფასდაკლების საიტზე კომპიუტერული მონაცემების შეცვლის გზით კომპანიისთვის სერიოზული ფინანსური ზიანის მიყენებაზე. ამ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში 43 პირი მივეცით.

– პლასტიკური ბარათების მონაცემების უკანონო დაუფლებასა და გამოყენებაზე რას იტყვით?

– პლასტიკური ბარათებიდან ინფორმაციის მოპარვა, ასევე, ერთ-ერთი გავრცელებული დანაშაულია. შეცდომა, რასაც მომხმარებლები მისი სარგებლობის პროცესშივე უშვებენ, არის ის, რომ სხვადასხვა სასტუმროში, კაფე-ბარში, რესტორანსა თუ სავაჭრო ობიექტში ანგარიშსწორების დროს უმეთვალყურეოდ ტოვებენ პლასტიკურ ბარათებს. მე მათ ვურჩევდი, რომ ანგარიშსწორება განსაკუთრებული ყურადღებით, მათივე თვალწინ მოახდინონ, რათა არ მოხდეს ციფრების ამოკითხვა ან ფოტოს გადაღება მონაცემებისთვის, რომელიც ამ ბარათზეა დატანილი. ასევე, საბანკო ბარათებზე ბანკები სთავაზობენ მომხმარებელს დაზღვევის სისტემებს, რომელიც დამატებით გიცავთ ანგარიშიდან ფულის დაკარგვისგან.

– რაც შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ატვირთვას სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე... რა სირთულეებთან არის დაკავშირებული აიპი მისამართის დადგენა და დამნაშავის გამოვლენა?

– აქ მნიშვნელოვანია იმ ქვეყნის ინტერნეტპროვაიდერებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, საიდანაც ეს მასალა აიტვირთება. ჩვენ ძალიან ბევრ ქვეყანასთან გვაქვს სამართლებრივი მხარდაჭერის გამოცდილება, რის საფუძველზეც შეგვიძლია სხვადასხვა სახის ოპერატიული სამუშაოს წარმართვა.

– ცნობილია, რომ კიბერდანაშაულით შესაძლოა, დაზარალდეს არა მხოლოდ მოქალაქე, ან ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფოც... ამის მაგალითია 2008 წელს სახელმწიფო ინსტიტუტებზე მასშტაბური კიბერშეტევა... დღეს რამდენად დაცულია ქვეყნა ამ მასშტაბის შეტევისგან?

– თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროში მოქმედებს კიბერუსაფრთხოების ბიურო, რომელიც მსგავს საფრთხეებზე ახდენს თავდაპირველ რეაგირებას. შსს-ს მსგავსად, კიბერინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი აქვს იუსტიციის სამინისტროსაც. მინდა დაგარწმუნოთ, რომ 2008 წელთან შედარებით, დღეს საქართველო გაცილებით დაცულია, შეიქმნა ინფრასტრუქტურა, მოხდა სპეციალისტების გადამზადება და ა.შ.

2013 წელს ჩვენ შევიმუშავეთ კიბერდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგია, სადაც პრიორიტეტად ჩამოყალიბებულია ის გზები, რომლითაც სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების გაუმჯობესებას აპირებს.

როგორია კიბერუსაფრთხოების დონე საქართველოში? როგორ შეიძლება თაღლითები დაეუფლონ ჩვენს პირად მონაცემებს და რა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ინტერნეტ თუ საბანკო ანგარიშები დაცული იყოს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მიზნით ჩავიდა უსუფაშვილის დაცვა სააკაშვილთან ოდესაში?

მირიან ბოქოლიშვილი

მაღალი თანამდებობის პირების პირადი დაცვა ერთგულებისა და სანდოობის თვალსაზრისით თითქმის ოჯახის წევრთან არის გათანაბრებული. თუმცა ყველას არ უმართლებს... ამის მაგალითია, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი ბესო სურმავა, რომლის სახელითაც 2012 წლის არჩევნების წინ ინტერნეტში „ქართული ოცნების“ ლიდერებზე საკმაოდ სკანდალური ჩანაწერები აიტვირთა. მაშინ, საზოგადოების ნაწილი ამბობდა, რომ სურმავა სპეცსამსახურებმა დააშანტაჟეს, თუმცა ასევე ვრცელდებოდა ხმები, რომ ამ ჩანაწერებთან კავშირის საკუთარ თავზე აღების სანაცვლოდ მან საკმაოდ დიდი ფული აიღო.



რუბაშვილი ამჟამად სწორედ ოდესის გუბერნატორისა და საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის სამსახურში აგრძელებს საქმიანობას

ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ცხადყოფს, რომ პირად დაცვაში არც პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარეს გაუმართლა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, შესაძლოა, ახალი კომპრომატები სწორედ დავით უსუფაშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრის ავტორობით გავრცელდეს. საუბარია უსუფაშვილის დაცვის წევრ გიორგი რუბაშვილზე, მეტსახელად „რუბოზე“. ჩვენი ინფორმაციით, მან ცოტა ხნის წინ დასაცავი ობიექტის დაცვაზე უარი განაცხადა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში პატაკი დაწერა და ოდესაში მიხეილ სააკაშვილთან გაემგზავრა.

ამავე ინფორმაციით, რუბაშვილი ამჟამად სწორედ ოდესის გუბერნატორისა და საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის სამსახურში აგრძელებს საქმიანობას და ამბობენ იმასაც, რომ მან სააკაშვილს ოდესაში საკმაოდ საინტერესო ინფორმაციებიც ჩაუტანა, მათ შორის მტკიცებულებების სახით.

რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს უსუფაშვილის დაცვას „ოცნების“ ლიდერებზე, ამის თქმა რთულია, თუმცა არ არის გამორიცხული, დახურული შეხვედრებისა და სატელეფონო საუბრების შესახებ ინფორმაციამ მართლაც გაჟონოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ პოლიტიკაში ამის გამოცდილება ნამდვილად არსებობს.

დატოვა თუ არა გიორგი რუბაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის პირადი დაცვის შემადგენლობა? ამის გასარკვევად პარლამენტის პრესსამსახურს დავუკავშირდით, სადაც განგვიმარტეს, რომ ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებენ და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გადაგვამისამართეს. აღნიშნულ უწყებაში ჩვენ ეს საჯარო ინფორმაცია წერილობით გამოვითხოვეთ. მიღებული პასუხით ირკვევა, რომ გიორგი რუბაშვილი „2015 წლის 15 ივნისს განთავისუფლდა სამსახურიდან პირადი პატაკის საფუძველზე“. სახელმწიფო დაცვის სამსახურში არ აკონკრეტებენ, რა გახდა პატაკის დატოვების მიზეზი, ან ამჟამად სად აგრძელებს საქმიანობას რუბაშვილი.

გიორგი რუბაშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მუშაობა 2004 წელს დაიწყო. ამ დროიდან 2007 წლამდე ის ობიექტების დაცვის ქვედანაყოფში მუშაობდა, 2007-2015 წლებში კი პირადი დაცვის ქვედანაყოფში განაგრძო საქმიანობა. ის, თავის დროზე, პრეზიდენტ სააკაშვილის დაცვაშიც მუშაობდა და როგორც ჩანს, კვლავ დაცვის ძველ ობიექტთან დაუბრუნდა სამუშაოდ.

ამირან გამყრელიძე: „კარგი ჯენერიკი, რომელიც შესაბამის ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლს გადის, იგივე მოქმედებისაა, როგორც ბრენდული პრეპარატი“

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ, საზოგადოებას სამინისტროს სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარუდგინა. სერგეენკო ჯანდაცვის სისტემის სამომავლო პერსპექტივებსაც შეეხო და რეფორმის განხორციელების კონკრეტული მიმართულებებიც წარმოადგინა, როგორიცაა: პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩამოყალიბება, საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯთეფექტურობის მოდელის დანერგვა, მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის ამოქმედება და ელექტრონული რეცეპტული სისტემის ფართოდ დანერგვის საკითხები. ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების ხარისხის კონტროლის კუთხით ახალი სტანდარტის დამკვიდრებას გეგმავს. მინისტრს მიაჩნია, რომ ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს, და მეტი სტიმული ადგილობრივ წარმოებას მიეცეს. თუმცა, იმისთვის, რომ ზემოთ აღნიშნული განხორციელდეს, აუცილებელია მედიკამენტის ხარისხის კონტროლის მწყობრი სისტემის ამუშავება, რაზეც ჯანდაცვის სამინისტროში ინტენსიური მუშაობა უკვე დაწყებულია და რეალური შედეგები ცნობილი მალე გახდება.

„ჯენერიკი გახლავთ იგივე მედიკამენტი, რაც ბრენდი, როგორც მას უწოდებენ - მისი შემადგენლობა იგივეა, რაც ბრენდის. უბრალოდ, ჯენერიკის გამოცემის უფლება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბრენდის ნაყიდ პატენტს ვადა გასდის. ეს არის ე.წ. პატენტის დაცვის საერთაშორისო მექანიზმი, ანუ ბრენდის ჯენერიკს ვერ აწარმოებს ვერავინ, თუ მას არ გაუვა პატენტი. ერთადერთი გამონაკლისი გაკეთდა ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც შიდსის მედიკამენტებზე დაუშვეს ჯენერიკები. ამდენად კარგი ჯენერიკი, რომელიც შესაბამის ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლს გადის, იგივე მოქმედებისაა, როგორც ბრენდული პრეპარატი“, - განმარტავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე.

გამყრელიძის განცხადებით, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი ხარისხის კონტროლის სამსახურის შექმნა, რათა შექმნილი პრობლემა მოგვარდეს: „ზოგადად, მსოფლიო პრაქტიკაა, რომ რეცეპტის გამოწერისას იწერება სწორედ ჯენერიკი მედიკამენტები. ამიტომ, ამ პროექტზე სამინისტრო მუშაობს და ვფიქრობ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს გარკვეული სტრატეგია დაიდება“.

რაც შეეხება, ზოგადად, მედიკამენტების ფასებს, გამყრელიძე აღნიშნავს და მიაჩნია, რომ წამალი არც ერთ ქვეყანაში არ არის და ვერ იქნება იაფი. „ერთი ახალი წამლის შექმნა დაახლოებით მილიარდი დოლარი ჯდება და მას სჭირდება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი - 8-14 წელი. პრობლემა სხვა მიმართულებით უნდა დარეგულირდეს, სისტემა უნდა იყოს გამართული და კონტროლირებადი, რომლის ჩამოყალიბებაზეც მუშაობა უკვე მიმდინარეობს - წამლის ყიდვა და ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯი მოქალაქისთვის არ იყოს კატასტროფული, ანუ მოსახლეობა იყოს მსყიდველუნარიანი“, - ამბობს **ამირან გამყრელიძე**.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მკერდის პლასტიკის თანამედროვე მიდგომები „კარაპს მედლაინში“

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

ქეთი მუსერიძე

კლინიკა „კარაპს მედლაინის“ პრიორიტეტული მიმართულებაა ესთეტიკური და რეკონსტრუქციულ-პლასტიკური ქირურგია, რომელსაც სათავეში უდგას მსოფლიოს პლასტიკური ქირურგიის და მსოფლიო ესთეტიკური ქირურგიის საზოგადოების წევრები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ალექსანდრე კალანტაროვი და პლასტიკური ქირურგი, კონსტანტინე მათითაშვილი.

კლინიკაში ტარდება ნებისმიერი სახის ესთეტიკური ოპერაცია, ცხვირის პლასტიკიდან დაწყებული მუცლის პლასტიკითა და მკერდის ნებისმიერი სახის ოპერაციით დამთავრებული. აგრეთვე, ტუჩის პლასტიკა, ქუთუთოების, სხეულის კონტურული პლასტიკა.

დღეისთვის კლინიკაში ტარდება თანამედროვე პლასტიკური ქირურგიის ოპერაციების სრული ჩამონათვალი, ურთულესი რეკონსტრუქციული ოპერაციებიდან დაწყებული მარტივი ესთეტიკური მანიპულაციებით დამთავრებული.

მკერდის პლასტიკის თანამედროვე მიღწევებზე „პრაიმტაიმი“ კლინიკა „კარაპს მედლაინის“ პლასტიკურ ქირურგს კონსტანტინე მათითაშვილს ესაუბრა.

- როგორ ტარდება მკერდის პლასტიკური ოპერაცია „კარაპს მედლაინში“?

- მოკლე ისტორიით დავიწყებ, „კარაპს მედლაინში“ პლასტიკურ ქირურგიას უკვე დიდი ისტორია აქვს. რაც შეეხება ძუძუს პლასტიკას, ეს ოპერაციები დიდი ხანია კეთდება, ოპერაციები ტარდება ყველა ტიპის ძუძუზე, ანუ ეს შეიძლება იყოს აწევა, დაპატარავება, და ბანალური გადიდება, სილიკონის იმპლანტების გამოყენებით. ერთ მომენტიანი აღდგენა ონკოლოგიური და ონკოსაშიში ძუძუს სარძევე ჯირკვლების დაავადების დროს. ასე რომ, ასეთი ოპერაციები, განსაკუთრებით ბოლო სამი ოთხი წელი, საკმაოდ წარმატებულად მიდის ჩვენს კლინიკაში. სავარაუდოდ, ეს პოლარიზაციის ან თემის ღიაობის დამსახურებაა, ჩვენ არ ვუჩივით ძუძუს პლასტიკაზე პაციენტის ნაკლებობას და მაქსიმალურად ყველაფერს თანამედროვეს, რაც კი შეიძლება ძუძუს პლასტიკას ზოგადად თან ახლდეს.

- მკერდის პლასტიკის რომელ თანამედროვე მეთოდს იყენებთ?

- ჩვენს კლინიკაში გამოიყენება თანამედროვე იმპლანტები, მსოფლიოში ცნობილი ბრენდის, რომელიც დაშვებულია ევროკავშირის ზონაში და ამ ბრენდის ნდობის ფაქტორი მსოფლიოს უკვე აღიარებული აქვს. შესაბამისად, არ ვიყენებთ საეჭვო წარმომავლობის, არც ახალი კომპანიების წარმოებულ იმპლანტებს. ჩვენთან მოსულ პაციენტს არ აქვს კითხვის ნიშნები თუ რა იმპლანტი უდევს მას. ჩვენთან ჩამოდის ის უახლესი იმპლანტები რასაც უშვებს კომპანია. იმპლანტები არის სილიკონის, მუდმივი არ საჭიროებს შეცვლას. იგი ორი ტიპისაა, ეს არის ანატომიური და მრგვალი, სურვილისამებრ გამოიყენება ერთიც და მეორეც და ბუნებრივია, ჩვენებების მიხედვით. რაც შეეხება არჩევანს, ამ შემთხვევაში პაციენტი არის წამყვანი. ჩვენ მას ვეუბნებით არსებულ შესაძლებლობებს. ვთქვათ, პირობითად, შეიძლება 150 მილილიტრიდან დაწყებული 500 მილილიტრამდე მოცულობის იმპლანტი იყოს გამოყენებული პაციენტში. ჩვენ კი ვეუბნებით, თქვენ შემთხვევაში რეკომენდებულია 250 – 350 მილილიტრამდე მოცულობის იმპლანტი. ის დანარჩენს უკვე თვითონ აირჩევს რამდენად უნდა გაიზარდოს ძუძუს მოცულობა.

- მკერდის გადიდების შემდეგ თუ რჩება რაიმე ნაწიბური?

- ძუძუს გადიდებისას განაკვეთები კეთდება მინიმალური, ძუძუს ქვედა ნაწილში. ძუძუს პლასტიკის შემდეგ ნაწიბურები არ რჩება თუ პაციენტს არ აქვს მიდრეკილება ნაწიბურის ფორმირებისაკენ. პრაქტიკულად, რაღაც დროის გასვლის შემდეგ, ეს ყველაფერი შეუმჩნეველია. ასე რომ, ძუძუს გადიდება ითვლება მსოფლიოში და ჩვენთანაც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად ოპერაციად.

- რა გართულებები ან გვერდითი მოვლენები ახასიათებს ამ ოპერაციას?

- ამ ოპერაციას პრაქტიკულად არ ახასიათებს ისეთი გართულებები, რომლებიც შეიძლება იყოს რამენაირად სიცოცხლისთვის საშიში. ყველა პაციენტი უკლებლივ, წინასწარ არის შესწავლილი და გამოკვლეული სარძევე ჯირკვლის დიაგნოსტიკის თვალსაზრისით. თუ საჭირო არის მამოლოგი ერთვება კონსულტაციაში და აძლევს რეკომენტაციას მათ, როგორ უნდა მოიქცეს თუ არსებობს რამენაირი კვანძი, წარმონაქმნი. პაციენტს თუ დაუდასტურდა რაიმე სახის წარმონაქმნი, იგი ამოღებული იქნება იმავე ოპერაციაზე და მოხდება ერთ მომენტად ძუძუს გადიდება. ასე რომ, სხვა რაიმე ტიპის მძიმე გართულებები ან სირთულეები არ ახასიათებს.

ხშირად გამიგია, მოსაზრებები გოგოებისგან, რომ მათ ეშინიათ ძუძუზე რაიმე პლასტიკური ოპერაციის გაკეთება, რადგან შეიძლება ოპერაციის შემდგომ კიბო დაემართოთ. ეს არის აბსოლუტური მითი, რომელიც უნდა დაიმსხვრეს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ძუძუზე ოპერაცია არანაირ კავშირში არ არის ძუძუს კიბოს განვითარებასთან. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანმა უნდა ჩაიტაროს სკრინინგული გამოკვლევები. იმ შემთხვევაში თუ ადამიანს აქვს გაკეთებული ძუძუს გადიდება, ყოველთვის მეტ ყურადღებას აქცევს არსებულ მდგომარეობას.

- რამდენად ხშირად მოგმართავენ მკერდის პლასტიკის ოპერაციებზე?

- კვირაში არის 2-4-მდე ძუძუს გადიდების ოპერაცია. ძუძუს პლასტიკის ოპერაციებს სეზონურობა ახასიათებს, უფრო გრილ პერიოდში იკეთებენ გოგონები ამ ოპერაციას, რადგან ზაფხულისთვის უფრო თავისუფლად იყვნენ. რეაბილიტაცია არის ძალიან მარტივი, პირველი ერთი ორი კვირა აქტიურად არ უნდა დავტვირთოთ ზედა კიდურები და ერთი თვის განმავლობაში აცვიათ ძალიან კომფორტული კორსეტები, რომელიც იცავს პაციენტს ძუძუს გადიდების შემდგომი ტრავმატიზაციისგან. ეს არის სულ პოსტ ოპერაციული რეაბილიტაცია.

- რა ასაკშია მიზანშეწონილი მკერდის პლასტიკის გაკეთება?

- ამ ოპერაციას ასაკი შეზღუდული არ აქვს. მაგალითად, თუ ადამიანს არ აქვს საერთოდ ძუძუ და არის 18 – 19 წლის, ფსიქოლოგიურად მისი სტატუსი არის, ადეკვატურია, თუ ის აანალიზებს, თავის მდგომარეობას სრულფასოვნად, ოპერაციის გაკეთება არ წარმოადგენს რაიმე უკუჩვენებას. ბუნებრივია, ჩვენ რეკომენდაციებს ვაძლევთ, ვეუბნებით თუ გათხოვებას აპირებს უახლოეს მომავალში, ან ბავშვის გაჩენას უახლოეს პერიოდში, ამ ოპერაციის გაკეთება რეკომენდებული არ არის. რადგან ძუძუთი კვებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დეფორმაცია.

აწევა და დაპატარავება ეს არის სხვა ტიპის ოპერაციები, რომელიც ასევე პოპულარულია, თუმცა, რა თქმა უნდა, გადიდებასთან მიმართებით ბევრად ნაკლებია მოთხოვნა. რაც შეეხება ძუძუს აწევას, ხდება ერთ მომენტად, სილიკონის იმპლანტის გამოყენებით, ამ შემთხვევაში ძუძუ აინევს და თან მოცულობაშიც შეივსება.

შედმეგი კლასის ოპერაციაა, როდესაც ძუძუ არის მოკვეთილი სიმსივნური პათოლოგიის გამო. ჩვენი კლინიკა სთავაზობს ჩვენს პაციენტებს ყველა ტიპის აღდგენით ოპერაციას, დაწყებული სრული მოკვეთილი ძუძუთი, დამთავრებული ერთ მომენტიანი ძუძუს პათოლოგიის მოცილებით და ძუძუს რეკონსტრუქციით. მამოლოგთან გუნდური მუშაობის შედეგად ხდება ამ სარძევე ჯირკვლის ამოღება და ერთ მომენტად იმავე ოპერაციაზე იმპლანტის ჩადება. ადამიანი იღვიძებს, პათოლოგია მოცილებულია, ძუძუს ფორმა და მოცულობა კი აღდგენილი. ეს ძალიან დიდი მიღწევაა საქართველოშიც და მსოფლიოშიც. ასეთი ოპერაციები უკვე კარგად დაინერგა და ჩვენ ვამაყობთ, რომ ლიდერები და პიონერები ვართ ამ ოპერაციების დანერგვისა საქართველოს სამედიცინო სტრუქტურებში.

- რა განასხვავებს „კარაპს მედლაინს“ სხვა ესთეტიკური ცენტრებისგან?

- დღეს მსოფლიოში მეთოდიკები განსხვავებილი არ არის, უბრალოდ, ჩვენ პაციენტების ზედამხედველობის ყველანაირი უზრუნველყოფა გვაქვს. პაციენტის უსაფრთხოების დაცვის ყველანაირი საშუალება გვაქვს, ასევე ყველანაირი ფუნქციონალური, დიაგნოსტიკური საშუალებები იმისთვის, რომ პაციენტი იყოს სრულიად გამოკვლეული. გართულებების ან ნებისმიერი მდგომარეობის შემთხვევაში, ჩვენ პაციენტზე სრულფასოვნად ვაგებთ პასუხს. ასე არის მოწყობილი კლინიკაც და ასე არის მოწყობილი ჩვენი სამედიცინო გუნდიც, ბატონი ალექსანდრე კალანტაროვის ხელმძღვანელობით. ზოგიერთ კლინიკას არ აქვს ამხელა შესაძლებლობები, არ არიან თანამედროვე აპარატურით უზრუნველყოფილნი. ჩვენ მუდმივად ვანახლებთ სიტუაციას, მუდმივად ვეძებთ თანამედროვე მიდგომებს, რაც შეიძლება ესთეტიკურ ქირურგიაში იყოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ დავდივართ მოჯადოებულ წრეზე

ქეთი ხატიაშვილი

90-იანი წლების დასაწყისში, სწორედ იმიტომ რომ ზვიად გამსახურდიამ და გია ჭანტურიამ, ანუ ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა, საერთო ენა ვერ გამონახეს, გაჩნდნენ რუსული ფულითა და იარაღით აღჭურვილი თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი.

და ახლა სულ ერთი ხდება, ვინ მაშინდელი პრეზიდენტის გვერდით იბრძოდა და ვინ ოპოზიციონერი ჭანტურიას. სამოქალაქო ომისთვის ისინი ორივე თანაბრად აგებენ პასუხს. ლოგიკურია, რომ პოლიტიკური შეცდომები ერთსაც ძვირად დაუჯდა და მეორესაც.

გამსახურდიაც რადიკალი იყო და ჭანტურიაც. ორივე მათგანი ერთმანეთის მიმართ სიძულვილის ენას მიმართავდა, ერთმანეთს პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებდა და საკუთარ მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდა. მაგრამ თუკი პოლიტიკოსი ხარ, ხალხი ასეთი მძიმე არჩევანის წინაშე არ უნდა დააყენო.

ამ აურზაურით რუსეთმა ისარგებლა, საქართველო დაასუსტა და აიძულა, დსთ-ში შესულიყო. ამ გაუთავებელი შიდა კონფლიქტებით არძინბასაც საბაბი მიეცა, ეთქვა: აბა, ვის ველაპარაკო? ხედავთ, რა დღეში არიან ქართველები, ერთმანეთს არ ინდობენ და აფხაზ ხალხს რას უზამენო...

მოკლედ, 90-იანი წლების დასაწყისში, პოლიტიკურად სუსტი ფიგურების წყალობით, საქართველოში თითქმის ყველა მიზანს მიაღწიეს. მოგვიანებით შევარდნაძე იტყვის, რომ ის შეცდომებს არ დაუშვებს და რომ პოლიტიკაში მათაც ბევრი რამ იციან.

ვითარება შეიცვალა და შეიცვალა ტაქტიკაც. უკვე ვარდების რევოლუციის შემდეგაც იყო მოვლენებში ჩართვის მცდელობა. სწორედ იმ ღამეს, როცა შევარდნაძე გადადგა და თქვა: სახლში მივდივარო, ირინა სარიშვილმა განაცხადა: ამაღამ ჟვანია სააკაშვილს მოკლავსო... ედპ-ს ლიდერებისგან პოლიტიკოსები პროვოკაციებს ყოველთვის შეჩვეულები იყვნენ, ამიტომაც მაშინ სააკაშვილის დაცვა მაქსიმალურად გააძლიერეს.

ვითარება ახლაც დაძაბულია. „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაშია, „ქართული ოცნება“ – ხელისუფლებაში და ახლა ორივეს პასუხისმგებლობაა, არ დააყენონ ხალხი ისეთი უსამართლო არჩევანის წინაშე, როგორიც სამოქალაქო დაპირისპირებაა.

და ნურავინ შეეცდება, აქ ოპოზიციას თავისი მნიშვნელოვანი წილი პასუხისმგებლობა ააცილოს. ოპოზიცია თითქმის ყოველთვის იყო ხელისუფლების ქმედებების განმსაზღვრელი.

გავიხსენოთ თუნდაც ზვიად გამსახურდიას დროს, კინოს სახლთან შეკრებილი მაშინდელი ოპოზიცია, ედპ-ს სახით. მაშინ მათ საბედისწერო პროვოკაცია მოაწყვეს, როდესაც მცირერიცხოვან მიტინგზე გაისროლეს და ეს ხელისუფლებას დააბრალეს.

ოპოზიციას საქართველოში ტრადიციად ჩამოუყალიბდა, არჩევნებს კი არ დაელოდოს, მუდმივად არყიოს ხელისუფლება, მიაღწიოს მის დამხობას და ვადამდელ არჩევნებს. ასეთი იყო გამსახურდიას ოპოზიცია რადიკალი ჭანტურიას სახით; ასეთი იყო სააკაშვილის ოპოზიცია ბადრი პატარკაციშვილისა და ნინო ბურჯანაძის სახით; ასეთია, სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობის“ სახითაც.

როგორც ჩანს, მალე და ჩქარა ვერტიკალზე მოხვედრა ძალიან დიდი ცდუნებაა.

ამ ნიშნით პოლიტიკის პროფესიონალები და პოლიტიკაში ყველაზე გამოცდილი ნაციონალები ჭანტურიას, ძმებ „გრეჩიხებსა“ და ბურჯანაძეს დაემსგავსნენ, რომლებიც ყოველ სეზონზე ქუჩის დიდ აქციებს აანონსებდნენ და ვადამდელ არჩევნებსა და ხელისუფლების გადადგომას ითხოვდნენ.

ხალხმა არჩევანი საარჩევნო ურნასთან უნდა გააკეთოს და არა ქუჩაში.

რა უფრო დამაზიანებელია – ცუდი ხელისუფლების 4 წლით ატანა თუ ქვეყნის სამოქალაქო ომში ჩათრევა?

ოპოზიცია ყოველთვის განაპირობებდა ხელისუფლების ქმედებას და პირიქით. გია ჭანტურიამ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანა სამოქალაქო ომში შეიყვანა, მხოლოდ იმიტომ რომ არ სურდა, ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია ეხილა; ბადრი პატარკაციშვილსა და ნინო ბურჯანაძეს მიხეილ სააკაშვილი ეზიზღებოდათ; ნაციონალები ბიძინა ივანიშვილს ვერ იტანენ; შევარდნაძე, საერთოდ, ის გამონაკლისია, რომელსაც რუსები ცალკე აფეთქებდნენ და ზვიადისტები – ცალკე.

შესაბამისად, ყველა ხელისუფლებას უწევდა შეურიგებელი ოპოზიციის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. შევარდნაძემ ზვიადისტების წინააღმდეგ აღძრა, სააკაშვილმა – ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ, ახლა ნაციონალების წინააღმდეგ აღიძრა.

ეს ისტორიის ერთი მხარეა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ისპირეზის ზღვარზე?

ხალხმა არჩევანი საარჩევნო ურნასთან უნდა გააკეთოს და არა ქუჩაში. რა უფრო დამაზიანებელია – ცუდი ხელისუფლების 4 წლით ატანა თუ ქვეყნის სამოქალაქო ომში ჩათრევა?

ოპოზიციის მუდმივი სენი, ხელისუფლებების მართვის სტილი

მეორე მხარეა ხელისუფლებები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შეურიგებლებიც კი იყვნენ ოპოზიციასთან მიმართებაში. ზვიად გამსახურდია, ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილი, საკუთარ ოპოზიციას რუსეთის აგენტებს, შემოგზავნილებსა და მოღალატეებს ეძახდა. შევარდნაძე გაცილებით ტოლერანტული გახლდათ. მან შერიგების პოლიტიკაც კი განახორციელა და ტყეში გახიზნულ ზვიადის მომხრეებს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. თუმცა, 9 თებერვლის ტერაქტი მაინც ვერ აიცილა. სააკაშვილის გამოთქმებიც ძალიან რადიკალური იყო. ოპოზიციასთან საუბარი მასაც არ შეეძლო.

ისე ჩანს, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალასთან ურთიერთობა არც ამ ხელისუფლებას სურს. თუ წინა ხელისუფლებები, მაგალითად, გამსახურდია და სააკაშვილი, ამას იმით ხსნიდნენ, რომ მათი ოპოზიცია პრორუსული იყო, რუსეთმა მოისყიდა და პროვოკაციების მოწყობა დაავალა, ახლანდელი ხელისუფლების არგუმენტი ადამიანის წამება და ბიზნესმენებისთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევაა. ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკაში დარჩენის უფლება არ აქვს. თუმცა, ის ამ მოსაზრებაში მარტო არ ყოფილა. ადრე ასეთივე განცხადება პრემიერმა ღარიბაშვილმაც გააკეთა.

საერთო, ჯამში, ორი ტიპის ოპოზიციასთან გვაქვს ხოლმე საქმე – რომლის მოსყიდვაც შეიძლება და რომელთან ლაპარაკსაც აზრი არ აქვს, იმდენად შეუვალი და შეურიგებელია. ასეთი იყო ნინო ბურჯანაძე, რომელმაც 26 მაისს დიდი პროვოკაცია მოაწყო და ხელისუფლება აგრესიულ ქმედებაზე გამოიწვია (ძალის გადამეტება ხელისუფლების მხრიდან სხვა თემაა).

ხელისუფლებები კი ზოგჯერ ადეკვატურად და ზოგჯერ არაადეკვატურად რეაგირებენ ოპოზიციურ გამოწვევებზე. ხან ძალას მიმართავენ და ხან ფინანსებს იყენებენ. გამსახურდიამ ვერც ერთი ვერ შეძლო – საქართველო სახელმწიფო ჯერ არ იყო და მან ეს ტექნოლოგიები არც იცოდა. შევარდნაძემ ზოგს ფული მისცა და ზოგს ძალა უჩვენა, ბევრიც დააპატიმრა. სააკაშვილიც ზოგს ურიგდებოდა და ზოგს ძალით იმორჩილებდა. ახალი ხელისუფლება ასეთი გამოწვევების წინაშე ახლა დგას და მისთვის ეს ერთგვარი ტესტი იქნება. ნაციონალები შეურიგებელ ოპოზიციას ემსგავსებიან, რომლებიც ხელისუფლებასთან არასოდეს არანაირ გარიგებაზე არ წავლენ, რაც არ უნდა მომგებიანი ან მისაღები იყოს ეს მათთვის საკანონმდებლო დონეზეც კი.

ასე რომ, ხშირად ოპოზიცია განაპირობებს ხელისუფლების ქმედებას, როგორც ეს ბურჯანაძის შემთხვევაში იყო (მაგალითად, 26 მაისს). და ხშირად ხელისუფლება განაპირობებს ოპოზიციის ქმედებას, როგორც ეს ზვიადისტების დროს იყო.

ახლა საქართველოს ისტორიას ნაცები და ქოცები წერენ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თავისუფალი დემოკრატების“ გუნდის წევრი უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის პრეზენტაციას გეგმავს

ნატო-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, ვიქტორ დოლიძის ძმა, ლევან დოლიძე უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის პრეზენტაციას გეგმავს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ორგანიზაციაში, რომლის პრეზენტაციაც ნოემბერში გაიმართება, პოლიტიკური ფიგურები არ იქნებიან წარმოდგენილნი.

ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ პირველი განცხადება ლევან დოლიძემ ივნისში გაავრცელა, რომლის თანახმადაც, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (GCSD) არის დამოუკიდებელი, პოლიტიკურად მიუმხრობელი ორგანიზაცია, რომელიც განვითარების, დემოკრატიის, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე იმუშავებს.

ლევან დოლიძემ ნატო-ში საქართველოს ელჩის თანამდებობა 26 იანვარს დატოვა. მის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ირაკლი ალასანიას ბრიფინგი, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ წარმოებული საქმე ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსზე შეტევად შეაფასა, რის შემდეგაც ის პრემიერ-მინისტრმა თანამდებობიდან გადააყენა.

ლევან დოლიძე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა; ამავდროულად, თავდაცვის უწყების საპარლამენტო მდივნის ფუნქციას ასრულებდა.

მისი მუშაობის ძირითადი მიმართულება თავდაცვის სამინისტროში გასატარებელი რეფორმები იყო, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის ამაღლებას გულისხმობს.

ლევან დოლიძე თავდაცვის უწყებას საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხითაც უწევდა კოორდინირებას.

ნატო-ში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე ლევან დოლიძემ ორი წელი იმუშავა.

ბერეზოვსკის შვილი საქართველოში იმყოფებოდა

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი რუსი ბიზნესმენის, ბორის ბერეზოვსკის შვილი თბილისში იმყოფებოდა.

გასაიდუმლოებული ვიზიტის შესახებ საუბრისას, ინფორმაციის ავტორები ამბობენ, რომ უცნობია, ბერეზოვსკის რომელი შვილი სტუმრობდა საქართველოს დედაქალაქს. როგორც ცნობილია, ბერეზოვსკი ოფიციალურად ორჯერ იყო დაქორწინებული და მას ექვსი შვილი ჰყავს.

ბერეზოვსკი, რომელიც ლონდონში 67 წლის ასაკში გარდაიცვალა, დიდ ბრიტანეთში 13 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ბერეზოვსკიზე ძებნა იყო გამოცხადებული რუსეთში, სადაც ის დაუსწრებლად გაასამართლეს და თაღლითობაში ბრალდების საფუძველზე პატიმრობა მიუსაჯეს.

2003 წელს თავად რუსი ბიზნესმენის საქართველოში ვიზიტზეც გავრცელდა ინფორმაცია. ის 2003 წლის, 3 დეკემბერს ლონდონიდან სპეცრეისით ჩამოფრინდა. მისი დოკუმენტები პლატონ ელენინის სახელზე იყო გაფორმებული.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მაშინდელ ელჩს რუსეთში ზურაბ აბაშიძეს ნოტა გადასცა, რომელშიც ის ქართული მხარისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვდა, რატომ არ მოხდა შესაბამისი სტრუქტურების მიერ თბილისში მყოფი რუსი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის დაკავება და რუსეთში ექსტრადირება.

ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პიროვნებას ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდა, ის არ იძებნებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ და მისი დაკავების არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

ბორის ბერეზოვსკი თბილისში თავისი ბიზნესპარტნიორის ბადრი პატარკაციშვილის თვითმფრინავით ჩამოფრინდა, ის 5 საათის განმავლობაში იმყოფებოდა თბილისში და ისევ ლონდონში დაბრუნდა. მოგვიანებით, ბერეზოვსკიმ თავად განაცხადა, რომ ის თავის მეგობარს, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს შეხვდა. ერთ-ერთი ვერსიით, ბერეზოვსკი თბილისში ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგაც იმყოფებოდა და მას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, გივი თარგამაძემ უმასპინძლა.

თიბისი გალერეამ ვანო აბულაძის პოპარტს უმასპინძლა

სალომე ჯოლია

21 ოქტომბერს, 19 საათზე, თიბისი გალერეამ ცნობილი ქართველი მხატვრის, ვანო აბულაძის პოპარტს, „თეთრი ციებ-ცხელება“ უმასპინძლა.

„თეთრი ციებ-ცხელება“ გამოფენა-აქციაა, რომლის ფარგლებშიც მხატვარმა პირველად წარმოადგინა 3 სამგანზომილებიანი კომპოზიცია, ანუ ობიექტი და ასამბლაჟის ტექნიკით (სხვადახვა მასალითა და ნივთებით, მათ შორის ავტომობილის ნაწილებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით) შესრულებული 25-ზე მეტი ნამუშევარი.

ვანო აბულაძის პოპარტი პრინციპულად განსხვავდება მის მიერ წინა წლებში შექმნილი ნამუშევრებისგან, თუმცა მხატვარი თავის თემატურ ხაზს აგრძელებს და გროტესკით გაჯერებულ კომპოზიციებს გვთავაზობს.

ვანო აბულაძე, მხატვარი: „დღეს ვცხოვრობთ სრულიად სხვა განზომილებაში და სრულიად სხვა გამომსახველობითი ფორმები არის საჭირო თანამედროვეობის აღსაწერად. და თუკი ჩემი გამოფენა ამას, ცოტათი მაინც, ართმევს თავს - ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამარჯვებაა.

ეს ნამუშევრები იმითი განსხვავდება ჩემი სხვა ნამუშევრებისგან, რომ ადამიანი ყოველთვის ყველაფერს ლამაზი ფორმით უნდა აღიქვამდეს. როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა, ადამიანი ქანდაკებასავით არის. ქანდაკებას იმ კუთხიდან უნდა უყურო, რომელი კუთხიდანაც უფრო ლამაზად აღიქმება. აი აქ, ყველაზე ჟანგიანი საგნები არის წარმოდგენილი. ამ ჟანგიან საგნებს შეიძლება კაცმა მოუძებნოს ძალიან კარგი ადგილი, რომ სხვისთვის იყოს ძალიან ლამაზი დასანახი.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ ნამუშევრების შესაქმნელად ძიება ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. მე ამისთვის დავდიოდი ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში, დავდიოდი ნავთლუღის „ბარახლოების“ ბაზრობაზე, დავდიოდი ელიავას ბაზრობაზე, დაშლილი მანქანების ნაწილების ბაზრობაზე, პროფილაქტიკებში და ასე შემდეგ, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი წარმომედგინა თქვენთვის“.

ექსპოზიციაზე, რომელიც სპეციალურად თიბისი გალერეისთვის შეიქმნა, ცნობილი მხატვარი ზუსტად 9 თვის განმავლობაში, 15 იანვირიდან - 15 სექტემბრამდე, მუშაობდა.

ვანო აბულაძის ნამუშევრები „უნგრეთის ხელოვნების მუზეუმში“, „მოსკოვის აღმოსავლეთ ხალხთა ხელოვნების მუზეუმში“, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, აშშ-ის და საქართველოს კერძო კოლექციებშია დაცული. მხატვრის ნამუშევრები მსოფლიოს მასშტაბით არაერთი პერსონალური და ჯგუფური გამოფენის ფარგლებში გამოიფინა.

ცნობილმა მხატვარმა აღნიშნა, რომ მას ჰყავდა მუზა, თუმცა მისი ვინაობა არ გაამხილა.

ვანო აბულაძე, მხატვარი: „რა თქმა უნდა, მუზა არის, მაგრამ ეს მუზა რჩება საიდუმლოდ. არის რაღაც, რასაც ხელოვანი თავისთვის იტოვებს. ეს მარტო მე ვიცი, მეტმა არავინ უნდა გაიგოს“.

ვანო აბულაძის გამოფენას თიბისი გალერეა უკვე მეორედ მასპინძლობს. პირველად მხატვრის ნამუშევრები „ძველი და ახალი ბათუმი“ თიბისი გალერეაში 2014 წელს გამოიფინა.

„თეთრი ციებ-ცხელება“ დამთვალიერებელს თიბისი გალერეაში 6 ნოემბრამდე ელოდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა საიდუმლო მასალებს უგზ

საიდუმლო დოკუმენტში მოქმედი მაღალჩინოსნებიც მოხვდნენ?!

ეკა ბესელია: „გამოვავლინეთ კონკრეტულ პირთა წრე და ვამოწმებთ ინფორმაციას... ჩვენ ამ მასალას პროკურატურას გადავცემთ“

მირიან ბოქოლიშვილი

უკრაინულ საიტზე წამებისა და სექსუალური ძალადობის კადრების გამოქვეყნების შემდეგ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შუალედური ანგარიში წარმოადგინა, სადაც სწორედ პატიმართა წამებისა და ქონებების უკანონო ჩამორთმევაზეა საუბარი. სამუშაო ჯგუფმა დოკუმენტზე მუშაობა 2015 წლის თებერვალში დაიწყო და დასკვნა სწორედ გასულ კვირას გამოაქვეყნა, თუმცა, როგორც კომიტეტში ამბობენ, ანგარიშის წარდგენა უკრაინულ მედიაში წამების ამსახველი კადრების გავრცელებას არ უკავშირდება.

ანგარიშის ნაწილი, სადაც კონკრეტული თანამდებობის პირების ბრალეულობაზეა საუბარი გასაიდუმლოებულია. საიდუმლო მასალები შესაბამისი რეაგირებისთვის საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნება, მანამდე კი ცნობილი ხდება, რომ წამების ფაქტებზე შესაძლოა, რამდენიმე მოქმედი სამართალდამცავიც გაასამართლონ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შუალედური ანგარიშის თანახმად, დაზარალებული პირები ასახელებენ როგორც ყოფილ, ასევე მოქმედ 32 პროკურორს, 69 პოლიციელს, სასჯელაღსრულების დაწესებულების 77 თანამშრომელს, ასევე რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს.

„პრაიმტაიმმა“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია კონკრეტული ფაქტების შესახებ. კომიტეტში განგვიმარტეს, რომ ამ მასალების გასაიდუმლოების მიზეზი უდანაშაულობის პრეზუმფცია და ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაა, თუმცა ბესელიას კომიტეტში, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტული პირების იდენტიფიცირების გარეშე გაგვაცნეს რამდენიმე კონკრეტული საქმე, სადაც აშკარა წამებისა და სხვა სახის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. გთავაზობთ, მცირე ამონარიდებს ანგარიშის არასაიდუმლო ნაწილიდან:

„მსჯავრდადებული ჩაიყვანეს კარცერში, დაუდეს რამდენიმე განსხვავებული ზომის ხელკეტი და ციინიკურად შესთავაზეს არჩევანის უფლება. შემდეგ დაუწყეს ცემა. გამოიყენეს ელექტროშოკი. გულის წასვლის შემდეგ მოასულიერეს. მოსულიერების შემდეგ კისერზე მოაბეს ე.წ. „აშეინიკი“, მიაბეს „რეშკაზე“ და გულის წასვლამდე სცემეს. ამის შემდეგ ჩაკეტეს კარცერში და 12 დღე არ აძლევდნენ საკვებს“.

„ხელისა და ფეხის გამოყენებით სცემეს, შემდეგ გახადეს ფეხსაცმელი და ფეხის თითებზე ურტყეს ფეხსაცმლის ქუსლი. ხელებს უკავებდნენ და ელექტროშოკით ანამებდნენ. ასევე, ურტყამდნენ ყურებში, ხელკეტს – ზურგზე და ნვივებზე. გადაუგრიხეს კისერი და სახეში აფურთხებდნენ. ემუქრებოდნენ ე.ნ. „საქათმეში“ შეგდებით, „ოჯახის წევრების გაბოზებით“. მაგიდაზე გადააწვინეს და გაუპატიურების იმიტაცია გაითამაშეს“.

„სამი პატიმარი შეიყვანეს #1 კარანტინში, ოფიცრებმა შემოარტყეს წრე... შეაგდეს წრის შუაგულში და დაუწყეს ცემა-წამება. იყენებდნენ პლასტმასის მილებს, ასევე, წაქცეულებს ფეხებით ახტებოდნენ თავზე, იყენებდნენ წყლით სავსე პლასტმასის ბოთლებს. წამება ხდებოდა დღეში 4-5-ჯერ და გრძელდებოდა 45 წუთის განმავლობაში“.

„ქუთაისის #2 დაწესებულებაში აღიარებითი ჩვენების მისაღებად, გარკვეული პერიოდულობით პატიმარი ღამის საათებში 2-3 საათით გამოჰყავდათ საკნიდან, გაჰყავდათ ე.წ. „ბოქსებში“, სადაც სცემდნენ და აწამებდნენ. წამების შემდეგ ფუქსებში უსხამდნენ ქლორიან წყალს და მთელი ღამე ტოვებდნენ. ქლორის სუნთქვის შედეგად დაავადდა მძიმე ფორმის ტუბერკულოზით“.

„მსჯავრდადებული გამოიყვანეს საკნიდან, გაატარეს სპეცრაზმელების მიერ შექმნილ დერეფანში, რა დროსაც სპეცრაზმელებმა პატიმარი ხელკეტებით არაადამიანურად სცემეს. ცემის დროს თავზე გადაამტვრიეს ფანერა, შემდეგ წაქციეს და ნიხლებს ურტყამდნენ. უწოდებდნენ ქვეყნის მოღალატეს, უყვიროდნენ და ეუბნებოდნენ, გამოეტანა სარჩელი სტრასბურგიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ ასე იქნებოდა და „ევროპა ვერ უშველიდა“. ასევე, ფეხს ურტყამდნენ ხერხემლის არეში, შემდეგ შეიყვანეს კამერაში, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კვლავ გაიმეორეს იგივე“.

„მსჯავრდადებულს დაკავებისას სოდ-ის თანამშრომლები შეუვარდნენ სახლში. როგორც ამბობს, მთელი სახლი გადაუბრუნეს, აურიეს, თავად მას კი ცემა დაუწყეს. სცემეს მისი მეუღლე, იარაღის ლულას უდებდნენ პირში და „ტვინის გასხმევინებით“ ემუქრებოდნენ. ასევე, ემუქრებოდნენ მის თვალწინ მეუღლის გაუპატიურებით. შემდეგ ნაიყვანეს მოდულის შენობაში, სადაც ორი საათის მანძილზე სცემდნენ და აწამებდნენ დანაშაულის აღიარების მიზნით“.

„პირი დაკავების დროს წაქციეს, ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და მიიყვანეს ზუგდიდის პოლიციის განყოფილებაში. დაუწყეს ცემა, ასევე აფურთხებდნენ სახეში და დასცინოდნენ. შემდეგ აფურთხებდნენ გარდაცვლილი მამიდის სურათზე, რომელიც ეკეთა გულზე. ცემის შემდეგ გაიყვანეს ექიმთან. გადაყვანის დროს მანდილოსნების თვალწინ დააგორეს კიბიდან და დასცინოდნენ. ექიმმა გაუკეთა ნემსი, რის შემდეგაც გადაიყვანეს ნარკოლოგიურში და დაადანაშაულეს ნარკოტიკის მოხმარებაში. შემდეგ წაიყვანეს გამომძიებელთან, რომელმაც მოსთხოვა ახალი ბრალდების აღიარება, არაღიარების შემთხვევაში კი პატიმრობითა და დაწესებულებაში მისი გაუპატიურების დაკვეთით დაემუქრა. ამის შემდეგ გადაიყვანეს ზუგდიდის ციხეში, სადაც ბრალის აღიარების მიზნით გარკვეული პერიოდის მანძილზე აწამებდნენ“.

„მსჯავრდადებულს კამერაში შეუვარდა ციხის სამი თანამშრომელი, დაუწყეს ცემა, დაადვრეს ფრჩხილები ფეხებზე. ცემის შედეგად დაუსკდა ყურის ბარაბნები. დენს ატარებდნენ წყლით სავსე ჭურჭელში და აიძულებდნენ ფეხის ჩაყოფას“.

„ჩასვეს სავარძელში, მიაბეს ბორკილებით. წყლით სავსე ბოთლს ურტყამდნენ თავში, სანამ არ დაკარგა გონება, შემდეგ გამოაფხიზლეს, შემოუყვანეს მცირეწლოვანი შვილები და ემუქრებოდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ბრალი არ აღიარებინეს“.

„მსჯავრდადებული კარცერში წამების შემდეგ გაიყვანეს ე.წ. ფუქსში, რომელიც იყო დაახლოებით 3 კვ.მ ზომის. იქ, ასევე, იმყოფებოდა სხვა პატიმარი, რომელსაც მისნაირი დაარქვეს. ამ პირობებში გააჩერეს სამი დღე ღამის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე სცემდნენ, იყენებდნენ ელექტროშოკს, ასევე პლასტმასის მილებს, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. პატიმრებმა წამების მეთოდების შეწყვეტის მიზნით კბილებითა და მინით დაიზიანეს სხეული, ამის მიუხედავად, ისინი მთავარმა ექიმმა გააკოჭვინა და ჭრილობებში მარილი ჩააყარა. გულის წასვლის შემდეგ, ნიშადურის სპირტით მოასულიერეს. რამდენიმე კვირის შემდეგ, ისევ განხორციელდა მათ მიმართ წამება, კონკრეტულად, პირდაღმა კიდებდნენ და ერთმანეთის წამებას აყურებინებდნენ“.

„ძეშოკჩამფარებული ჩაჰყავდათ მორგში, აწამებდნენ ელექტროშოკით. ცხედრებთან აბამდნენ და ქლორიან წყალს უსახმდნენ კამერაში. წამების დროს დააძვრეს ფრჩხილები, დაუზიანეს თავის ქალა, მოტეხეს ნეკნები და ფეხი, გაუტეხეს ცხვირი და ჩაუმტვრიეს კბილები“.

> **„სცემეს მისი მეუღლე, იარაღის ლულას უდებდნენ პირში და „ტვინის გასხმევინებით“ ემუქრებოდნენ. ასევე, ემუქრებოდნენ მის თვალწინ მეუღლის გაუპატიურებით“**

„პრაიმტაიმი“ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული შუალედური ანგარიშის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიასაც ესაუბრა, რომელიც აღნიშნავს, რომ უკვე არსებობს კონკრეტულ პირთა წრე, რომელიც შესაბამის ორგანოებს გადაეცემა. ბესელია არ გამორიცხავს, რომ ამ სიაში მყოფ პირთა ნაწილი კვლავაც თანამდებობაზე რჩებოდეს.

ეკა ბესელია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

– ანგარიში საკმაოდ ხანგრძლივი შესწავლის შედეგად მომზადდა. ჯერ საბოლოოდ კიდევ არ დასრულებულა შემაჯამებელ დოკუმენტზე მუშაობა, ეს გახლავთ მხოლოდ შუალედური ანგარიში. სამუშაო ჯგუფი სნავლობს კომიტეტში შემოსულ საჩივრებს. რამდენადაც ეს საჩივრები არის ძალიან ბევრი და გაირკვა, რომ საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან, ამიტომაც გადაწყდა სისტემური კვლევა. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ, ერთი მხრივ, მოხდეს ამ ყველაფრის სამართლებრივი შეფასება და მეორე მხრივ, გაანალიზდეს გამომწვევი მიზეზები, ასევე, მომზადდეს რეკომენდაციები. ნარმოდგენილ ანგარიშში საუბარია წამების, არაადამიანური მოპყრობის, მუქარის სხვადასხვა ფორმებზე, ასევე, ქონების იძულებით ჩამორთმევის არაერთ ფაქტზე.

– თქვენს ანგარიშში საუბარია მხოლოდ ყოფილი სახელმწიფო მოხელეების დანაშაულზე, თუ მათ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავნის ბესელია ბადაშვილს?

„მეშოკ-ჩამოფარეებული ჩაჰყავდათ მორგში, აწამებდნენ ელექტროშოკით და ცხედრებთან აბამდნენ“

„წამების შეწყვეტის მიზნით კბილებითა და მინით დაიზიანეს სხეული, ამის მიუხედავად, ისინი მთავარმა ექიმმა გააკოჭვინა და ჭრილობებში მარილი ჩააყარა“

შორის მოქმედი თანამშრომლებიც არიან?

– საუბარია პირებზე, რომლებიც იმ პერიოდში მუშაობდნენ, ძალოვან თუ სხვა სტრუქტურებში. შესაძლოა, ამ ხალხის ნაწილი დღესაც რჩებოდეს თანამდებობებზე. ამიტომ ჩვენ ცალკე სამუშაო რეჟიმში გავივლით ამ საკითხს, როგორც პროკურატურასთან, ისე სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან. ჩვენ გამოვავლინეთ კონკრეტულ პირთა წრე და ვამოწმებთ ინფორმაციას, ამ სიიდან ვინ აგრძელებს თანამდებობაზე მუშაობას, ვინ მიეცა პასუხისგებაში და ვინ განთავისუფლდა. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რომ ყველა ეს პირი დამნაშავეა. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ კონკრეტული ადამიანები ასახელებენ და ბრალს სდებენ სხვადასხვა სახის უკანონო ქმედებებში. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დადასტურებულ ბრალს. სავარაუდოდ, შემაჯამებელ დოკუმენტზე მუშაობა წლის ბოლოს დასრულდება და ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი სერიოზული და ღრმა კვლევა.

– ეს იქნება მაინც პოლიტიკური შეფასება, რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს... რა გაგრძელება მოჰყვება სამართლებრივად ამ დოკუმენტს?

– ჩვენ ამ მასალას გადავცემთ პროკურატურას. ისინი გამოძიების ფარგლებში გადაამოწმებენ, არის თუ არა აქ ახალი ინფორმაციები. შესაძლოა, ეს ინფორმაციები უკვე აქვს კიდეც საგამოძიებო ორგანოს. ამიტომ მოხდება შეჯერება და გაანალიზება.

– რამდენიმე დღის წინ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა წამებისა და სექსუალური ძალადობის კადრები. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ კადრების გავრცელების უკან რეალურად ხელისუფლება დგას, რომელსაც სურს, კვლავ მსგავსი კომპრომატებით მოიგოს 2016 წლის არჩევნები... ეჭვი მაქვს, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებთ...

– არ მაქვს არანაირი საფუძველი, რომ კადრების გავრცელებასთან ხელისუფლების კავშირი ვირწმუნო. ეს ხელისუფლების ინტერესში ნამდვილად არ შედის. ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნება იყო პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურება და ეს ნება გამოიხატა თავის დროზე, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა კომისიის გადაწყვეტილებით გაანადგურა ასეთი ჩანაწერები. ამ პროცესში ჩართული იყო არასამთავრობო სექტორიც, თუმცა თავის დროზე ბევრ ადამიანს ჰქონდა წვდომა ამ კადრებზე, საუბარი მაქვს წინა ხელისუფლებაზე. როცა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა, აქედან დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ძალოვან უწყებებს კვლავაც აკონტროლებდნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები. შესაბამისად, ამ კადრებთან, არქივთან წვდომა მათ ჰქონდათ. მაშინაც გამოითქვა ეჭვი, რომ არსებობს ბევრი ადამიანი, ვისაც შეეძლო ასლების გადაღება. ასე რომ, ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, ვინ დგას ამ კადრების გავრცელების უკან. მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ ეს დაკავშირებულია იმ ნარსულ ძალასთან, რომლის ავტორობითაც მთელი ეს სისტემა შეიქმნა.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ წინა ხელისუფლება საკუთარი თავის მაკომპრომეტირებელ მასალებს ავრცელებს?

– ეს არ არის საკუთარი თავის წინააღმდეგ კომპრომატები, რადგან მათ შიგნითაც ბევრი დაპირისპირებული ჯგუფი არსებობს, არსებობს კონფლიქტები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს რომელიმე ამ ჯგუფის მიერ იყოს პროვოცირებული.

– წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გარდა, თქვენს ანგარიშში საუბარია, ასევე, ქონების უკანონო ჩამორთმევის ფაქტებზეც. ასევე, სისტემური ხასიათი ჰქონდა ამ დანაშაულს?

– კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა საკუთრების უკანონო ჩამორთმევა ხდებოდა და ამ პროცესში ჩართული იყო მთელი სახელმწიფო, დაწყებული პროკურორებით და დამთავრებული მოსამართლეებით. ეს ხდებოდა სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, შეთითხნილი ბრალდებებით პასუხისგებაში მიცემა და შემდეგ საპროცესოს გაფორმება სწორედ ქონების დათმობის სანაცვლოდ. ეს ორგანიზებული იყო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ, რაც ადასტურებს ამ დანაშაულის სისტემურობას.

– პროკურატურის რეფორმაზეც მინდა გკითხოთ... რამდენად უზრუნველყოფს ეს რეფორმა სისტემის დამოუკიდებლობას იმ ფონზე, როცა პროკურატურა კვლავ რჩება აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად?

– პროკურატურა რაღაც სისტემის ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. ცალკე, ავტონომიურად ვერ იარსებებს. გამოვცადეთ პერიოდი, როდესაც ის იყო სასამართლოს ქოლგის ქვეშ და გვახსოვს, რა მახინჯი მოდელიც შეიქმნა ამ დროს. დიახ, ახლა რჩება აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლი, მაგრამ ბევრი განვითარებული და დემოკრატიული ქვეყანა, სწორედ ამ მოდელით მუშაობს და პროკურატურის მიუკერძოებლობაში იქ ეჭვი არავის შეაქვს. სწორედ ამ გზით მივდივართ ჩვენც, რომ არანაირი ეჭვი არ დარჩეს და რეფორმა სწორედ აქეთკენ არის მიმართული. პროკურატურა ხდება პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებული, რაც აძლიერებს ზედამხედველობის მექანიზმს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეზო ჩხიკვიშვილის ცხოვ

my View

ნინო მჭედლიშვილი

„მაშინ ვფიქროზდი, ნეტავ გაიღოს ახლა კარი, შემოვიდეს თეთრ ცხენზე ამხედრებული რეზო, შემოისვას ეს გოგო და გააქროლოს შორს-მეთქი“

„ადრე ადამიანს რომ შეეკითხებოდი, როგორ ხარო, კარგადო, გპასუხობდა. ახლა, მინიმუმ ერთი საათი უნდა გქონდეს დრო, ეს კითხვა რომ დასვა“

ექიმების ოჯახში გაიზარდა, თეთრი ხალათი და ექიმის სტატუსი მომხიბვლელად ჩანდა მისთვის. ამის მიუხედავად მსახიობობა არჩია. ბავშვობიდან შეყვარებული იყო, უნდოდა პოპულარობა მოეპოვებინა და ამით გოგონების გულები მოეგო. იღბლიანი აღმოჩნდა. ჩაფიქრებაც ვერ მოასწრო ისე აუხდა ოცნება. მისი პირველივე როლი, რუსთავის თეატრში წარმატებული აღმოჩნდა. მაშინ თბილისში ყველა გოგო შეყვარებული იყო კოკაზე, რომელსაც სპექტაკლში, - „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ რეზო ჩხიკვიშვილი ასახიერებდა. პოპულარობამ, სიხარულთან ერთად, ბევრი ცუდიც მოუტანა. როგორ ამწარებდნენ შეყვარებული გოგონები მის ოჯახს, როგორ იპოვა ცხოვრების მთავარი სიყვარული და როგორ ცხოვრობს საქართველოდან შორს, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ. დღეს მსახიობს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ.

გოგონების ეშხით არჩეული პროფესია

- ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ, მამაჩემი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, სამხედრო ექიმი გახლდათ, მათ მაშინ პრივილეგიები ჰქონდათ. სამხედრო ბაღში დავდიოდი. დედა სტომატოლოგი იყო. ბავშვობა მართლაც უდარდელი მქონდა. დაუმორჩილებელი, გათამამებული ბავშვი ვიყავი. 5 წლის ასაკში სიგარეტის მოწევა დავიწყე. ერთმა ჯარისკაცმა შემომთავაზა და გავსინჯე. მერე ჩემი ეზოს ბიჭებს ვუთხარი, ეს რა კარგი რამე ყოფილა სიგარეტი-მეთქი. მაშინ ფული არ გვქონდა, ვიმალებოდით სარდაფებში, გაზეთებს ვახვევდით და იმას ვეწეოდით. მერე, ცოტა რომ წამოვიზარდეთ, კაპიკებს ვაგროვებდით და ნამდვილ სიგარეტს ვყიდულობდით. გამყიდველს ეჭვი რომ არ აეღო, ერთ სიგარეტს და ოცდაათ კოლოფ ასანთს ვყიდულობდით. საერთოდ, ძალიან ეშმაკი ბავშვი ვიყავი, ამ სიეშმაკემ და ანცობამ მოიტანა ის, რომ სკოლაში ყველა მეუბნებოდა, რეზო, შენ კარგი მსახიობი იქნებიო.

- ექიმობა არ გინდოდათ?

- მინდოდა. მომწონდა ჩვენთან ჩემი მშობლების პაციენტები რომ მოდიოდნენ. დომინანტი ხარ, თეთრ ხალათში ჩაცმული გადამრჩენელი, ეხმარები ადამიანებს... მაგრამ, ერთხელ, მამაჩემთან ვიყავი, ოპერაციას შევესწარი, შემთხვევით აღმოვჩნდი იქ და სისხლი რომ დავინახე, მივხვდი, რომ ვერც თავს მოვიტყუებ და ვერც სხვებს, რომ ეს არ არის ჩემი საქმე. თან ჰუმანიტარული საგნები უფრო მიყვარდა. სკოლის პერიოდში მესმოდა გოგოებისგან, როგორ რეაგირებდნენ ცნობილი ადამიანების დანახვაზე, გულის წასვლამდე მიდიოდნენ ბუბა კიკაბიძის, მურმან ჯინორიას დანახვაზე. ამან ჩემში დიდი ინტერესი გააჩინა. თან, რაც თავი მახსოვს, სულ შეყვარებული ვიყავი. სკოლაში გოგო, რომელიც გვერდით მეჯდა, მიყვარდა და ვერ ვეუბნებოდი. სულ ოცნებებში ვიყავი, როდის მომეცემოდა საშუალება და შევეხებოდი, როდის გავიგონებდი მის სუნთქვას ახლოს... მაშინ ვფიქრობდი, ნეტავ გაიღოს ახლა კარი, შემოვიდეს თეთრ ცხენზე მჯდარი რეზო, შემოისვას ეს გოგო და გააქროლოს შორს (იცინის). მინდოდა, მეც ვყოფილიყავი ცნობადი, რომ ადვილად გამოვტყდომოდი გოგონებს სიყვარულში. ამასობაში იმდენი მიიახეს, მსახიობი უნდა გამოხვიდე, მსახიობო, მეც დავფიქრდი.

- გავლენა მაინც არის ხოლმე, ფილმის, მსახიობის. გყავდათ, საყვარელი, მისაბაძი მსახიობი?

- ამდენი წელია თვალყურს ვადევნებ კინემატოგრაფიასა და თეატრს და დღემდე ორი განსაკუთრებული მსახიობი არსებობს ჩემთვის, რომლებსაც ვერ შემიცვლის ვერავინ, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს. ეს იყო ჩემი ჟერარ ფილიპი და ანა მანიანი. ესენი არიან ჩემი კუმირები. ჟერარ ფილიპის ფოტოები ოთახში მქონდა გაკრული, არ ვიცი სად ვშოულობდი მაშინ. მისი გამოხედვა, თვალები მაძლევდა სტიმულს იმ გზისკენ, რასაც მსახიობობა ჰქვია.

ბედისწერის თეთრი ცხენი და დიდი ცდუნება

- განსაკუთრებული დარიგება თუ გახსენდებათ მშობლების მხრიდან?

- დიდი როლი ითამაშა ჩემს ბავშვობაზე ჩემმა დამ და ჩემმა ძმამ. ისე გავიზარდე, მამაჩემს ხელი არ დაუკარებია ჩემთვის. დიდი პატივისცემა და სიყვარული მქონდა მისი, ხშირად ვერც ვხედავდი, სულ დაკავებული იყო. დედაჩემისგანაც არ მახსოვს უხეში მოპყრობა. პატარა ვიყავი შვილებს შორის და ალბათ, ამიტომ მათამამებდნენ. ძირითადად ჩემი და-ძმა მაკონტროლებდა. ჩემი და მეუბნებოდა, არ თქვა ცუდი სიტყვები, გინებას რომ გაიგებ, გაიქეცი, მოძორდი იქაურობას, არ მოისმინოო. რაც შეეხება ძმას, მხოლოდ მის დაძახილზე ამოვდიოდი ეზოდან.

- ვის ჰგავხართ ხასიათით?

- მამას. არადა სულ ვეჩხუბებოდი იმაზე, რაც მერე მე დამემართა. ნუ გგონია, რომ ყველა ადამიანი კარგია, ნუ გჯერა ამის-მეთქი. ყველა ადამიანში კეთილ თვალებს ხედავდა. ამაში მეც დავემსგავსე. ბრძოლისუნარიანი იყო მამაჩემი, რასაც უნდოდა იმას მიაღწევდა. მე უფრო იღბლიანი ვარ, ვიდრე ბრძოლისუნარიანი. არასდროს დამიგეგმავს, არ წარმიმართავს ცხოვრება. მამაჩემი ქვას გახეთქავდა, წერილებს წერდა, შეანუხებდა. მე არ ვარ ასეთი, უფრო მორიდებული ვარ. სამაგიეროდ ისეთ ბედზე დავიბადე და ისეთ ჩამოქროლებულ ცხენს მოვახტი, თვითონ მივყავარ.

- იმდენი იოცნებეთ იმ თეთრ ცხენზე, მოვიდა...

- ჰო, არ ვიცი რა ვუწოდო ამას, ღვთაებრივი ძალაა თითქოს, საკმარისია რაღაც ჩავიფიქრო და მისრულდება...

- „ნატოში“ საქართველოს ინტეგრაციაც ჩაიფიქრეთ რაა...

- (იღიმება) ასეთი გლობალური ჩანაფიქრები ჯერ არ მიცდია... ძირითადად ჩემს პირადზე, ჩემს ცხოვრებისეულზე ვფიქრობ ხოლმე.

- მაშინ დავუბრუნდეთ თქვენს პირადს... ე.წ. ქუჩის აკადემიაც იყო, ალბათ, თქვენს ცხოვრებაში...

- ფრთხილი გამხადა ქუჩამ. მესამოცე სკოლაში დავდიოდი, ბიჭების უმეტესობა ნარკოტიკულ საშუალებებს მოიხმარდნენ. ჩემი მეგობრების უმეტესობა ნარკოდამოკიდებული იყო, ეძებდნენ ადგილს, სადაც შეეძლოთ მორფი გაეკეთებინათ, ჰაშიში მოეწიათ. დიდი ცდუნების წინ ვიდექი. ზოგჯერ ჩემს სახლშიც მოუხმარიათ ჩემს მეგობრებს ნარკოტიკი. მე სხვა მეგობრები არ მყავდა, მათთან გავიზარდე, მინახავს როგორ იკეთებდნენ ნემსს, მაგრამ არასდროს გამისინჯავს თვითონ, ჩემი თავის მიკვირს, რატომ. ეტყობა ექიმი მშობლების გავლენა იყო, ის, რაც ჯანმრთელობას ვნებს, არ მიზიდავდა.

„ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი ცუდი გაეკეთებინათ ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის“

„ერთხელ, სასწრაფო დახმარების მანქანა გამომიგზავნეს, ჩხიკვიშვილი მშობიაროზსო, უთქვამთ, ვითომ ქალი ვიყავი“

გაბოროტებული თაყვანისმცემლები და შეტევა ოჯახზე

- პირველი სამსახური, პირველი ხელფასი...

- პირველი ხელფასი იყო რუსთავის თეატრში, პირველი როლი სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. ამ სპექტაკლმა ისეთი ფურორი მოახდინა, ისე მალე გავხდით პოპულარულები, თეატრის სალაროში ძალიან ბევრი ფული შედიოდა. ჩემი პირველი ხელფასი იყო 100 მანეთი. მაშინ ფულს სხვანაირი განზომილება ჰქონდა, ჩვენ ვყოფნიდით ჯამაგირს, არაფერში არ მყოფნიდა. პოპულარობამ მოიტანა ის, რომ ქუჩაში გამოსვლა მიჭირდა. ეს ასი მანეთი, სულ ტაქსებში მეხარჯებოდა, რომ არ ვეცნე ვინმეს. ვიყავი უბედური, რომ არ მყავდა მანქანა.

- იმ პერიოდში გოგონები შეყვარებულები იყვნენ თქვენზე, ეს სასიამოვნო იყო თუ დისკომფორტს გიქმნიდათ?

- ეს იყო დიდი სიხარული, დიდი ბედნიერება და დიდი დისკომფორტი. ხომ გეუბნებოდით, სკოლაში ვოცნებობდი-მეთქი, ამიხდა. თან ისე სწრაფად, რომ გაოგნებული დავრჩი. ერთ დროს ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი ქუჩაში ვეღარ გავდიოდი. იყო ყვავილები, წივილ-კივილი, საჩუქრები, წერილები. ჩემოდნები მქონდა სავსე წერილებით. არცერთისთვის პასუხი არ გამიცია. 21 წლის ვიყავი მაშინ. ამ ყველაფერს სიხარულთან ერთად მოჰქონდა დიდი სტრესი. იყო კატეგორია, რომელთაც სურდათ მათ გვერდით ვყოფილიყავი, ასეთი ბევრი იყო. ეს რომ ვერ მოვახერხე ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი ცუდი გაეკეთებინათ ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის და შური ეძიათ ამით ჩემზე.

- ყველაზე ცუდი რა გაუკეთებიათ თქვენთვის?

- რეკავდნენ ჩემთან სახლში, გინება უკვე არაფერი იყო, დედაჩემს ეუბნებოდნენ, რომ მე ავარიაში მოვყევი, დამჭრეს, თავში რაღაც ჩამარტყეს, რომ საავადმყოფოში ვარ და სიკვდილს ვებრძვი.

- „თქვენი შვილისგან ბავშვი მეყოლება“, არ იყო?

- ამაზე უკვე აღარ ვრეაგირებდით. მტკივნეული იყო ის, რომ თუკი ვინმე სადმე ბავშვს გაიტაცებდა, მაშინ ასეთები ხდებოდა, მათ მშობლებს ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მე გავიტაცე მათი შვილი. მოდიოდნენ ჩემთან სახლში მათი მშობლები და იყო დიდი გაწევ-გამოწევა. ერთხელ, სასწრაფო დახმარების მანქანა გამომიგზავნეს, ჩხიკვიშვილი მშობიაროზსო, უთქვამთ, ვითომ ქალი ვიყავი (იცინის).

- ამ დროს გვერდით რჩეული ქალი?

- გაგიკვირდებათ, მაგრამ იმ პერიოდში როცა „დარაბებს“ ვთამაშობდი და ამხელა გრძნობებით ვიცლებოდი, შეყვარებული არ მყავდა. მინდოდა სპექტაკლი ვინმესთვის მიმეძღვნა და ასეთი ადამიანი არ იყო ჩემ გვერდით. ვიყურებოდი ფარდიდან დარბაზში, ამოვირჩევდი რომელიმე ლამაზ გოგოს, ჰაეროვან კოცნას გავუგზავნიდი, დავიმახსოვრებდი მის თვალებს, სახეს და მას ვუძღვნიდი სპექტაკლს.

- ეს მან იცოდა?

- არ იცოდა, თან მინდონა სცოდნოდა. რომანტიკოსი ვარ, სიყვარულს ვეძებდი. პარალელურად ტელეფონზე გამუდმებით მირეკავდნენ, ყველას ხელს ვკრავდი, ვეჩხუბებოდი, აღარ დამირეკო-მეთქი. მერე მოვხვდებოდი სადმე წვეულებაზე, ჩემ წინ ულამაზესი გოგო იჯდა, მოვინდომებდი მის გაცნობას და მეტყოდა, მე თქვენ და-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იყო ყვავილები, წივილ-კივილი, საჩუქრები, წერილები. ჩემოდნები მქონდა სავსე წერილებით“

„სხვა მეგობრები არ მყავდა, მათთან გავიზარდე, მინახავს როგორ იკეთებდნენ ნემსს, მაგრამ არასდროს გამისინჯავს თვითონ ნარკოტიკი, ჩემი თავის მიკვირს, რატომ“

EXCLUSIVE

გირეკეთ, თქვენ კი უარი თქვით ჩემ გაცნობაზეო. აგონიაში ვიყავი, როგორ ამომერჩია ამდენი ზარიდან რომელი იყო კარგი გოგო. ვიხდიდი მერე ბოდიშებს და მუდმივად ვეძებდი სილამაზეს.

- როდის იპოვეთ?

- ორი წლის შემდეგ, როდესაც ერთმა გოგონამ დამირეკა და მითხრა, სულ ერთი წუთით გნახავო. მეგონა ყველა ჩემ წინააღმდეგ იყო, არავის ნახვა არ მინდოდა... შევხვდი. გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა ულამაზესი გოგონა, გადმომცა წერილი, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. ისეთი სილამაზე იყო, პირი დამრჩა ღია, რომ მეთქვა დამირეკე-მეთქი. მერე იყო ძალიან საინტერესო ურთიერთობა მასთან ხუთი წელი...

- რატომ დამთავრდა?

- ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. ეს ურთიერთობაც დამთავრდა...

ფილმის გახმოვანებაზე ნაპოვნი სიყვარული

- რა ასაკში დაოჯახთით?

- 28 წლის ვიყავი. ძალიან მეშინოდა დაოჯახების, თავისუფლებას მიჩვეულს, მეგონა ოჯახი კარიერაში ხელს შემიშლიდა. პოპულარობის მოპოვება ადვილია, შენარჩუნება არის რთული. საბედნიეროდ, შევხვდი ქალს, ხათუნა ჩაგელიშვილს, რომელმაც ეს შიში გამიფანტა. უკვე 30 წელია ერთად ვართ.

- როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- მე ვახმოვანებდი ფილმის გმირს, რომელიც ხათუნას შეყვარებულს თამაშობდა. ხათუნა მსახიობი არ იყო, უბრალოდ, ბევრ მსახიობს აჯობა ქასთინგზე. ყველა მასზე ლაპარაკობდა, რა ლამაზი გოგოაო. დიდი არაფერი, ჩვეულებრივი, გოგოა-მეთქი, ვთქვი. ეს ხმა მივიდა ხათუნამდე და უთქვამს, ნახე, მაგას რა ვუქნაო. პრემიერაზე რომ მივედით, ზედაც არ შემომხედა. ამან გამაგიჟა, ყველა მიყურებდა, ამან თვალიც არ გამისწორა.

- გამოდის, რომ იგნორი მამაკაცის მოსახიბვლად საუკეთესო საშუალებაა?

- ასეა. გოგონა რომ მოდიოდა და სიყვარულს მეფიცებოდა, ეს უკვე უინტერესო იყო ჩემთვის. რომ დავინახე ვიღაცის დაპყრობა, მოხიბვლა მიწევდა, დამაინტერესა. უკან დავყვებოდი მანქანით. მამამისი რომ წაიყვანდა მასწავლებელთან იქ ვხვდებოდი. ვცდილობდი გამენებივრებინა, რაც კი საუკეთესო ტკბილეული იყიდებოდა, ყველაფერს ვყიდულობდი და მანქანაში ვახვედრებდი. ზოგჯერ მასწავლებელთან მიმყავდა. მოკლედ, მოვახერხე და მოვხიბლე.

კიდევ ერთი ახდენილი ოცნება და საქართველოზე შეყვარებული შვილები

- როდის წახვედით საქართველოდან?

- 93 წელს, მას შემდეგ უკვე 21 წელი გავიდა. ესეც ბედი იყო. ვგიჟდებოდი სხვა ქვეყნებზე, ისევე როგორც ყველა. ჩვენ ხომ მაშინ ჩაკეტილები ვცხოვრობდით. პოპულარული რომ გავხდი, გერმანელებმა შემომთავაზეს ფილმში თამაში. ჩავედი გერმანიაში, ვილებდით ფილმს კინოსტუდიაში, „დეფა“, ეს მაშინ ჩემთვის ჰოლივუდი იყო. სტუდია იყო ბერლინის კედელთან. სულ ვოცნებობდი, ერთხელ ამაფრინა და ცალი თვალით გადამახედა იქით-მეთქი. 93 წელს ქართულ-გერმანული პროექტის საშუალებით აღმოვჩნდი გერმანიაში, „ოიდიპოს მეფე“ ვითამაშე. ორი გერმანელი რეჟისორი მერაბ თავაძესთან ერთად ამ პროექტის გაკეთებას აპირებდა საქართველოში. მაშინ საქართველოში სამოქალაქო ომი იყო. ამიტომ იმისთვის რომ პროექტი არ შეწვეტილიყო, გადაიტანეს გერმანიაში, იმ ქალაქში, სადაც ახლა მე ვცხოვრობ, ესენში. ჩამოვიდა ერთი გერმანელი, ჩამოიტანა ფული, აგვიღეს ბილეთები და წაგვიყვანეს. დაუჯერებელი რამ მოხდა, ამ სიბნელეში, ტყვიების ზუზუნში აღმოვჩნდით აეროპორტში, არც მჯეროდა თუ გაგვიშვებდნენ საერთოდ. ავფრინდით. იქ ვცხოვრობდით ორთვენახევარი. გვქონდა რეპეტიციები ქართულად. ამ სპექტაკლში შემნიშნა თეატრის მაშინდელმა მმართველმა და შემომთავაზა დარჩენა.

- ენის ბარიერი იყო?

- რა თქმა უნდა, იყო, მაშინ მხოლოდ „ფანჯარა“ და „დედა“ ვიცოდი გერმანულად.

- რა ან ვინ გენატრებათ ხოლმე ყველაზე მეტად გერმანიაში?

- მე მქონდა ერთი სპექტაკლი გერმანიაში, სადაც ჩავსვი ქართული მომენტები. იქ ვთქვი ასეთი რამ, საქართველოში მენატრება ის, რაც დღეს აღარ არის იქ, ეს არის გაღიმებული სახე, მშვიდობა და ადამიანი, რომელიც არ წუწუნებს. ადრე ადამიანს რომ შეეკითხებოდი, როგორ ხარრო, კარგადო, გპასუხობდა. ახლა მინიმუმ ერთი საათი უნდა გქონდეს დრო, ეს კითხვა რომ დასვა.

- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილებს?

- უფროსი, სანდრი (ალექსანდრე) 29 წლის არის, უმცროსი, ლევანი 24-ის. მხოლოდ იმით ვარ ჩემი ბედით კმაყოფილი, რომ ჩემს შვილებს საშუალება მიეცათ მშვიდ გარემოში გაზრდილიყვნენ და კარგი განათლება მიეღოთ... საქართველოს სიყვარული ვასწავლე. როგორც კი დრო გამოუჩნდებათ ხოლმე, ერთი კვირაც რომ ჰქონდეთ, საქართველოში გამორბიან. თავის მეგობრებსაც შეაყვარეს საქართველო.

- იციან ექვთიმე თაყაიშვილს რომ თამაშობთ?

- იციან და დიდი მხარდაჭერა მაქვს მათგან...

- როგორ მიმდინარეობს გადაღებები?

- ჩემდა გასაკვირად მინდა ვთქვა, რომ მუშაობის პროცესი კარგად მიდის. მოგეხსენებათ, ქართველ რეჟისორებთან მუშაობით არ ვარ განებივრებული. ბედნიერი ვარ, რომ კარგ ადამიანებთან მიწევს მუშაობა. ნიკოლოზ ხომასურიძე ფილმის რეჟისორი გახლავთ, სცენარის ავტორი - ლაშა კანკავა, რომელიც აგრეთვე ირგებს გალაკტიონის როლს ამ ფილმში. მიხარია, რომ სწორედ ამ ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა, რომ საერთო ენა და საერთო გულისფეთქვა გვაქვს ექვთიმეს ისტორიული ნოველის გაცოცხლებასთან დაკავშირებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გაზპრომი“ - ხელისუ
პოლიტიკა თუ საბჭოთა

კახი კალაძე: „ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სამომავლოდ გაჩნდეს ორი, სამი, ოთხი შემომტანი“

ქეთი ხატიაშვილი

ფასების ცვლადი პოლიტიკის გამო „გაზპრომთან“ ურთიერთობა დასავლეთში არავის სურს. ფასებით შანტაჟის გამო ევროპული ქვეყნები ცდილობენ, ალტერნატიული ენერგომატარებლები მოძებნონ. ძიებასთან ერთად ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ევროკავშირმა სპეციალური საგამოძიებო პროცედურები წამოიწყო იმის დასადგენად, რა მეთოდოლოგიით ზრდის და ადგენს ფასებს „გაზპრომი“. ციფრები უცნობია, თუმცა, ცხადია, რომ „გაზპრომი“ ძლიერი ეკონომიკური იარაღია პუტინის ხელში და ამ იარაღით ის თითქმის მთლიანად ცვლიდა დასავლეთში პოლიტიკურ ამინდს. ის ჯერ კიდევ რჩება იმ იარაღად, რომლითაც კრემლის მეპატრონე სჯის როგორც „მტრებს“, ისე ხანდახან „მეგობრებსაც“.

ოქსფორდის ენერგიის კვლევის ინსტიტუტის თავმჯდომარე ჯონათან სტერნი აცხადებს, რომ „გაზპრომის“ კომერციული ინტერესების ნაცვლად ამ წამოწყებების უკან სინამდვილეში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის გეოპოლიტიკური მიზნები დგას: „გაზპრომის“ ხელმძღვანელები სულელები ნამდვილად არ არიან. ისინი კარგად ხედავენ, რაც ხდება. მაგრამ პუტინი მათ აიძულებს, ათასგვარ უაზრო პროექტში ჩაერთონ და უარს ეუბნება ბაზრის მდგომარეობაზე მორგებას. თუ ამ პროექტებზე „გაზპრომის“ ძირითად განცხადებებს გადახედავთ, დაინახავთ, რომ ეს პუტინის განცხადებებია. ამ საკითხებზე საჯაროდ პირველად პუტინმა ილაპარაკა... რატომ საუბრობს „გაზპრომი“ ევროპასთან ყველა ამ მილსადენის გაყვანაზე? იმიტომ, რომ ასე სურს პუტინს “.

სხვათა შორის, პუტინმა გაპრეზიდენტებისთანავე თქვა, რომ მას სამხედრო შეიარაღება არ სჭირდება და რომ საგარეო პოლიტიკის „მართვაში“ ეკონომიკური ბერკეტებიც ეყოფა.

რამდენჯერმე ცივი ზამთრისა და სოციალური აფეთქების შიშით გაიღვიძა ევროპამ და „გაზპრომის“ ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო. დასავლური მედიის ცნობით: ევროპის ბაზარზე „გაზპრომის“ შემოსავალს საფრთხეს უქმნიან აშშ და ყატარი. აშშ-ს ფიქალის გაზის ვრცელი რესურსები აქვს, ხოლო ყატარი გათხევადებული ბუნებრივი აირის უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. გარდა ამისა, აშშ-მ საგრძნობლად გაზარდა ევროპაში თავისი ქვანახშირის ექსპორტი.

„გაზპრომს“ გარკვეულ დათმობებზე წასვლა მაინც მოუწია. 2013 წელს, ევროკომისიის მონაცემებით, ნორვეგიის გაზის ექსპორტი 16 პროცენტით გაიზარდა, ხოლო „გაზპრომის“ რვა პროცენტით შემცირდა; თანაც მაშინ, როცა ევროზონა კრიზისს განიცდიდა.

შარშანდელი წლის ბოლოს, ბაზრის ზეწოლის საპასუხოდ, „გაზპრომმა“, როგორც იქნა, შეამცირა ფასები ზოგიერთი ევროპელი მომხმარებლისთვის. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა ერთ ინტერვიუში განაცხადა, წელს კომპანია გაზისთვის 14 პროცენტით ნაკლებ ანაზღაურებას ელოდება. პოლონეთში რუსეთის გაზის ფასი 27 პროცენტით უნდა შემცირდეს, ხოლო უნგრეთი ორი პროცენტით ნაკლებს გადაიხდის.

ახლა „გაზპრომი“ საერთაშორისო სანქციების ქვეშ მოყვა და სერიოზული დანაკარგები აქვს, თუმცა, დასავლური ექსპერტების განმარტებით, ის კვლავაც რჩება კრემლის იარაღად.

ამ იარაღს პუტინი ყოველთვის იყენებდა და იყენებს საბჭოთა სივრცის მოსათვინიერებლად.

ინფორმაციისთვის: ჟურნალ Forbes-ის 2011 წლის მონაცემებით, „გაზპრომი“ მსოფლიოს ყველაზე მომგებიანი კომპანიების რეიტინგის სათავეში მოექცა, „გაზპრომის“ მოგებამ 44,46 მლრდ დოლარი შეადგინა. ლიდერის პოზიცია დაკარგა და მეორე ადგილი დაიკავა ამერიკულმა ExxonMobil-მა, რომელმაც 2011 წელს 41.6 მილიარდი დოლარის წმინდა მოგება მიიღო. მესამე ადგილზე ჩინური ბანკი Industrial and Commercial Bank of China აღმოჩნდა, რომლის მოგებამ გასულ წელს 32,14 მლრდ დოლარი შეადგინა.

უკვე 2013 წელს „გაზპრომს“ წმინდა მოგება 11 პროცენტით შეუმცირდა, რის შედეგადაც კომპანიის ღირებულებამ (პირველად 2009 წლის შემდეგ) 100 მილიარდ დოლარზე ნაკლები შეადგინა.

„გაზპრომს“ თავისი სტრატეგიული ინტერესები საქართველოშიც აქვს. შევარდნაძის დროს კრემლი სწორედ „გაზპრომის“ საშუალებით ახდენდა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას. მისი მოთხოვნების სია საკმაოდ გრძელი იყო. კრემლი სწორედ გაზის გადაკეტვის შანტაჟით ახორციელებდა აქ საკადრო პოლიტიკასაც კი, აღარაფერს ვამბობთ საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მცდელობებს.

სააკაშვილის დროს დაიწყო დივერსიფიკაციის პოლიტიკის გატარება და „გაზპრომი“ ქართულ ბაზარზე აზერბაიჯანულმა ენერგომატარებლებმა ჩაანაცვლა. ხელშეკრულება, რომელიც თბილისსა და ბაქოს შორის გაფორმდა, საქართველოსთვის გაზის შეღავათიან ფასებში მიწოდებას ითვალისწინებდა.

„გაზპრომი“ არა მხოლოდ ევროპაში ახორციელებდა სხვადასხვა, მათ შორის წამგებიანი, გაზსადენების ყიდვასა და აშენებას, არამედ საქართველოშიც. ის წლებია უკვე ითხოვს იმ მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება რუსული გაზის ტრანსპორტირება საქართველოს გავლით სომხეთში.

ამ ტრანზიტში, სხვათა შორის, საქართველოს გატარებული გაზის 10% ერგება, ციფრებში ეს 300 მილიონი კუბური მეტრია. ექსპერტების განმარტებით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც შეძლო „გაზპრომისთვის“ ტრანზიტში 10% დაეთმობინებინა. ეს ისტორია კი 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და ის თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს უკავშირდებოდა.

მაშინ საქართველოდან გაქცეულმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ თავი სომხეთს შეაფარა, ამით გაბრაზებული სიგუა და კიტოვანი სომხეთს ბლოკადით დაემუქრნენ და გაზის გადაკეტვით დაამანტაჟეს. სწორედ ამ შანტაჟით მოახერხეს მათ „გაზპრომიდან“ 10%-ის წამოღებაც. 1992 წლის თებერვალში ამ ხელშეკრულებას ხელი ერევანმაც მოაწერა. მაშინ საქართველოში სომხეთის პრემიერი ჩამოვიდა და საქართველოს ტრანზიტში 10% დათმო.

სხვათა შორის, სააკაშვილის დროს გაზსადენის მიყიდვის თემა დღის წესრიგში აქტიურად იდგა და მის მთავრობაში გაზის მაგისტრალის გაყიდვას ემხრობოდნენ როგორც პრემიერი ჟვანია, ისე ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე. თუმცა, შეთანხმება ჩაიშალა და როგორც მაშინ მედია წერდა, მაგისტრალის მიყიდვის წინააღმდეგი შეერთებული შტატები იყო.

ეჭვი გაჩნდა, რომ ეს თემა ისევ დადგა დღის წესრიგში, ენერგეტიკის მინისტრის 25 სექტემბერს ბრიუსელში გამართული შეხვედრის შემდეგ. კახი კალაძე მაშინ „გაზპრომის“ ხელმძღვანელს ალექსეი მილერს

სააკაშვილის დროს გაზსადენის მიყიდვის თემა დღის წესრიგში აქტიურად იდგა და მის მთავრობაში გაზის მაგისტრალის გაყიდვას ემხრობოდნენ როგორც პრემიერი ჟვანია, ისე ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფლეხის პრაგმატული სივრცეში დაბრუნება

რატომ საუბრობს „გაზპრომი“ ევროპასთან ყველა ამ მილსადენის გაყვანაზე? იმიტომ, რომ ასე სურს პუტინს



„გაზპრომი“ უკვე არის საქართველოში. ჩვენ ბუნებრივ აირს რუსეთიდან წლებია ვიღებთ, ეს პროცესი გუშინ არ დაწყებულა“

შეხვდა.

ხმაურის შემდეგ **კალაძემ** განმარტება გააკეთა:

„როგორც იცით, ჩვენთვის ძირითადი მომწოდებელი აზერბაიჯანია, თუმცა რაღაც მოცულობებზე არის გარკვეული პრობლემები. თუ ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ რუსეთიდან შესაძლებელი იქნება დამატებითი მოცულობების წამოღება, რასაკვირველია, კონკურენტუნარიან ფასებში, რომელიც გაუწევს კონკურენციას აზერბაიჯანიდან მოწოდებულ ბუნებრივ აირს, ეს ძალიან კარგი იქნება“.

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა აზერბაიჯანულმა მხარემ:

აზერბაიჯანს შეუძლია და თითქმის სრულად უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობისთვის აუცილებელი გაზის მინოდებას. ამის შესახებ SOCAR Georgia-ს გენერალურმა დირექტორმა მაჰირ მამედოვმა განაცხადა. ინფორმაციას News.az ავრცელებს.

მამედოვის განმარტებით, საქართველოს ყოველდღიურად 5 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიეწოდება, რასაც ემატება მილიონი კუბური მეტრი შაჰდენიზის საბადოდან. საქართველოს მიერ მოხმარებული გაზის მოცულობა კი დღეში 6,2 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

ზოგიერთი ექსპერტის განმარტებით, ვიცე-პრემიერს დამატებითი მოცულობა დასჭირდა კერძო სექტორისთვის. საუბარი შეიძლება ახალ მსხვილ ჰესებსა და პროექტებზე იყოს. ანუ ეკონომიკის განვითარება და გაძლიერება უფრო მეტი გაზის მოხმარებას გულისხმობს და აქ გასაკვირი არაფერია.

ბაქომ, მათივე შენიშვნით, გაზის დამატებით მოწოდებაზე უარი თქვა და შესაძლოა არა იმიტომ, რომ თბილისთან რაიმე კონფლიქტი აქვს, არამედ იმ მარტივი მიზეზით, რომ ბუნებრივი აირის მთელი მოცულობა დაკონტრაქტებული აქვს და დამატებითი მოცულობა ფიზიკურად არ გააჩნია. ექსპერტების განმარტებით, ახალი შესაძლებლობები ბაქოს მხოლოდ შაჰდენიზის მეორე ფაზის ამოქმედების შემდეგ გაუჩნდება, ეს კი დაახლოებით სამი წლის შემდეგ მოხდება.

კახი კალაძემ კიდევ ერთხელ განმარტა საქართველოს ხელისუფლების მიდგომები. ვიცე-პრემიერის განმარტებით:

„ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სამომავლოდ გაჩნდეს ორი, სამი, ოთხი შემომტანი... უფრო მეტი კონკურენცია იქნება ბაზარზე და საინტერესო იქნება ფასების კუთხითაც“.

მისივე განმარტებით: „აზერბაიჯანი იყო და რჩება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად. ჩვენ კმაყოფილნი ვართ, რომ აზერბაიჯანიდან გაზს ვიღებთ ძალიან კარგ ფასად. რაც შეეხება სხვა მომწოდებლებს, ეს შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ რუსები, არამედ ყაზახეთიც. ალტერნატივა – ეს ნორმალურია, ესაა მოწოდების დივერსიფიცირება“.

თბილისს განმარტებების სერია დასჭირდა, რადგანაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბრიუსელის შეხვედრა პოლიტიკურ შეთქმულებად მონათლა და ხელისუფლების მოღალატეობრივ პოლიტიკაზე ალაპარაკდა. მათი განმარტებით, „ქართულ ოცნებას“, საქართველოში პუტინი შემოჰყავს და საქართველოს დამოუკიდებლობას აკარგვინებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ მელიქიშვილის განმარტებით:

„საქართველო წელიწადში მოიხმარს 2 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, აქედან სოკარის მილით მოგვეწოდება 1 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ამ მილს აქვს პოტენციალი, რომ დღესვე მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში დაკმაყოფილდეს 1 მილიარდი კუბური მეტრით. საქართველოს მთავრობა თავისი პოლიტიკით უარს ამბობს სტაბილურ მომწოდებელთან, სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანთან ურთიერთობაზე და გადადის სასაუბროდ იმ სახელმწიფოსთან, იმ კომპანიასთან, რომლებიც მუდმივად, ეკონომიკის მიუხედავად, პოლიტიკური მიმართულებით მოქმედებენ“.

კახი კალაძის განმარტებით:

„გაზპრომი“ უკვე არის საქართველოში. ჩვენ ბუნებრივ აირს რუსეთიდან წლებია ვიღებთ, ეს პროცესი გუშინ არ დაწყებულა. ვფიქრობ, ეს ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ჩვენ საკუთარი ბუნებრივი აირი არ გვაქვს. ნებისმიერი განვითარებული ქვეყანა ფიქრობს ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიცირებაზე. აქ საუბარი არ არის მხოლოდ დამატებითი მოცულობის შემოტანაზე რუსეთიდან, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ირანთან მიმართებაში. ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ჩვენ საკითხი დავსვით იმასთან დაკავშირებით, რომ ის მოცულობები, რომელიც დღეს ამ მილსადენში, სომხეთის მიმართულებით გადის, გაიზარდოს, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს მილსადენი მაქსიმალურად დაიტვირთოს“.

საქართველო ახლა ცდილობს, გაზის მოწოდების სხვადასხვა წყაროები შექმნას კონკურენციის მიზნით. დაახლოებით ისეთივე სქემა ააწყოს, როგორც დასავლეთშია. სანქციებისა და საომარი მოქმედებების მიუხედავად, „გაზპრომთან“ ურთიერთობას ევროპული ქვეყნებიც ინარჩუნებენ, ალტერნატიულ წყაროებს კი ბაზარზე ფასების რეგულაციისთვის იყენებენ.

ერთ-ერთ ალტერნატივად საქართველო, რუსეთისა და ყაზახეთის გარდა, ირანსაც განიხილავდა. ექსპერტების განმარტებით, აქ საუბარია იმ სქემაზე, რომლის აწყობასაც საქართველო ჯერ კიდევ 2006-07 წლებში ცდილობდა.

სქემის მიხედვით, რადგანაც ირანსა და საქართველოს შორის არანაირი გაზსადენი არ გადის, ირანი ბუნებრივ აირს მიაწოდებდა აზერბაიჯანის სამხრეთ რაიონებს, სამაგიეროდ, ბაქო იმ მოცულობის გაზს, რომელიც სამხრეთისკენ უნდა მიემართა, საქართველოსკენ გამოუშვებდა. თუმცა, როგორც მაშინ, ისე დღეს ამერიკა საქართველოს ირანთან ურთიერთობაზე უარს ეუბნება. მიზეზი ვაშინგტონის სანქციები გახლავთ.

რუსეთი, როგორც ირკვევა, თანახმაა, სავარაუდოდ, მაგისტრალის შეძენის სანაცვლოდ, რომლითაც სომხეთში გაზის ტრანსპორტირებას ახორციელებს, საქართველოს გაზი მიაწოდოს.

ამ გაზსადენის შეძენა ბაქოსაც სურდა. მინიშნება, ექსპერტების მტკიცებით, ოფიციალურ დონეზეც გაკეთდა, თუმცა თბილისმა მაშინ უარი თქვა როგორც მოსკოვის, ისე ბაქოს ინტერესების გატარებაზე და ამით რეგიონში ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ბაქოსთვის გაზსადენის მიყიდვა, გასაგები იყო, რომ თბილისს ყარაბახის ომის პროცესში ჩაითრევდა. ამ ბერკეტს ბაქო სომხეთისთვის გაზის გადაკეტვისთვის გამოიყენებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კონცერტი რომლის გამოც შოუბიზ

თბილისობის დღესასწაულზე გამართულმა გალაკონცერტმა მომღერლებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. კონცერტის შემდეგ სოციალურ ქსელში ნამდვილი ომი დაიწყო. წერდნენ ისინი, ვისაც არ დაუძახეს და თავს იმართლებდნენ ისინი, ვისაც დაუძახეს. კონცერტის ორგანიზატორის, გვანცა კილასონიას თქმით, კონცერტზე შესრულდა ყველა ის სიმღერა, რომელმაც დროს გაუძლო.



ანრი ჯოხაძე:

„წლების მანძილზე იყო კონცერტები სადაც ჟანრობრივად და კონცეფციიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა დაეძახათ ჩემთვის, მაგრამ რატომღაც არ ან ვერ ვახსენდებოდი ორგანიზატორებს, მაგრამ საჯაროდ არასოდეს გამილანძღავს იქ გამოსული მომღერლები და არც ორგანიზატორები. ასევე, ყოველთვის მადლობელი ვიყავი იმ კონცერტებში მონაწილეობით, სადაც მეპატიჟებოდნენ.

თუ ასეთი ცუდი კონცერტი იყო, როგორც ზოგიერთები ბედნიერად პოსტავთ, მაშინ გიხაროდეთ, რომ არავის გაახსენდით.

ასეთი კომენტარებით პირდაპირ ხაზგასმით აღნიშნავთ საკუთარ „ლუზერობას“. უხერხულია ერთი კონცერტის გამო ერთმანეთის ასე მიჩათლახება“.

მაიკო კაჭკაჭიშვილი:

„მე თემატური სიმღერა მქონდა, ისიც ძალიან ძველი და ახლებურად გაკეთებული, მხოლოდ ამიტომ მაინტერესებს, დანარჩენ კონცერტებზე არც მაქვს პრეტენზია, იმიტომ, რომ მე არ ვარ მომღერლის სტატუსით“.

თაკო გაჩეჩილაძე:

„გუშინდელი კონცერტის მერე კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდნენ ბოღმა „კოლეგები“... რამდენი ყოფილხართ ღმერთმანი, ძალიან უხერხული და სასაცილოა“.

ნინი ბადურაშვილი:

„საყვარელო კოლეგებო, მეგობრებო, ბევრი წელი არც მე მიმღერია თბილისობის გალაკონცერტზე, მაგრამ არასდროს მიმიყენებია შეურაცხყოფა იმ მომღერლებისთვის, ვინც ამ კონცერტზე მღეროდა! ერთი კონცერტის გამო ასე წყობიდან გამოსვლა ცოტა უხერხულია. გისურვებთ წარმატებას“!

ნინო ჩხეიძე:

„ახლა შემოვედი ფბ-ში, წავიკითხე ჩემი კოლეგების სხვადასხვა საინტერესო კომენტარები ჩემზე. სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია, რომ თბილისობაზე მათი რომელიმე ისტერიული სტატუსი მე მეხებოდა, იმიტომ რომ, თუ ორგანიზატორებთან მაქვს პრეტენზია, ეს არ არის მათი საქმე. და არც ერთი მონაწილე არ მიგულისხმია... მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემს კოლეგებს თავიანთ თავზე მიუღიათ ჩემი სტატუსი და თავიანთ გვერდზე ბედნიერი უყურებენ ჩემზე ცუდ კომენტარებს, ერთმანეთსაც დამანუგეშებელ სიტყვებს უწერენ და ძალიან უნერვიულიათ. აი, მართლა ტეხავს, რომ ერთი კონცერტით ამბიციის ამხელა მწვერვალზე ადიხართ და მგლებად იქცევით“.

კახა მამულაშვილი:

„ლელა წურწუმიას „თბილისომ“ ეტყობა დროს ვერ გაუძლო. გილოცავთ თბილისობას“.

ჩვენ კახა მამულაშვილს დავუკავშირდით.

როგორ მოუწოდა თინა მახარაძემ მეგობრებს „რუსთავი 2“-ის დასაცავად

„დღეს, ლანა ღოლობერიძის საღამოზე (რომელიც ისე ჰგავს ბებიაჩემს და ისე მომწონს), სადაც უკრავდა მანანა მენაბდე (რომელიც ისე ჰგავს არავის და ისე მიყვარს), იჯდა ...ლექალა გურანდა გაბუნია, რომელიც, მახსოვს, გადაღებას აჩერებდა ხოლმე იმპერატიული განაცხადით: „პრავიწელსტვა ზვანიტ“ და ეკა ბესელიას ეჭორავებოდა გაგანია სეტზე, და იჯდა ...ლე ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც იმიტომ კი არ არის ..ლე, რომ დაბერდა და გამო..ევდა, არამედ იმიტომ, რომ თხემით ტერფამდე ..ლე იყო ყოველთვის და წინა სასიკვდილო აგონიაში მით უფრო,- სულით ხორცამდე ..ლედ იქცა, რომელიც, თავის მხრივ, მთელ ხმაზე ლანძღავდა ჩემს შეყვარებულს პირსინგებისა და სეპტუმის გამო და დაჟინებით სთხოვდა, - კაცობა უკვე დაკარგე და ბარემ პომადაც წაისვიო. ამასთან, გვერდით მჯდომ მაია ფანჯიკიძეს ჩემზე ეძალავებოდა, გინდა თუ არა, შენ გეცოდინება, ეს ხომ ის გოგოა, გოგოები რომ მოსწონსო (ამ დროს მე და Dimu ვიღიმოდით, ერთმანეთს ვკოცნიდით და ვუსმენდით პასტერნაკს, ბროდსკის, ვერლენს, ედგარ პოსა და ანა კალანდაძეს).

თავისთავად ეს ამბავი, თავისი მოქმედი პირებით, ამაზრზენია და შესაბრალისი, მაგრამ ეს ის დროა, როცა შემწყნარებლობის, დათმინებისა და კომპრომისების დრო არ არის.

ეს ის დროა, როცა თქვენი კეთილი ნება, თქვენი ცხოვრება, თქვენი მომავალი უნდა მართონ ჯანსუღებმა, გურანდებმა, ბესელიებმა, ხალვაშებმა და წმინდა წყლის ..ლეებმა.

და ეს არ უნდა გინდოდეთ!

და თუ ეს არ გინდათ, გამოდით ხვალ, „რუსთავი 2“- ის დასაცავად.

აქ „რუსთავი 2“-ზე კი არა, თქვენს პირად არჩევანზე, პირად სივრცეზე, თქვენს პირად ეპოქაზეა ლაპარაკი.

მომიტევეთ ჰეროიკული განწყობა, გაუმართავი ტექსი, მომიტევეთ 25 წელი და ახალგაზრდული გამწარება (რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დავბერდები, არ გამოვ..ლევდები), მომიტევთ თავისუფლება, როგორც წესი, როგორც არჩევანი იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა წესი გარდა კეთილი ნებისა და გარდა თავისუფლებისა, - ჩვენი და სხვისი“,- წერს თინა მახარაძე თავის ფესიბუქგვერდზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

ზნესი ორად გაიყო

- კახა, ეს სიტყვები კონცერტის ორგანიზატორს, გვანცა კილასონიას დაუპოსტეთ, რა გიპასუხათ?

- არაფერი, რა უნდა ეპასუხა. არც ვაპირებდი კომენტარის გაკეთებას, ორგანიზატორის განმარტება რომ არა. ყოველთვის ვთვლი, რომ როგორი პოპულარულიც არ უნდა იყო, შეიძლება ვერ მოხვდე კონკრეტულ კონცერტზე. ამდენად, არანაირი კითხვა არ დამისვამს

ამასთან დაკავშირებით არასდროს, თუ კონცერტის ორგანიზატორი რამე სისულელეს არ წამოროშავს ხოლმე. ისე, „newyorki“ da „brazil“ თბილისზე რომ იყო დაწერილი კი არ ვიცოდი (იცინის).

ანრი ბიბინეიშვილის ემოციური წერილი

„ვარღვევ ცენზურას, ვარღვევ ყოველგვარ გათვალისწინებას, რომ ქალბატონები და მოზარდები შეიძლება კითხულობდნენ ამ განაცხადს, მაგრამ ეს აუცილებელია, ვინაიდან მოზარდები გამიგებენ და ქალბატონები თავიანთი შვილების მომავლისთვის მაპატიებენ!!! ვიდეოკადრები, რომლებიც გაავრცელა უკრაინამ თუ ზიმბაბვემ, ჩემთვის და საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის მნიშვნელობა არ აქვს! არც იმას, ეს წარსულია თუ აწმყო, მთავარი საზრუნავი და საფიქრალი ისაა, რომ ეს მომავალში არ მოხდეს და ამიტომ ყველას მოვუწოდებ და ვთხოვ გაერთიანდეს მთავარი ღირსების დასაცავად, რასაც პიროვნება ეწოდება! მთავრობა მონაა ჩვენი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მას ვირჩევთ ჩვენი კეთილდღეობისთვის! ერთხელ დავწერე და მეორედ ვწერ, ყველა ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ ქომაგია დღემდე, კატეგორიულად მოვითხოვ წამშალოთ მეგობრებიდან, რაგდან, მე მათი მაგინებელი და მაწყევარი ვარ!

P.S. „ნაციონალური მოძრაობის“ გასაგონად!!! თქვენი დედები, დები, აკვანში მწოლიარენი და ჯიშ-ჯილაგში მყოფ ყველა ქალს შევ..ი მე და თითოეულმა ქართველმა! თქვე გადაშენების პირას მყოფო ცხოველებო, თქვე დედაზე ადრე მო**ნულებოოოო!!! ერი დავბრმავდით და აღარ გვესმის ერთმანეთის თორემ თქვენ ყველას ერთად მოედანზე გაგასამართლებდით სიამოვნებით და ამ გასამართლებას სიკვდილი არ ერქმეოდა. ეს ყველაზე დიდი ტკივილი იქნებოდა თქვენთვის მაშინ, როცა მე შეგკრებდით, დაგაბამდით და თქვენს თვალწინ დავდგამდი „შოუს“ თქვენივე ცოლების მონაწილეობით!!!“- წერს მსახიობი თავის ფესიბუქგვერდზე.

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ნიკა გვარამია

გიორგი ნაკაშიძე

ია ფარულავა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოსო ცისკარიშვილი: ვართ მისული, რომ მ

ნინო ცაბოლოვი

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ქვეყანაში კრიზისის მომასწავებელ ფაქტებზე მიუთითებს და აცხადებს, რომ ის, რომ სახელისუფლებო შტოებს არსებული ვითარების მიმართ ერთიანი ხედვა არ აქვთ, შესაძლოა, ქვეყნის მომავლისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ცისკარიშვილი როგორც პრეზიდენტის, ასევე პრემიერის განცხადებებს კრიტიკულად აფასებს და მიიჩნევს, რომ ქვეყანა ჩიხშია იმ ფონზე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, სურთ ეს მათ თუ არა, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო გაუხეთქავს გულს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების პერსპექტივას დაგვაშორებს“. რატომ განიხილავს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და „რუსეთის სივრცეში“ აღმოჩენის შესაძლებლობას, ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ სოსო ცისკარიშვილი ესაუბრა:

– ჩემთვის ნათელია, რომ უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში არის გონიერების დეფიციტი და რაიმე კრიზისის მომასწავებელი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს არსებული ვითარების მიმართ ერთიანი ხედვა არ აქვს და მთავრობა ხალისობს იმით, რომ სხვადასხვა მიმართულებით იბრძოლოს, დაწყებული საქართველოს პრეზიდენტიდან, დამთავრებული „რუსთავი 2“-ით. ამ ბრძოლაში, როცა ორი კურდღლის დაჭერა სურს ვინმეს, შედეგი ცნობილია. ვერ ვხედავთ პოლიტიკურ ნებას, რომ დღევანდელი ხელისუფლება იყოს თანამიმდევრული საკუთარ ქმედებებში. ჩემი აზრით, „რუსთავი 2“-ისადმი საზოგადოების აღქმა არაერთგვაროვანია, რადგან თავად „რუსთავი 2“ არის „2 რუსთავი“ – ერთი გახლავთ ნიჭიერი ჟურნალისტებით, პროგრამებით, ნამყვანებითა და მთლიანად, მაღალპროფესიული კადრებით დაკომპლექტებული მედია, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი. ასევე, არსებობს, მეორე რუსთავი (ალბათ, ამიტომაც ჰქვია რუსთავი 2) რომელიც გახლავთ „ნაციონალური მოძრაობის“ ტყვე და რომელიც არის ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი. ახლა, ის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარმოაჩინა საკუთარი აქტივობის სივრცედ. ამიტომ დაბნეულია არა მარტო ხელისუფლება, არამედ საზოგადოების ის ნაწილიც, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, გაემიჯნა ეს საზომი, რომელსაც შეეძლო, გაეზომა არხის ავკარგიანობა.

– ვისი მხრიდან გულისხმობთ გონიერების დეფიციტს?

– გონიერების დეფიციტს არსებულ ვითარებასთან ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის დამოკიდებულებაში ვხედავ. ინფორმაცია, რომელიც დღევანდელი ვითარებიდან საზღვარგარეთ გადის, რასაკვირველია, ობიექტური არ არის, მაგრამ ინფორმაციის სხვა წყარო, როგორც ჩანს, არ გააჩნია არც სახელმწიფო დეპარტამენტს, არც „ევროპის სახალხო პარტიას“, არც უცხოურ მედიას და ასე შემდეგ. ყველაზე დიდი საიდუმლო ხელისუფლებაში გახლავთ სახელი და გვარი ადამინისა, რომელსაც დასავლეთის პოლიტიკური წრეებიდან თუ მედიასივრციდან, საქართველოს მთავრობის მიმართ გამოგზავნილი არცთუ სასიამოვნო წერილების დამუშავება, პასუხის შექმნა და გაგზავნა ევალება. არსებობს ასეთი ადამიანი, რომელსაც ეს ევალება? თუ არსებობს, ის ტყუილად იღებს ხელფასს, თუ არ არსებობს, ეს არის ბედოვლათობა. ჩვენ, ასევე, მოწმენი ვართ იმისა, რომ ვერა და ვერ ერევიან სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის პირველი პირები მიკროფონსა და ვიდეოკამერას. არ ჰყავთ პრესმდივანი, რომელიც გააჟღერებდა თუნდაც მიუღებელ ინფორმაციას. ისინი არ არიან ისეთ გაჭირვებაში, რომ მოიძიონ მაღალპროფესიონალი ჟურნალისტი, რომელიც იქნება ამბის გამავრცელებელი. საქართველოს მთავრობა არჩევანის წინაშეა, მათ ვერ გაურკვევიათ, რომელი უფრო საფრთხის შემცველია მათთვის – „ნაციონალური მოძრაობა“ თუ საქართველოს პრეზიდენტი. ამიტომ გაუგებრობაშია თავად ხელისუფლებაც. თუ არ იქნება მითითებები მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ, რომ იყოს წამონყებული შურისძიების კამპანია, მაშინ ეს ვითარება კეთილად დამთავრდება, გაურჩევლად იმისა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო.

– რამდენად ეთანხმებით პრეზიდენტის განცხადებას, რომ პრემიერმა ვითარების განმუხტვის ნაცვლად, ვითარება დაძაბა. ამასთანავე, პრეზიდენტის განცხადებას მოჰყვა შეფასება, რომ ეს იყო უპასუხისმგებლო განცხადება და ზეწოლა მოსამართლეზე.

– რასაკვირველია, პრემიერის განცხადება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ ნიჭიერი ახალგაზრდისთვის არ დამდგარა ხანა, როცა ის აღიქმება პოლიტიკოსად. როგორც ჩანს, სამი წელი ცოტაა. სიტყვა, რომლითაც ის მთავრობის სხდომის წინ გამოვიდა, მიმართული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით მოსახლეობისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ბატონი პრემიერი ვერ ახერხებს, ილაპარაკოს ისე, რომ ის გაგებადი იყოს როგორც მოსახლეობისთვის, ასევე საერთაშორისო პარტნიორებისთვის.

– კონკრეტულად, მისი განცხადების რა ნაწილს გულისხმობთ?

– მას ერთი სიტყვა არ წამოსცდენია ზუგდიდის მერისა და გურიის გუბერნატორის ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც სადისტური კადრების საჯარო ჩვენებებს ატარებენ და დაუფარავი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ თურმე თავისუფალი აზრის გამოთქმის ფორმა არის ბოთლების სროლა, პარტიის ოფისის საღებავებით შეღებვა. ეს რომ მართვადი პროცესია, ამაში არავის დარწმუნება არაა საჭირო. მაგრამ ერთიც უნდა გავითვალისწინოთ, ვგულისხმობ „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში ჩატარებულ კვლევას და შეკითხვას მაყურებლისადმი: ვისი გამოსვლა იყო თქვენთვის მისაღები – პრემიერის თუ პრეზიდენტის? გამოკითხვაში დაახლოებით, 7 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჩემთვის მოულოდნელად, 80% მხარს უჭერს პრემიერის გამოსვლას, 20% – პრეზიდენტისას. პრეზიდენტის გამოსვლა იყო მკაფიო, ლაკონური, თუმცა მისი მიმართვა მოსამართლისადმი სერიოზული შეცდომა გახლდათ. უპრიანი იქნებოდა, თუ პრეზიდენტი ან ბოდიშს მოიხდიდა, ან განმარტავდა, რას ფიქრობდა, როდესაც ასე ღია გზავნილს უგზავნიდა კონკრეტულ მოსამართლეს. თან სთხოვდა, არ მიეღო ხისტი გადაწყვეტილება. არ არსებობს მოსამართლე, რომელიც ასე სასიკვდილოდ გადაკიდებულ ორ მხარეს გამოუტანდა განაჩენს, რომელიც ორივეს დააკმაყოფილებდა. ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება ხისტი, გააჩნია, რომელი მხარისთვის. ვისმენთ საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებებს, რომლებიც გარკვეული სიმშვიდის საფუძველს გვაძლევს და არსებული ცნებების ზუსტი გამოყენებით, გარკვეულ მაგალითს აძლევენ მასზე მაღალი თანამდებობის პირებს. ასეა თუ ისე, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ჩიხში ვართ, გამომდინარე იქიდან, რომ, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, სურთ ეს მათ თუ არა, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო გაუხეთქავს გულს ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში განევრიანების პერსპექტივას დაგვაშორებს.

– კონსულტაციების შესახებ პრეზიდენტის განცხადებას რა როლის თამაში შეუძლია ამ ვითარებაში იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციასაც არ აქვს ერთიანი პოზიცია? განსხვავებულია მათი ბრძოლის ფორმებიც.

– ჩემი აზრით, მხოლოდ სულმდაბლობის ნიშანი იქნება, თუ „ქართული „ოცნება“ არ მიიღებს პრეზიდენტის მიწვევას. კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, ისინი პოლიტიკოსები არიან, თუ გარკვეული ზეწოლის მძევლები. კარგია, ყველა სახის კომუნიკაცია, მაგრამ პრეზიდენტმაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიანიჭოს საკუთარ ავტორიტეტს, რომელსაც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ხოტბამ ნამდვილად მიაყენა ზიანი. დღევანდელი დაძაბულობის წინაპირობა სწორედ „ქართული ოცნების“ არარსებული პოლიტიკური ნება გახლდათ, რომ 2013 წლის გაზაფხულამდე დაესრულებინა „სამართლიანობის აღდგენა“, რომელიც უკვე გამაღიზიანებელ ფრაზად აღიქმება. ასეთი პოლიტიკური ნების არმქონე ძალა თავის თავზე უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება. არსებული ვითარების ქუჩაში გარჩევა მხოლოდ დააზარალ-

ლადო ასათიანი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასეთ ფრაზას უძღვნიდა – ხომ მაგარია ეს პრეზიდენტი, მაგრამ მე უფრო მაგარი მინდა

„არ არსებობს მოსამართლე, რომელიც ასე სასიკვდილოდ გადაკიდებულ ორ მხარეს გამოუტანდა განაჩენს, რომელიც ორივეს დააკმაყოფილებდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იმ ნერტილამდე ომავალს ვკარგავთ“

„თუკი რამე არ მსურს ამ ქვეყნისთვის, ეს პრეზიდენტის იძულებაა, რომ საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს“



„ამ კუთხით, „თავისუფალი დემოკრატების“ მიდგომა სწორია. მითიც, თითქოს ამ პარტიას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აიგივებდნენ, „რუსთავი 2“-მა შექმნა, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით უშვებდნენ ეთერში ამ პარტიების წარმომადგენლებს“

EXCLUSIVE

ებს ჩვენს ქვეყანას, მის აწმყოსაც და მომავალსაც. ამ კუთხით, „თავისუფალი დემოკრატების“ მიდგომა სწორია. მითიც, თითქოს ამ პარტიას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აიგივებდნენ, „რუსთავი 2“-მა შექმნა, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით უშვებდნენ ეთერში ამ პარტიების წარმომადგენლებს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ დღეებში ის დრო იყო, რომ ამ პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც აშშ-ში იმყოფება ვიზიტით, ხელისუფლების აქტიური კრიტიკით ყოფილიყო დაკავებული. ჩვენი შიდა პრობლემების გარკვევაში ღრმად ჩაღწევის სურვილი დასავლეთში ბევრს არ აქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ კარლ ბილდტის კრიტიკული წერილი, რომელიც ღარიბაშვილის გამოსვლას მოჰყვა („ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ტექსტი), ბილდტის მისამართზე მხოლოდ იმიტომ გაიგზავნა, რომ უკან წამოსულიყო. წარმოუდგენელია, რომ ბილდტი ისეთი უსაქმური იყოს, რომ ასეთი მყისიერი გადაწყვეტილება მიიღოს, თარგმანში დარწმუნდეს და გამოსვლა შეაფასოს. ამიტომ ნიჭიერი და ყოჩაღი „ნაციონალები“, რომლებიც საერთაშორისო სივრცეში საქართველოს ავ-კარგის გამავრცელებლები არიან, დიდი ალბათობით, შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის წერილის ავტორები არიან. ადრე თუ გვიან, დავრწმუნდებით იმაში, რომ „ქართული ოცნების“ არასწორი ინფორმაციული პოლიტიკა, სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გახდება ევროპისკენ სწრაფვაში. ხოლო ის, რასაც „ნაციონალები“ სჩადიან, აღქმული იყოს მავნებლობად საქართველოს პერსპექტივისთვის. რაც უფრო ველურად წარმოვაჩენთ ჩვენს თავს, მით უფრო დავშორდებით ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივას. საკითხი პირისპირ კომუნიკაციებით უნდა მოწესრიგდეს, ასეთი მისია აკისრია პრეზიდენტს, თუკი რამე არ მსურს ამ ქვეყნისათვის, ეს გახლავთ იძულება პრეზიდენტისა, რომ საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს. ეს ჩვენი ნანატრი პერსპექტივისგან დამაშორებელი რეალობა იქნება.

– როგორ უნდა მოხდეს პრეზიდენტის იძულება?

– ტემპი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აიღო, ნებისმიერი ადამიანის მოთმინების ფიალას აავსებს, თუ მის მიმართ ასეთი ლანძღვა-გინება არსებობს. რა თქმა უნდა, კრიტიკის ღირსია ჩვენი ხელისუფლება, თუმცა კრიტიკასა და ლანძღვა-გინებას შორის უზარმაზარი განსხვავებაა. თუ ჩვენ ვერ ვიხილეთ საკუთარი წინსვლა, ისევ რუსეთის სივრცეში აღმოვჩნდებით და ჩვენი შთამომავლებისგან დაწყევლილები ვიქნებით. საქმე არ არის ხალვაშსა და „რუსთავი 2“-ში, საქმე ეხება საქართველოს მომავალს, რომელიც უინსტონ ჩერჩილის ფორმულიდან გამომდინარე (როცა იწყება კამათი აწმყოსა და წარსულს შორის, მოულოდნელად ირკვევა, რომ ჩვენ მომავალი დავკარგეთ), თითქმის უკვე დაკარგული გვაქვს. ამ წერტილამდე ვართ მისული, მომავალს ვკარგავთ და ეს ძვირად დაუჯდება იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელსაც ქვეყნის მართვის პრეტენზია აქვს.

– თქვენ საუბრობდით პრეზიდენტის მისიაზე, თუმცა მაშინ, როდესაც მის მიერ გაკეთებული განცხადებები ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეაფასეს, როგორც უპასუხისმგებლო. ამასთანავე, განაცხადეს, რომ ეს იყო მოსამართლეზე ზეწოლა და პრეზიდენტმა კონკრეტული მხარის პოზიცია დაიკავა, როგორ უნდა ითამაშოს პრეზიდენტმა შემრიგებლის როლი?

– ეს რთული იქნება. ჩემი სურვილია, რომ ამაზე დაფიქრდეს აღმასრულებელი ხელისუფლება. მას ტრენინგი უნდა ჩაუტაროს კოალიციამ, რომლის უმრავლესობაც ბევრად უფრო გონიერი და გამოცდილია პოლიტიკაში, რომლებიც მართავენ ქვეყანას. პარლამენტის თავმჯდომარის გარდა, არიან ახალგამომცხვარი პოლიტიკოსები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, თუმცა უფრო საინტერესონი იყვნენ, ვიდრე პარლამენტში შევიდოდნენ. თუ გვინდა, რომ ჩვენი ხელისუფლების პირები დამოუკიდებელნი იყვნენ, ყველა საჯარო მოხელემ, რომელსაც „ქართუ ბანკში“ აქვს სესხი, უნდა გაანულოს და ბანკის მფლობელმა შეცდომა მიუტევოს ამ ადამიანებს, რომლებმაც ვერ განჭვრიტეს საკუთარი თავისუფლების ხარისხი, როდესაც სესხს იღებდნენ. ეს სულ 10-15 ადამიანი იქნება, მაგრამ არცთუ დაბალი თანამდებობის პირები. რაც შეეხება პრეზიდენტს, მიუხედავად საკუთარი ნიჭისა და განათლებისა, პრეზიდენტიც ახალბედა პოლიტიკოსია. საკმაოდ პრინციპული პიროვნება და ემოციურიც. ამიტომ განცხადებები ექსპრომტად და წინასწარ, სტრატეგიის ჩამოუყალიბებლობად, მისთვის და ამა თუ იმ ხარისხის კომუნიკაციებისთვის სიკეთის მომტანი არ იქნება. ის ყველაზე სწრაფად მზარდი პოლიტიკოსია მათგან, ვინც „ქართულმა ოცნებამ“ შემოგვთავაზა. მაგრამ ლადო ასათიანი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასეთ ფრაზას უძღვნიდა – ხომ მაგარია ეს პრეზიდენტი, მაგრამ მე უფრო მაგარი მინდა.

ნიჭიერი და ყოჩაღი „ნაციონალები“, რომლებიც საერთაშორისო სივრცეში საქართველოს ავ-კარგის გამავრცელებლები არიან, დიდი ალბათობით, შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის წერილის ავტორები არიან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ილია კეკიშვილი: „ვუშვებთ კედლის გაზეთ „ჭაღარას“, ვწერთ პანსიონატის ცხოვრებაზე. აქაურობის მემატიანეს მეძახიან“

EXCLUSIVE

მურმან ხაჭაპურიძე: „დრო თავისას მიერეკება. 82 წლისა მენა ვარ და 80 წლისა ცოლი არის, აი ეს არის ჩვენი გაჭირვება“

სალომე ჩადუნელი

სულ მალე რესტორან „ჭაშნაგირში“ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ბენეფიციარები მათთვის საყვარელ ადამიანებს შეხვდებიან. შოუბიზნესი, პოლიტიკა, ხელოვნება, მწერლობა, მუსიკა - სასურველი სტუმრის სფერო შეზღუდული არაა, მთავარია დაასახელო პიროვნება და „პრაიმტაიმი“ შენი სურვილის ასრულებას შეეცდება.

ერთობლივი შეხვედრის იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც გაზეთმა მიიღო ინფორმაცია, პანსიონატში გათბობისა და ცხელი წყლის დამონტაჟების შესახებ. შეგახსენებთ, რომ გაზეთი „პრაიმტაიმი“ ერთადერთი გამოცემა იყო, რომელიც პანსიონატისა და მასში მცხოვრები მოხუცების 25-წლიან პრობლემაზე წერდა. მათი პრობლემების გაშუქების შემდეგ, უკვე ერთი თვეა, პანსიონატს ცხელი წყალი აქვს, ხოლო ერთი კვირაა, რაც ცენტრალური გათბობა დაამონტაჟეს.

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს ამჟამად 73 ბენეფიციარი ჰყავს, მათ შორის არიან შშმ პირები, ვეტერანები, „დღეგრძელები“ და წყვილები, რომლებიც ერთმანეთთან პანსიონატის სივრცემ დააკავშირა. დაწესებულების ცხოვრება საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია, მოხუცები ხშირად აწყობენ გასვლით და შიდა ღონისძიებებს, დადიან თეატრში, მუშაობენ სახელოსნოში და საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენენ. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, დერეფანში ხშირად საუბრობენ, მისაღებში ტელევიზორს უყურებენ და ერთმანეთს პოლიტიკურ შეხედულებებსაც უცვლიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც მარტო ყოფნა ურჩევნიათ და გარშემომყოფებს იშვიათად ანუხებენ. 25 წლის მანძილზე პანსიონატში მცხოვრები მოხუცები გათბობისა და ცხელი წყლის გარეშე ცხოვრობდნენ. ზამთარში გათბობას ყველა სხვადასხვა ხერხით ცდილობდა. უმეტესობა კი ელექტრონულ ქურას იყენებდა.

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის დირექტორის დარეჯან თომაძის თქმით, დაწესებულებას პრობლემის სააშკარაოზე გამოტანასა და მოგვარებაში გაზეთი „პრაიმტაიმი“ დაეხმარა.

„თქვენი გაზეთი არის პირველი, რომელმაც გააჟღერა ხანდაზმულთა პანსიონატის ყველაზე დიდი პრობლემა: 25 წლის მანძილზე ცხელი წყალი და გათბობა არ გვქონდა. თქვენი გაზეთი დაგვეხმარა, რათა ეს პრობლემა სააშკარაოზე გამოგვეტანა. ყველაფერს მალვა არ უნდა, ის პრობლემა, რაშიც შეიძლება რომ საზოგადოება დაგიდგეს გვერდში და მოგვარდეს, უნდა ითქვას. ყველაზე პირველი ვისთვისაც მე მინდოდა მეხარებინა, რომ ცხელი წყალი და გათბობა გვაქვს, ეს იყო თქვენი გაზეთის რედაქტორი. მე ავიღე ტელეფონი, თაკოს დავურეკე და ვუთხარი: „თაკო თქვენი გაზეთი იყო, რომელიც პრობლემის მოგვარებაში დაგვეხარა და ძალიან მინდა ისევ თქვენი გაზეთი იყოს, ვინც გააჟღერებს, რომ ჩვენ ცხელი წყალი და გათბობა გვაქვს“, - ყვება **დარეჯან თომაძე.**

დირექტორის თქმით, იდეა, რომელიც ბენეფიციარებისა და მათთვის საყვარელი ადამიანების რესტორანში ერთად ვიზიტს გულიხმობდა, მას არ გაჰკვირვებია, რადგან „პრაიმტაიმის“ პროექტებსა და ინოვაციებს კარგად იცნობდა.

დარეჯან თომაძე:

„თაკოსგან ეს ინიციატივა არ გამკვირვებია, რადგან მე ვიცი მისი აქტივობები ჩვილ ბავშვთა სახლში და ვიცი, ის თუ როგორ დაეხმარა იმ დროს, როდესაც ბავშვთა სახლს სჭირდებოდა საწოლები და თეთრეული. მე არ გამკვირვებია, მაგრამ საოცრად მესიამოვნა“.

ჩვენ გავესაუბრეთ პანსიონატის მაცხოვრებლებს და დავინტერესდით ვისთან შეხვედრას ისურვებდნენ ისინი ყველაზე მეტად? იდეები მრავალფეროვანი იყო, თუმცა უმეტესობას მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა და პრობლემებზე საუბარი სურდა. ყველაზე მეტი ხმა დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ დააგროვა, შემდეგ კი ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, ასახელებდნენ პრეზიდენტსაც. შოუბიზნესის წარმომადგენლებიდან ყველაზე მოთხოვნადი მერაბ სეფაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი და ლელა წურწუმია იყვნენ. ზოგიერთმა ილიკო და ნინო სუხიშვილების გაცნობაც ისურვა. ბევრისთვის სახელსა და გვარს მნიშვნელობა არ ჰქონდა და მთავარი ახალი ურთიერთობები და ემოციები იყო.

პანსიონატის დირექტორის დარეჯან თომაძის თქმით, ხანდაზმულებმა საღამოსთვის მზადება უკვე დაიწყეს.

„მას შემდეგ, რაც მე მათ შევხვდი და ვესაუბრე, ისინი უკვე ფიქრობენ რა ჩაიცვან, თმა როგორ შეიღებონ, როგორ გაიპრანჭონ და ეს არის მათთვის ძალიან დიდი სტიმული“.

გავიცნოთ პანსიონატის მცხოვრებლები:

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში ყველა ბენეფიციარს თავისი სამყარო და ისტორია აქვს. ისინი ამ ისტორიებით დააბიჯებენ ან შენობის კედლებს მიღმა წერენ ახალ ისტორიას. ამის კარგი მაგალითები არიან წყვილები, რომლებმაც ერთმანეთი პანსიონატში გაიცნეს და დღეს ერთად არიან.

90 წლის შოთა ბიძინაშვილმა და 76 წლის რიმა ოკომკიანმა რამდენიმე წლის წინ ერთმანეთი პანსიონატში გაიცნეს და 4 თვეში იქორწინეს კიდეც. პანსიონატის თანამშრომლები მათ გვრიტებს ეძახიან, დღეს სურვილის მიხედვით გეგმავენ, დროის ძირითად ნაწილს სახელოსნოში ერთად ატარებენ და ყოველ დილით სასეირნოთ დადიან.

შოთა ბაბუა 2009 წლიდან ცხოვრობს პანსიონატში. მისი ყოველი დღე შემოქმედებითად ძალიან დატვირთულია. ძერწავს სხვადასხვა ნაკეთობას, თვითნასწავლი ფერმწერი და პიანისტია და ხშირად მუსიკალურ ნაწარმოებებს იმპროვიზაციით ქმნის. რიმა ბებოს კი ცეკვა ძალიან უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი მეუღლე მისთვის საყვარელ მელოდიებს ასრულებს.

კეკიშვილი ილია და თამარი

ილია ყოფილი ჟურნალისტია, თამარი ლექსებს წერს, ერთმანეთი პანსიონატში გაიცნეს და 6 წელია ერთად არიან.

„ამ ბინაში ვცხოვრობთ ხუთი წელია. აქ გავიცანით, ოღონდ ჩემი მეუღლე აქ არ ცხოვრობდა. ჩავარდნილ ნათესავს უვლიდა, პოეზიის მოყვარულია, დავუახლოვდით და დავმეგობრით, ეს გადაიზარდა სერიოზულ გრძნობაში და ორივე ვემსახურებით პანსიონატს, ვუშვებთ კედლის გაზეთ „ჭაღარას“, ვწერთ პანსიონატის ცხოვრებაზე, ყოველთვიურად ხან თვეში ორი გამოდის. აქაურობის მემატიანეს მეძახიან“, - გვიყვება **ილია კეკიშვილი.**

ხაჭაპურიძე მურმანმა და რეხვიაშვილმა დალიმ ერთმანეთი, სხვა წყვილებისგან განსხვავებით, მთაში გაიცნეს. მთიულები არიან, დაქორწინდნენ, მთაში შემოსავალი არ ჰქონდათ, სოფელი იცლებოდა, ცხოვრება გაუსაძლისი ხდებოდა და დედაქალაქში წამოვიდნენ.

„უამრავი ბინა გამოვიცვალეთ, სულ ბოლოს ორი ბინა ვიყიდეთ, შვილებს გავუნაწილეთ, გამრავლდნენ და ვეღარ ეტეოდნენ, ვითხოვეთ საცხოვრებელი და აქ გადმოგვიყვანეს, სრულიად შემთ-

დარეჯან თომაძე: „ისინი უკვე ფიქრობენ რა ჩაიცვან, თმა როგორ შეიღებონ, როგორ გაიპრანჭონ და ეს არის მათთვის ძალიან დიდი სტიმული“

„სახელმწიფოსგან პენსიასაც იღებენ და თავისი სურვილის მიხედვით ხარჯავენ, კიდევ ოჯახის წევრებს ეხმარებიან, ვისგანაც მოხვდნენ ამ დაწესებულებაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დარეჯან თომაძე:

„თქვენი გაზეთი არის პირველი, რომელმაც გააჟღერა ხანდაზმულთა პანსიონატის ყველაზე დიდი პრობლემა: 25 წლის მანძილზე ცხელი წყალი და გათბობა არ გვქონდა“

„ეს დღე იქნება მათთვის დღე, როდესაც გაიხსენებენ რა ბედნიერები იყვნენ“

PRIME Time

ჭაშნაგირი CHASHNAGIRI

ხვევით მოვხვდით, თუმცა ძალიან მოგვწონს და კმაყოფილები ვართ“.

„დრო თავისას მიერეკება, წაველთ ორი ბრუციანი, გაველთ ექიმთანა, ცხოვრებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უსინათლობით არ ვარ კმაყოფილი. 82 წლისა მენა ვარ და 80 წლისა ცოლი არის, აი ეს არის ჩვენი გაჭირვება“, - ამბობს **მურმან ხაჭაპურიძე.**

კეკელაშვილი ზელიმხანის სიყვარულზე პანსიონატში ლეგენდები დადის. მამაკაცს მეუღლე 19 წლის წინ სიმსივნის დიაგნოზით გარდაეცვალა. ყოველ მის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს საგულდაგულოდ იცვამს, სუნამოს ისხამს და ყვავილებით ხელში სასაფლაოზე მიდის. შავები დღემდე არ გაუხდია, არც საქორწინო ბეჭედს იხსნის, ოთახი მეუღლის ფოტოებით აქვს სავსე და წარსულზე საუბრისას თვალები ცრემლით ევსება. ცოლისთვის რომ ემკურნალა ყველაფერი გაყიდა, აღარაფერი დარჩა შვილების გარდა. ორი შვილი ჰყავს, როცა უმცროს შვილს სცალია დედის საფლავზე ერთად მიდიან, უფროსი კი ათი წელია არ უნახავს, ამბობს შეცდომა დაუშვაო, მაგრამ დეტალებზე საუბარი არ სურს.

ისტორიები უამრავია, ადამიანებიც თავისი ისტორიების მსგავსად განსხვავებული, პანსიონატი ყველას ოჯახის წევრივით იღებს და აღარ უშვებს. დარეჯან თოიძის თქმით, საღამო, რომელსაც „პრაიმტაიმი“ ხანდაზმულებს მოუწყობს, ბენეფიციარებს პანსიონატამდე ცხოვრებას გაახსენებს.

„მათ, განსაკუთრებით შშმ პირებს, ხალხთან ურთიერთობა იშვიათად უწევთ. აქ ვინც მოხვდნენ, თავის დროზე თითქმის ყველა რეალიზებულები იყვნენ და მოხდა ისე, რომ საცხოვრებლის დაკარგვის, ოჯახური კრიზისის გამო და ბევრი სხვა მიზეზით მოხვდნენ პანსიონატში და ეს დღე იქნება მათთვის დღე, როდესაც გაიხსენებენ რა ბედნიერები იყვნენ. ზოგისთვის აქ ცხოვრება სამოთხეა. სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ამბობენ ამას. ისინი ხედავენ გარეთ დარჩენილი მოხუცები როგორ გაჭირვებაში არიან. 160 ლარი მათთვის საკმარისია, იმის გარდა, რომ ისინი 100% დაფინანსებით სარგებლობენ სახელმწიფოსგან პენსიასაც იღებენ და თავისი სურვილის მიხედვით ხარჯავენ, კიდევ ოჯახის წევრებს ეხმარებიან, ვისგანაც მოხვდნენ ამ დაწესებულებაში“, - ამბობს **დარეჯან თომაძე.**

პანსიონატის ადმინისტრაციას ხანდაზმულების მიღების უფლება არ აქვს. ვისაც პანსიონატში მოხვედრა სურს სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა მიმართოს, მათ შეაფასებს სოციალური მუშაკი და მინიჭებული ქულების მიხედვით გადაწყდება მიიღებს თუ არა ხანდაზმული თავშესაფარში ოთახსა და 100%-იან დაფინანსებას.

პანსიონატის მცხოვრებლებს სტუმრები უყვართ, თავის ისტორიებსაც დაუფარავად ყვებიან, საღამო რომელსაც „პრაიმტაიმი“ მოაწყობს, მათ საშუალებას მისცემს, არა ტელევიზორიდან, არამედ პირადად უსმინონ თავის საყვარელ ადამიანებს, ესაუბრონ პრობლემებზე, გაიხსენონ ისტორიები, გაუზიარონ იდეები და დარწმუნდნენ, რომ უსმენენ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას ითხოვს ირანი საქართ

„ეს კვლევა უნდა ჩაატაროს დაინტერესებულმა მხარემ, თუ ასეთი კვლევა დაიწყება, დავსვამთ იმ საკვანძო პარამეტრებს, რომლებიც გვჭირდება“

EXCLUSI



იოსებ ჩახვაშვილი: „გამორიცხულია, რომ ეს იყოს მტკვრის წყალი, რადგან მტკვარი არის საზიარო მდინარე აზერბაიჯანთან და იქ კვოტები განაწილებულია“

ნინო ცაბოლოვი

საქართველოს მიერ ირანისთვის წყლის რესურსების მიწოდება ქართულ მხარეს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, თუმცა ირანის თანხმობის შემთხვევაში, მზად არის, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებულმა მხარემ, თეირანმა შესაბამისი კვლევის ჩატარება დაიწყოს. კვლევის შედეგად, უნდა დადგინდეს ზუსტი წყარო, საიდანაც საქართველო ირანს წყლის რესურსით მოამარაგებს. ამასთანავე, უნდა მოხდეს რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, მაგალითად, საიდან და რა რაოდენობის წყალს აიღებენ. „ეს კვლევა უნდა ჩაატაროს დაინტერესებულმა მხარემ, თუ ასეთი კვლევა დაიწყება, დავსვამთ იმ საკვანძო პარამეტრებს, რომლებიც გვჭირდება“, – ასეთია ქართული მხარის პოზიცია.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, თეიმურაზ მურღულია ადასტურებს, რომ მტკვარი არ არის ერთადერთი წყარო და აღნიშნული იდეის არაფორმალური განხილვისას, ძალიან ბევრ, თეორიულ ვარიანტზე იყო საუბარი. კერძოდ, როგორც მურღულია აცხადებს, „იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთში ბევრი წყალი გვაქვს, აღმოსავლეთში შედარებით – ნაკლები, გაჟღერდა გლობალური პროექტის განხორციელების ვარიანტი, რომ დასავლეთის წყლის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს გავლით გადმოსროლილიყო, ნაწილი ჩვენ გამოგვეყენებინა და ნაწილი დაინტერესებული მხარისთვის მიგვენოდებინა“. თეორიულად, ასეთი პროექტი შესაძლოა, საქართველოსთვის საინტერესო ყოფილიყო. თუმცა რადგან კვლევა არ არსებობს, ამ თემის განხილვას ქართული მხარე ნაადრევად მიჩნევს და აცხადებს, რომ ეს თემა მხოლოდ იდეის დონეზე განიხილება და არანაირი პროექტი არ არსებობს. თუმცა 10 აგვისტოს, ირანელმა დეპუტატმა ალი ალილუმ ადგილობრივ პრესას განუცხადა, რომ ირანი დამშრალი ურმიის ტბის აღდგენას საქართველოსა და სომხეთიდან მიღებული წყლით გეგმავს. მისივე ინფორმაციით, მხარეებთან შეთანხმება უკვე მიღწეულია და მდინარე მტკვრისა და სევანის ტბიდან ურმიაში წყალი სამი სატუმბო სადგურის მეშვეობით გადაიტუმბება.

თეიმურაზ მურღულია: „პროექტი იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ეს საქართველოსთვის მომგებიანი იქნება; საუბარია მხოლოდ იმ რესურსებზე, რომელიც ჭარბია და რომელსაც აქტიურად ვერ ვიყენებთ. ძალიან ბევრი რესურსი საბოლოოდ, მტკვარს ერთვის. ანუ თუ ჩვენ, ჩვენს საჭიროებებში ზედმეტი წყალი გვაქვს, რატომ არ შეგვიძლია, ის საერთო ეროვნულ სიკეთედ ვაქციოთ?! ამაში პრობლემას ვერ ვხედავ და დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი საკითხი დადგება, ამას განიხილავენ.

იდეის განხორციელების შესაძლებლობას გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ექსპერტი ნინო ჩხობაძე გამორიცხავს და აცხადებს, რომ ირანში წყლის გადატუმბვა შეუძლებელია იმიტომ, რომ მტკვარს საკმარისი წყალი არ აქვს.

ნინო ჩხობაძე: „წყალი არ გვაყოფნის ჩვენი სარწყავი სისტემებისთვის. ასევე, არ გვაქვს გამართული სარწყავი სისტემები. შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ნაწილობრივ, კახეთი არის მტკვრის სარწყავ სისტემებზე, ამიტომ, ხელაღებით იმის თქმა, რომ წყლის მიწოდება შეგვიძლია, არ შეიძლება, რადგან ვერ მივაწვდით და საერთოდ, 21-ე საუკუნეში ასეთი რაღაცები აღარ ხდება. ხელოვნურად ტბების აღდგენა არ შეიძლება. ჯერ უნდა დადგინდეს მიზეზი, რის გამო დაშრა ტბა, ეს მიზეზი უნდა აღმოიფხვრას, მერე უნდა დაიწყოს აღდგენაზე საუბარი. ყველა პროგნოზი იმაზე მიანიშნებს, რომ შესაძლოა, მტკნარი წყლის რაოდენობა შემცირდეს. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ჩვენ ისედაც წყლის დეფიციტი გვაქვს, დასავლეთ საქართველო ითვლებოდა წყალუხვად, თუმცა წელს დასავლეთ საქართველოსაც ძალიან გაუჭირდა. არც ერთი ქვეყანა ამას აღარ ახორციელებს, რადგან არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომლითაც ეს ყველაფერი აკრძალულია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა რაოდენობის წყალი გვჭირდება; ზედაპირულ წყალზეა დამოკიდებული მინისქვეშა წყლების აუზები, საიდანაც წყალს ვიღებთ და შესაძლოა, ნიტრატები დაშრეს – ამიტომ ნებისმიერი განცხადება წყლის გადატუმბვაზე არასერიოზულია, სანამ ამ საკითხს ბოლომდე არ შევისწავლით. პრინციპულად მიმაჩნია, რომ ტბის ხელოვნურად აღდგენა შეიძლება არასწორი იყოს“.

რამდენად რეალურია პროექტის განხორციელება? ექსპერტების ამ შეკითხვას, **გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია** ასე პასუხობს:

„ამ პროექტის არსებითად განხილვა, ფორმალური პროცესის დაწყების შემდეგ იქნება შესაძლებელი, ანუ მას შემდეგ, რაც ინტერესი ოფიციალურად გამოიხატება. ჩვენ ვართ ცენტრალური კომპეტენტური ორგანო, რომელსაც შეუძლია პროფესიული შეფასების გაკეთება. არ არსებობს სტანდარტი, რომელიც ქვეყანას ამას აუკრძალავს. პროექტი არ არსებობს, შეფასებაც არასერიოზულია. შემზღუდველი სტანდარტი არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგან არიან ქვეყნები, რომლებიც ექსპორტს ანარმოებენ – შესაძლოა, არა ნაკადის ფორმით, თუმცა მაინც ანარმოებენ. რაც შეეხება ირანის პოზიციას, ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ“.

ირანის პოზიციის გასაცნობად საქართველოს ელჩს, იოსებ ჩახვაშვილს ვთხოვეთ კომენტარი.

ის ადასტურებს, რომ ამ თემაზე ირანის პირველ პირებთან ჰქონდა საუბარი და მათი სურვილია, ეს პროექტი განხორციელდეს, თუმცა იმის გამო, რომ საკითხი შესწავლილი არ არის, ქართული მხარე მას თავშეკავებით ეკიდება.

ნინო ჩხობაძე: „წყალი არ გვყოფნის ჩვენი სარწყავი სისტემებისთვის. ასევე, არ გვაქვს გამართული სარწყავი სისტემები“

იოსებ ჩახვაშვილი: „საჭიროა, სამუშაოების ჩატარება მეცნიერ-ჰიდროლოგების მიერ. ასევე, საჭიროა, რესურსის მოძებნა და წყლის მომზადება საქართველოს ტერიტორიაზე და შემდეგ, მილსადენებით მისი მიწოდება. ამასთანავე, უნდა იყოს არჩეული ოპტიმალური, უმოკლესი გზა, როგორ შეიძლება ამის ტრანსპორტირება – იქნება ეს თურქეთი, სომხეთი, თუ აზერბაიჯანი. თუ ახლა დავიწყებთ მომზადებას, ამას დასჭირდება 3-5 წელი. აშენებასა და წყლის ტრანსპორტირებას კი – 10-15 წელი. ეს არის შორეული პერსპექტივა, თუმცა ობიექტური რეალობაა, რომ ირანში წყალი სულ უფრო და უფრო ნაკლებია – არც ერთ მეზობელ ქვეყანას არ შეუძლია, მას წყალი მიაწოდოს. საქართველო მართლაც არის ის ქვეყანა, რომელსაც შორეულ პერსპექტივაში, თეორიულად, ირანისთვის წყლის მიწოდება შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ იდეა პროექტად იქცა, მისი განხილვა ქართულ მხარეს აზერბაიჯანთანაც მოუწევს, რადგან, როგორც ირანში საქართველოს ელჩი აცხადებს, მტკვარი საზიარო მდინარეა, სადაც კვოტები გადანაწილებულია და აზერბაიჯანი თანახმა არ არის, თავისი კვოტები დათმოს.

იოსებ ჩახვაშვილი: „გამორიცხულია, რომ ეს იყოს მტკვრის წყალი, რადგან მტკვარი არის საზიარო მდინარე აზერბაიჯანთან და იქ კვოტები განაწილებულია. მაშინ აზერბაიჯანმა უნდა დათმოს თავისი კვოტები, რაც წარმოუდგენელია“.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ბაქომ, არაოფიციალურად, უკვე გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ იდეის განხილვა მათი ჩართულობის გარეშე მოხდა.

თეიმურაზ შარაშენიძე, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში: „ელემენტარულია, რომ უნდა დასხდნენ და ეს პროექტი აზერბაიჯანულ მხარეს შეუთანხმონ, რადგან მის ტერიტორიაზე მილსადენი უნდა გაიყვანონ. აზერბაიჯანელები საქმის კურსში არ არიან, რომ ასეთი პროექტია განსახორციელებელი. ამაზე საუბარი არ ყოფილა“.

ქართული მხარე განმარტავს, რომ „საქართველო კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე მოქმედებას გეგმავს“.

თეიმურაზ მურღულია, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე: „ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მეზობლები და მტკვართან დაკავშირებულ საკითხს აზერბაიჯანის გარეშე არ ვხყვეტთ. რა თქმა უნდა, ორივე ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე ვმოქმედებთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲕᲔᲚᲝᲡᲒᲐᲜ
VE
www.moe.gov.ge
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

თემურ მურღულია: „საუბარია მხოლოდ იმ რესურსებზე, რომელიც ჭარბია და რომელსაც აქტიურად ვერ ვიყენებთ. ძალიან ბევრი რესურსი საბოლოოდ მტკვარს ერთვის“

წამოცდენა თუ პირადი ოცნება?

გოგი თოფაძე: „ხელისუფლებას ამოუვიდა ყელში ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, მონახეს, გამოჩნდა რეალური მეპატრონე და ბუნებრივია, ითხოვენ სამართლიან სასამართლოს“

<u>მირიან ბოქოლიშვილი</u>

გოგი თოფაძე თავისი უჩვეულო განცხადებებით არაერთხელ ყოფილა სკანდალის ეპიცენტრში და, სავარაუდოდ, ასე იქნება ამ მცირე ინტერვიუს შემთხვევაშიც, სადაც „მრეწველთა“ ლიდერი ამჟამინდელ „რუსთავი 2“-ზე უკვე წარსულში საუბრობს და ამბობს, რომ ეს „არხი არაობიექტური იყო“. როგორც ჩანს, თოფაძემ ტელეკომპანიას მოსამართლზე ადრე გამოუტანა საკუთარი ვერდიქტი, თუმცა, ამაზე ყურადღებას არც გავამახვილებდით, რომ არა ჩვენთან საუბრის დროს ერთი მცირე წამოცდენა. მკითხველის ნაწილმა შესაძლოა, ეს არა რეალობაზე დაყრდნობილ ინფორმაციად, არამედ გოგი თოფაძის პირად სურვილად შეაფასოს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ალბათ, არანაკლები პრობლემაა, როცა პარლამენტის დეპუტატი, მით უმეტეს მმართველი გუნდიდან, ასეთ სურვილებს უკვე საჯაროდ ამჟღავნებს.

სანამ ამ მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ იმასაც, რომ გოგი თოფაძე „რუსთავი 2“-ს დიდი ხანია არ სწყალობს და მის განეიტრალებას, ხან შევარდნაძეს, ხანაც ასლან აბაშიძეს სთხოვდა. ეს კარგად ჩანს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ წინ აჭარის ყოფილ ლიდერსა და თოფაძეს შორის შემდგარ სატელეფონო საუბრის ჩანაწერში, სადაც თოფაძე აბაშიძეს პირდაპირ მოუწოდებს „რუსთავი 2“-ის მიმართ რადიკალური ზომების მიღებისკენ.

„ხალხი გააბითურა ამ „რუსთავი 2“-მა. მე ორი წელია ვეუბნები ჩვენს ძალიან შორსმჭვრეტელ პრეზიდენტს, „რუსთავი 2“ დაგლუპავს-მეთქი. ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოა და ვერაფერი მოვუხერხე და ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ უფრო რადიკალური ბრძანდებით და ეს ერთადერთი გამოსავალია დღეს. და მასაც (შევარდნაძეს) რომ მოუწოდოთ, ცოტა კაცურად მოიქცეს, რადიკალურად მივაწვეთ ამათ სუყველა. ასე არ შეიძლება, კაცო, ამათი ბაირამობა, წარმოუდგენელია, დაინგრა ქვეყანა“, – ეუბნება ასლან აბაშიძეს გოგი თოფაძე.

როგორც ჩანს, „მრეწველთა“ ლიდერს პოზიცია არც წლების შემდეგ შეუცვლია და მისი დღევანდელი განცხადებებიც საკმაოდ ხმაურიანად ჟღერს.

გოგი თოფაძე, დეპუტატი, „ქართული ოცნება – მრეწველები“:

– გაუგებარია, რატომ არის ასეთი აჟიოტაჟი. ხელოვნურად იქმნება ეს ყველაფერი. მიმდინარეობს სასამართლო და როგორც ჩანს, ქიბარ ხალვაშს ამ კომპანიაში სერიოზული ინვესტიციები აქვს განხორციელებული. სასამართლო გადაწყვეტს, რა და როგორ. თუ არ იქნება ქიბარის არგუმენტები დამაჯერებელი, მერწმუნეთ, არაფერი „რუსთავი 2“-ს არ ემუქრება. ის ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, ოღონდ შეიძლება შეეცვალოს მფლობელი. ესაა და ეს.

– იქნება კი ეს ტელეკომპანია ისეთივე კრიტიკული, როგორიც დღეს არის ხელისუფლების მიმართ?

– ეგ არავინ იცის. ახალი მეპატრონის ნებაზე იქნება ეს დამოკიდებული. განცხადებები, რომ გავწვებით და აქ არავის შემოვუშვებთ, არასერიოზულია. გაიხსენოს „რუსთავი 2“-ის დირექტორმა, „იმედს“ რა უყვეს. თუ დაავიწყდა, ფილმს ვანახვებთ, რა შეფასებებსაც აკეთებდა. დაარბიეს ტელევიზია და ყველაფერი იკადრეს. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი ცივილიზებულად ხდება. სასამართლომ შეიძლება სულაც არ გადაწყვიტოს ეს საქმე ქიბარის სასარგებლოდ.

– „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელ მუშაობას როგორ აფასებთ?

– ეს არ იყო ობიექტური არხი. ის იყო ძალიან ცალმხრივი. სამი წელია, ხელისუფლებაში ვართ, რამდენი სიკეთე გაკეთდა ამ პერიოდში და ერთხელ სიტყვა არ დაუძრავთ. მხოლოდ ნეგატივი და არაობიექტურობა... ბუნებრივია, დღევანდელ ხელისუფლებას ამოუვიდა ყელში ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, მონახეს, გამოჩნდა რეალური მეპატრონე და ბუნებრივია, ითხოვენ სამართლიან სასამართლოს. სხვა არაფერი. ეს აჟიოტაჟი, ალბათ, იმიტომ არის ატეხილი, რომ გრძნობენ, დამნაშავეები არიან.

– ანუ ხელისუფლებამ მონახა ქიბარ ხალვაში?

– ხელისუფლებამ კი არ მონახა, ის გამოჩნდა, რომელმაც საქმე აღძრა. რა შუაშია აქ ხელისუფლება. ხალვაში თავის ინტერესებს იცავს და ხელისუფლება ამ საქმეში ჩარეული არ არის. ქიბარ ხალვაშს ხელისუფლებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

– თუმცა მისი და, ფატი ხალვაში თქვენი გუნდის წევრია...

– ნუ, მან კენჭი იყარა ქობულეთში და მოიგო. რა არის აქ უცნაური.

– უცნაური არაფერი არ არის, უბრალოდ, ხალვაშის კავშირები შეგახსენეთ...

– არა, არა, არაფერი საერთო არ აქვს ამ საკითხს „რუსთავი 2“-ის საქმესთან.

– თავად ქიბარ ხალვაშზე რა აზრის ხართ?

– ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ წარმატებული ბიზნესმენი იყო. საკმაოდ ბევრს მიაღწია მოკლე პერიოდში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისში ყველაზე მაღალი ტყუპი ცათამბჯენი „აქსის თაუერსი“ შენდება

AXIS TOWERS

ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მალე თბილისში ყველაზე მაღალი ტყუპი ცათამბჯენი აშენდება. 20 ოქტომბერს სწორედ ამ პროექტის - „აქსის თაუერსის“ პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ „აქსის თაუერსის“ სახით თბილისს შეემატება უნიკალური კომპლექსი. ჩვენ ველოდებით, რომ ეს კომპლექსი ხელს შეუწყობს დამატებითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოტანას საქართველოს ეკონომიკაში, ამ პროექტში დასაქმდება მინიმუმ 1000 კაცი და მშენებლობის დასრულების შემდეგ, რამდენიმე ასეული ადამიანი იქნება მუდმივად დასაქმებული“,- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პროექტის განხორციელებაში, რომლის ჯამური ღირებულება 83 მილიონი დოლარია, „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“ და კომპანია „აქსისი“ თანაბარი წილებით მონაწილეობენ.

პრეზენტაციაზე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა პროექტის კონცეფციის დეტალები, ფუნქციური დატვირთვა და ტექნიკური პარამეტრები. მრავალფუნქციური კომპლექსი ორი 41 (აქედან 4 სართული მიწისქვეშ) სართულიანი ცათამბჯენისგან შედგება, რომელთაგან ერთი შუშის იქნება, ხოლო მეორე - ქვის. „აქსის თაუერსი“ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შენობა იქნება, 147 მეტრი სიმაღლით. მისი საერთო ფართი 94.000 m^2 შეადგენს. პროექტი ითვალისწინებს მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობას 500-მდე ავტომანქანაზე.

„აქსის თაუერსის“ შუშის კოშკში განთავსდება ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელსაც ოპერირებას გაუწევს Accor ჯგუფში შემავალი ფრანგული საერთაშორისო ბრენდი Pullman, რომელიც ძირითადად ბიზნეს ტურიზმზეა კონცენტრირებული. შესაბამის ხელშეკრულებას Accor ჯგუფსა და „აქსის თაუერსს“ შორის პრეზენტაციაზე მოეწერა ხელი. ამავე კოშკში იფუნქციონირებს A-კლასის ბიზნეს ცენტრი, 15,000 m^2 საოფისე ფართით.

ქვის კოშკში განთავსდება 15,000 m^2 საცხოვრებელი ბინა შთამბეჭდავი ხედებითა და ვერანდებით. შენობა აღიჭურვება ყველა საჭირო და აუცილებელი ინფრასტრუქტურით, რათა მაცხოვრებლებისთვის შეიქმნას მაქსიმალურად კომფორტული გარემო.

„აქსის თაუერსი“ სტუმრებს გართობისა და დასვენებისთვის მრავალფეროვან არჩევანს შესთავაზებს. მასში იფუნქციონირებს: ფიტნეს და სპა ცენტრი; 25 მეტრი სიგრძის ღია აუზი მოძრავი სახურავით; Sky Bar დედაქალაქის საუკეთესო ხედებით, შენობის ბოლო სართულზე; 1,100 m^2 ფართის საკონცერტო დარბაზი; კაფეები და რესტორნები; სავაჭრო ცენტრი და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დამატებით, აღსანიშნავია, რომ „აქსის თაუერსი“ საკუთარ ტერიტორიაზე ქმნის საზოგადოებრივ სივრცეს - საფეხმავლო ქუჩას, რომელიც დააკავშირებს ჭავჭავაძის გამზირს აბულაძის ქუჩასთან.

პროექტში კონცეფციის ჩამოყალიბებიდან დღემდე, განვითარების ყველა ეტაპზე, ქართველ სპეციალისტებთან ერთად მუდმივად მუშაობენ საერთაშორისო დონის ექსპერტები. პროექტში ჩართულნი იყვნენ და არიან გლობალური ბრენდების წარმომადგენლები.

20 ოქტომბრიდან „აქსის თაუერსში“ ბინების გაყიდვა დაიწყო და გაეშვა პროექტის ოფიციალური საიტი axistowers.ge. კომპანიის დირექტორის გიორგი კაპანაძის განცხადებით, ორი კვირის მანძილზე კომპანიაში იმოქმედებს 10%-მდე ფასდაკლება ბინებზე, რომელიც მე-20 სართულამდეა განლაგებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფოტო: თინა თუთისანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია ყანჩელის 80 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში შედგა

კონცერტს ესწრებოდა თავად კომპოზიტორიც, რომლის დარბაზში გამოჩენას აპლოდისმენტებითა და ოვაციებით შეხვდა მაყურებელი

my View
ნინო მჭედლიშვილი

23 ოქტომბერს, ფონდმა „ავტოგრაფი“ და რუსთაველის თეატრმა გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს უმასპინძლა. საღამო სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. კონცერტს ესწრებოდა თავად კომპოზიტორიც, რომლის დარბაზში გამოჩენას აპლოდისმენტებითა და ოვაციებით შეხვდა მაყურებელი. გენიალური ქართველი კომპოზიტორის მუსუკას ლეგენდარული სპექტაკლებიდან, ფილმებიდან ახალი ინტერპრეტაციით ასრულებდნენ ნატო მეტონიძე და Xylem Trio ლატვიიდან. გია ყანჩელის საიუბილეო კონცერტი ამ ინტერპრეტაციით პირველად რიგაში გაიმართა. შემდეგ პროგრამას დაემატა ახალი კომპოზიციები და რუსთაველის თეატრის მაყურებელს საშუალება ჰქონდა განახლებული პროგრამა მოესმინა.

ნატო მეტონიძე: „იმედი მაქვს, მხოლოდ ამ კონცერტით არ შემოიფარგლება თბილისში ბატონი გიას საიუბილეო კონცერტები და კიდევ ბევრჯერ მოისმენს მის მუსიკას ქართველი მსმენელი სხვადასხვა დარბაზებში“

ნატო მეტონიძე:

- სასიამოვნო დამთხვევა მოხდა, რიგელი მუსიკოსები, ბიჭების ჯაზტრიო საქართველოში ჩამოვიდნენ, თეატრალური ფესტივალის ფარგლებში. ფესტივალზე აჩვენეს „ხანუმა“, რომლის მუსიკალური გაფორმებაც სწორედ ამ ტრიომ გააკეთა და 21-22 ოქტომბერს, თეატრალური ფესტივალის ფარგლებში წარმოადგინა. ეს ტრიო გია ყანჩელის მუსიკის თაყვანისმცემელია. მათ, ორი წლის წინ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჰქონდათ კონცერტი, გია ყანჩელის მუსიკა დაუკრეს. შემდეგ მათივე თხოვნით მინვეული ვიყავი რიგაში, სადაც ერთობლივად გავაკეთეთ ამ კომპოზიტორის კონცერტი. ასე რომ, ჩვენი პირველი თანამშრომლობა რიგაში უკვე შედგა. სწორედ ეს პროგრამა გვინდა ვაჩვენოთ დღეს რუსთაველის თეატრში მოსულ მაყურებელს. ძალიან მნიშვნელოვანი წელია ჩემთვის, რადგან ეს წელი გახლავთ ბატონი გიას საიუბილეო წელი. იმედი მაქვს, მხოლოდ ამ კონცერტით არ შემოიფარგლება თბილისში ბატონი გიას საიუბილეო კონცერტები და კიდევ ბევრჯერ მოისმენს მის მუსიკას ქართველი მსმენელი სხვადასხვა დარბაზებში. ველოდები სიამოვნებას, განცდას, რომელიც ჩემთვის პირველი არ არის, მაგრამ ყოველ ჯერზე ახალია.

გიგა კობალაძე (ფონდ „ავტოგრაფის“ დამფუძნებელი):

- ჩვენი ფონდი უკვე დიდი ხანია გია ყანჩელთან თანამშრომლობს. ჩვენ გავაკეთეთ ამ კომპოზიტორის კონცერტი 2 წლის წინ. ეს იყო განსხვავებული პროგრამა, თუმცა სწორედ „საილენდ“ ტრიო უკეთებდა არანჟირებას ყანჩელის მუსიკას, რომელსაც დღეს ნახავთ რუსთაველის თეატრის სცენაზეც, გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტზე. ეს იქნება სრულიად ახალი პროგრამა, ჯაზური ინტერპრეტაციით. ეს პროგრამა გახლავთ ნატო მეტონიძისა და „საილენდ“ ტრიოს ერთობლივი ნამუშევარი, რომელიც გაიმართა რიგაშიც. პროგრამას დაემატა სამი ახალი კომპოზიცია. ამდენად, დღეს მაყურებელს საშუალება აქვს მოისმინოს ერთგვარი პრემიერა, კომპოზიციები, რომლებიც ამ ინტერპრეტაციით ჯერ არსად არ გაჟღერებულა.

- ამ კონცერტის შემდეგაც გააგრძელებთ, ალბათ, გია ყანჩელთან თანამშრომლობას.

გიგა კობალაძე: „დღეს მაყურებელს საშუალება აქვს მოისმინოს ერთგვარი პრემიერა, კომპოზიციები, რომლებიც ამ ინტერპრეტაციით ჯერ არსად გაჟღერებულა“

- რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ჩვენი ბოლო ერთობლივი კონცერტი. გვაქვს ახალი იდეები, რომელსაც აუცილებლად განვახორციელებთ უახლოვეს მომავალში.

ჯაზტრიომ გია ყანჩელის თავისი პროგრამა შემოგვთავაზა. ნატო მეტონიძესთან ერთად კი რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა, რომელიც მომღერლის ძველი პროექტიდან იქნა გადმოტანილი, - „კინოსა და თეატრის მუსიკა“. ეს არის: „ლირი“, „მიმინო“, „ყვითელი ფოთლები“ და „ხანუმა“.

თამარ მაყაშვილი:

- ძალიან მომეწონა ყანჩელის ასეთი ინტეპრეტაცია, საოცრად დატვირთული, ჰარმონიული მელოდია და ახალი ხედვაა კომპოზიტორის მუსიკის. სიამოვნებით ვიქონიებდი ჩანაწერს და სახლში საქმის კეთების დროს მოვუსმენდი. ძალიან მაგარია!

P.S. პროექტის პარტნიორი გახლდათ ქალაქ თბილისის მერია. საინფორმაციო მხარდაჭერა: ტელეკომპანია „რუსთავი 2“, რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა+“, „Myvideo.ge“, გაზეთი „პრაიმტაიმი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თინათინ ზურაბიშვილი: „გაყალბება შეიძლება – არა, მაგრამ არასანდო მონაცემების მიღება ხდება“

ნინო ცაბოლოვი

სოციოლოგიური გამოკითხვის თემა ერთ-ერთია, რომლის ირგვლივაც საქართველოში ხშირად კამათობენ. ზოგი მას მოსახლეობის აზრად აღიქვამს, ზოგისთვის კი ასეთი შეფასება გადაჭარბებულია. ამ საკითხზე სკანდალი ბევრი იყო. მათ შორის, ერთ-ერთი იაგო კაჭკაჭიშვილს უკავშირდება, რომელმაც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს ოპოზიციას კვლევა ჩაუტარა. მაშინ კაჭკაჭიშვილმა ინტერვიუ მისცა „პრაიმტაიმს“ და ჟურნალისტს უთხრა: არ დაწეროთ, მაგრამ ჩვენს კვლევებშიც პირველ ადგილს გიგი უგულავა იკავებსო. როცა ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა და ჩანაწერი დაიდო, ბატონი იაგო გაზეთსა და ჟურნალისტზე ისე გაბრაზდა, რომ დღემდე კომენტარზე უარს ამბობს.

ამიტომაც მის „გამოცდილებას“ ვერ გაგიზიარებთ.

როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები ერთმანეთის კვლევებს უნდობლობას უცხადებენ და სიყალბეში ადანაშაულებენ. ვერ თანხმდებიან ვერც NDI-სა და IRI-ს კვლევებთან დაკავშირებით.

რამდენად შეიძლება სოციოლოგიური კვლევების გაყალბება, როგორ შეიძლება მეთოდოლოგიით მანიპულირება და რა კონკრეტული მაგალითები არსებობს?

კვლევის მეთოდებზე „პრაიმტაიმს“ CRRC საქართველოს კვლევების დირექტორი თინათინ ზურაბიშვილი ესაუბრა.

– თეორიულად, როგორია გაყალბების მეთოდები?

– გაყალბების მეთოდზე მე არ მსმენია, მაგრამ გაყალბება შეიძლება... და ძალიან ხშირ შემთხვევაში, და რაც საქართველოში ხშირია, გაყალბება შეიძლება – არა, მაგრამ არასანდო მონაცემების მიღება ხდება, როდესაც ადამიანმა არ იცის, როგორ და რა გააკეთოს. მე არ ვიცი კონკრეტული შემთხვევა, რომ ვინმემ რამე გაყალბა, ამის მაგალითი არ მაქვს. საბედნიეროდ, ამის შესახებ არ მსმენია.

– მაგალითები რომ გვითხრათ...

– შეიძლება, არ იცოდე, როგორ გააკეთო შერჩევა, რომელიც მოგცემს წარმომადგენლობით შედეგებს. ანუ უმარტივესი მაგალითი – შესაძლოა, ჩაატარო გამოკითხვა გლდანში და თქვა, რომ ეს არის საქართველოს მოსახლეობის აზრი. არ არის ეს საქართველოს მოსახლეობის აზრი, თუმცა გაასაღო. არ ვიცი, ეს რამდენად შეიძლება იყოს გაყალბება, ეს შეიძლება უვიცობაც იყოს. თუმცა ეს არ იქნება სწორად ჩატარებული და არ იქნება წარმომადგენლობითი. მეორე მომენტია, შეიძლება ჩაატარო მთელ საქართველოში, შესაძლოა, ოჯახები სწორად, მეცნიერულად აარჩიო, მაგრამ ოჯახში შესაძლოა, გამოკითხო ის ადამიანი, ვინც კარს გაგიღებს. ასეც არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ მართლა მთელი საქართველო მოიცავი და ძალიან ბევრი რესურსი დახარჯე იმისთვის, რომ 2000, 3000, ან 5000 ოჯახში მისულიყავი, ეს არ მოგვცემს წარმომადგენლობით შედეგებს და არ ასახავს მოსახლეობის აზრს.

– შემთხვევითი შერჩევის პრინციპი რამდენად გამართლებულია?

– ეს არის ერთადერთი პრინციპი, რომელიც უნდა მუშაობდეს. უბრალოდ, რას ნიშნავს შერჩევითი შემთხვევის პრინციპი, ძალიან იშვიათად ესმის ხალხს, ვინც ამ სფეროს სპეციალისტია.

– ზოგადად, რამდენად მისაღებია, რომ კვლევის შედეგებზე საუბრისას ვთქვათ, რომ ეს არის მოსახლეობის აზრი?

– სატელეფონო გამოკითხვის შემთხვევაში, თუ ის სამეცნიერო პრინციპებზე დაყრდნობით ჩატარდა, კი. იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული, თუნდაც არასერიოზული შეცდომები იყო დაშვებული – არა. ტერმინი, რომ მე ჩავატარე სატელეფონო გამოკითხვა და ეს ასახავს მოსახლეობის აზრს, აზრსმოკლებულია. ისევე, როგორც ტერმინი – მე ჩავატარე მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვა და ეს ასახავს მოსახლეობის აზრს. ასევე, არ არის იმის გარანტია, რომ ის ასახავს მოსახლეობის აზრს.

– და რა შემთხვევაში, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ასახავს მოსახლეობის აზრს?

– იმ შემთხვევაში, თუ კვლევის ყველა ნაბიჯი შესრულდა პროფესიული სტანდარტების დაცვით, ყოველგვარი კომპრომისის გარეშე.

რა გზებით შემოჰქონდა ქიბარ ხალვაშს საქართველოში საავიაციო ნავთი?

მირიან ბოქოლიშვილი

მართალია, გოგი თოფაძე მას წარმატებულ ბიზნესმენად ახასიათებს, რომელმაც მოკლე დროში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ამ წარმატების მიღმაც არსებობს სერიოზული კითხვები და თუკი მაინცდამაინც სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, კარგი იქნება, თუ „რუსთავი 2“-ის საქმესთან ერთად ამ კითხვებსაც ერთხელ და სამუდამოდ გაეცემა პასუხი, მათ შორის საავიაციო ნავთის ბიზნესთან დაკავშირებულ საქმეს.

რა გზებით შემოჰქონდა ქიბარ ხალვაშს საქართველოში საავიაციო ნავთი და რამდენი მილიონი გადაირიცხა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან მასთან დაკავშირებულ ოფშორულ კომპანიაში?

მოკლედ, საქმე ეხება ხელშეკრულებას, რომელიც 2006 წლის 27 ივნისს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა იასონ ჩიხლაძემ (მეტსახელად „ვოლკი“) გააფორმა ვირჯინიის კუნძულებზე (ოფშორულ ზონაში) გაფორმებულ კომპანიასთან „AG Transport and Development“ 4 ათასი ტონა საავიაციო ნავთის თურქმენეთიდან მიწოდებაზე, საერთო ღირებულებით 2 მლნ 903 ათასი ამერიკული დოლარი.

კონტრაქტში მოწოდებული 1 ტონა საწვავის ფასად 725,7 ამერიკული დოლარი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც იმ დროისთვის საწვავის ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე 671,2 აშშ დოლარს შეადგენდა. არადა ამ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს უკვე ჰყავდა საწვავის მომწოდებელი კონტრაქტორი ფირმა შპს „ავიასაწვავსერვისი“, შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი ობიექტური საბაბი ახალ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმებისთვის. მით უფრო, რომ ამ პერიოდში შპს „ავიასაწვავსერვისს“ იგივე საწვავი, იმავე ქვეყნიდან – თურქმენეთიდან, 1 ტონა 675 ამერიკულ დოლარად შემოჰქონდა.

როგორც ამბობენ, ამ ოფშორულ კომპანიასთან კავშირი ჰქონდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობარს ქიბარ ხალვაშს. სხვათა შორის, ამ საქმეზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. გამოძიებაში დევს ხალვაშის დაცვის უფროსის, დავით ველიჯანაშვილის ჩვენებებიც, რომელიც პირადად იყო ჩართული საწვავის მოწოდების პროცედურებში. უცნობია, მისცა თუ არა თავად ქიბარ ხალვაშმა ჩვენება ამ საქმეზე და, ზოგადად, რა გაგრძელება მოჰყვა „საავიაციო ნავთის საქმეს“, გარდა იმისა, რომ ეს ეპიზოდი თავის დროზე ოქრუაშვილის ბრალის დასამძიმებლად გამოიყენეს.

დიდი ალბათობით, ხალვაშის წინააღმდეგ ჩვენება პროკურატურის თაროზე ახლაც ინახება, თუმცა, ასევე, დიდი ალბათობით, თავად ხალვაში მას შეკერილ საქმეს უწოდებს.

საავიაციო ნავთის საქმე არის ზღვაში წვეთი იმ საქმეებიდან, საიდანაც ქიბარ ხალვაშის კომპანიებმა ქვეყნის ბიუჯეტიდან სერიოზული სარგებელი ნახეს.

ამბობენ და თავის დროზე, გამოძიების მასალებშიც აისახა, რომ 2005 წლის იანვარში ოქრუაშვილი თავის მეგობარს, ქიბარ ხალვაშს შეუთანხმდა, რომ მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით დაეფუძნებინათ სამშენებლო პროფილის საწარმო, რომელთანაც იგი გააფორმებდა ექსკლუზიურ ხელშეკრულებებს თავდაცვის სამინისტროს ობიექტების მშენებლობითი სამუშაოების შესასრულებლად. გამოძიების იმჟამინდელი ვერსიით, ამ გარიგების ფარგლებში, ხალვაშის კომპანიამ 140 მლნ ლარის სამუშაოები შეასრულა.

ამ საქმეებზე ქიბარ ხალვაში დღეს არ საუბრობს, თუმცა ჯერ კიდევ 2008 წელს „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში ამ ყველაფერს ლეგენდა უწოდა.

„ვითომ ქიბარ ხალვაშს პროექტები უტენდეროდ ჰქონდა აღებული სახელმწიფოსგან. არადა, უტენდეროდ იმ კომპანიებს მისცეს, რომლებიც თვითონ ჩამოიყვანეს თურქეთიდან. სხვათა შორის, თურქებს აქედან არაფერი წაუღიათ, პირიქით, ორი ბაზა ააშენეს. ამ კომპანიის პარტნიორი 2006 წელს გავხდი. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მოხელეებმა ჩამოიყვანეს და დაკვეთა მისცეს თურქებს, ჩინოვნიკივით მარბენინებდნენ წინ და უკან. ამიტომ ადეიშვილს ვუთხარი, არ გამოვა მოტივაციის გარეშე ჩემი ასე სირბილი, ამ კომპანიებში მეც მივიღებ მონაწილეობას-მეთქი. დამთანხმდნენ და „ბილდინგკომპანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გავხდი.

ობიექტები ტენდერების გარეშე მთავრობის ინიციატივით მოგვცეს. ტენდერის ჩაუტარებლობის მიზეზად ის დასახელდა, რომ სენაკი, გორი და ციხე საიდუმლო ობიექტები იყო და ეს პროექტები საჯარო არ უნდა გამხდარიყო“, – აცხადებდა **ქიბარ ხალვაში.**

თავდაცვის ბიუჯეტიდან ოფშორულ კომპანიაში გადარიცხული მილიონები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ კვლევა

გიორგი ურუშაძე

აპირებს თუ არა ხალხი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას და ვის აძლევს ხმას

გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა თბილისის ყველა საარჩევნო უბანში.

გამოკითხულთა 5.2 პროცენტის აზრით, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა. გამოკითხულთა 1.95 პროცენტი მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს. გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი კი დაბნეულია, არ იცის ვინ იქნება მისი რჩეული და როგორც წესი, ყველა მათგანი ახალ პოლიტიკურ ძალას ელოდება. თუმცა, ერთი ნაწილის თქმით, შეიძლება მათი არჩევანი ისევ „ქართული ოცნება“ გახდეს, მეორე ნაწილის თქმით კი, „ნაცმოძრაობა“, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ გუნდს გადაახალისებენ. ამის მიუხედავად, ფაქტი სახეზეა, მოსახლეობა ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას ელოდება და ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დაბნეულია.

რაც შეეხება კითხვას, აპირებენ თუ არა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება. გამოკითხულთა 27.3 პროცენტი აპირებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, 11.05 % - არა, ხოლო გამოკითხულთა დანარჩენმა ნაწილმა ჯერ არ იცის, წავა თუ არა არჩევნებზე.

მესამე კითხვაზე - სურთ თუ არა „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანება, პასუხები შემდეგნაირია. მოსახლეობის 22.75 %-მა იცის რა არის „ევრაზიული კავშირი“ და არ სურს გაწევრიანება. მოსახლეობის 13 %-ს სურს ორგანიზაციაში გაწევრიანება, თუმცა არ იცის რა არის, ან სულაც, ევროკავშირი ჰგონია. 4.55%-ს გააზრებული აქვს ორგანიზაციის შინაარსი და მასში გაწევრიანებაც უნდა. ხოლო, მოსახლეობის 1.95 პროცენტმა არც იცის რაიმე „ევრაზიული კავშირის“ შესახებ და არც სურს მასში გაწევრიანება.

აი, ასეთია სატელეფონო გამოკითხვის შედეგები. თუმცა, სულ ეს არაა. „პრაიმტაიმი“ ქუჩაში შემდეგი კითხვებით გავიდა - ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილოებას და თუ კი, ვის მისცემდით ხმას?

პასუხები, შემდეგნაირად ნაწილდება. გამოკითხულთა 7 პროცენტი არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რადგან იმედები გაცრუებული აქვს, ან ჯერჯერობით არ ჰყავს რჩეული პოლიტიკური პარტია. გამოკითხულთა 3.85 აპირებს წასვლას, ხოლო გამოკითხულთა 1.4%-მა ჯერ არ იცის, წავა თუ არა არჩევნებზე.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების რეიტინგს, ქუჩის გამოკითხვებიდან, ის შემდეგნაირად გამოიყურება. გამოკითხულთა 1.75 % „ქართულ ოცნებას“, ხოლო 0.35 % „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევს ხმას. როგორც სატელეფონო, ისე ქუჩის გამოკითხვაში, არც ერთი სხვა პარტია არ ყოფილა დასახელებული.

სულ, სატელეფონო გამოკითხვის შედეგად 65, ხოლო ქუჩის გამოკითხვის შედეგად 35 ადამიანი გამოიკითხა. ჯამში, 100 ადამიანი. თქვენ გამოკითხვის ორივე ფორმის შედეგები ცალ-ცალკე იხილეთ. ახლა კი, დავაჯამოთ.

საერთო შედეგები ასეთია. კითხვაზე ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, წახვიდოდით თუ არა არჩევნებზე, გამოკითხულთა 53 % გვპასუხობს, რომ წავიდოდა, 37 % - არ წავიდოდა, ხოლო 10 %-ს ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, რას იზამს.

კითზვაზე: ვის მისცემთ ხმას საპარლამენტო არჩევნებში, გამოკითხულთა 12 % -„ქართულ ოცნებას“, 4 % კი „ნაცმოძრაობას“ ირჩევს, ხოლო დანარჩენ ნაწილს ჯერ არ აქვს გადაწყეტილი. მათი უმრავლესობა ახალ პოლიტიკურ ძალას ელოდება.

„ამას სტალინის დროსაც კუდიანებზე ნადირობა ერქვა“

ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები არ იცვლება.

ვალერი გელბახიანი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების დაწყებას აფასებს.

„თავად ვარ გვარამიებისა და ბოკერიების შეთითხნილი საქმის მსხვერპლი. მეტი სიფრთხილეა საჭირო. თუ ისევ იმეორებენ იმას, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა, მაშინ განსხვავება არაფერი არ არის. მაგრამ თუ არსებობს რაიმე მტკიცებულება და ასეთი ქმედების იურიდიული ნიშნები იკვეთება, მაშინ გამოძიების საფუძველი ყოფილა. მხოლოდ ვერსია, რომ ვიღაცამ სადღაც რაღაც გაავრცელა და ეს გახდეს გამოძიების დაწყების საფუძველი, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, დამაჯერებლად არ ჟღერს. ის რომ, რომელიღაც საიტზე რაღაც გავრცელდა, შეიძლება იყოს ინფორმაცია და არა მტკიცებულება. ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ბრალდების საფუძველი, ის შეიძლება იყოს დანაშაულის დაწყების საფუძველი, მაგრამ ბრალდებისთვის საჭიროა მამხილებელი მტკიცებულებები. არ ვიცი, რამდენად მოეპოვებათ ასეთი მტკიცებულებები, თუმცა სახელმწიფო ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ აქვს ოფიციალური ინფორმაციები, არაოფიციალურ, კონფიდენციალურ ინფორმაციებსაც ფლობს, რომლებიც შესაძლოა, ფაქტზე მიუთითებენ, მაგრამ რამდენად გამოდგება მტკიცებულებად, ამას პროცედურული საშუალებები გვიჩვენებს.

ბოკერიას დამცველი არასდროს ვიქნები, იმიტომ, რომ ერთ-ერთი არქიტექტორი იმ ბოროტებისა, რაც ხდებოდა, ბოკერია იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ არ არსებობს ბრალდების საფუძველი, ბუნებრივია, მექნება ობიექტური პოზიცია. ამას ყველა პერიოდში და სტალინის დროსაც, კუდიანებზე ნადირობა ერქვა. თუ კუდი გქონდა, ნადირობდნენ. ანუ თუ იყავი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და შეგეძლო, პროცესებზე გავლენა მოგეხდინა, ამ მეთოდით გდევნიდნენ. ეს მეთოდი არ დაძველდა. რაც მე გამიკეთეს „ნაციონალებმა“, ახლა „ნაციონალებს „უკეთებენ“, მეთოდი იგივეა“, – აცხადებს გელბახიანი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიას 22 ოქტომბერს, სტამბულის ათა-თურქის აეროპორტში ესაუბრება. სტენოგრამაში სააკაშვილისა და ბოკერიას მიერ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მომზადების გეგმაზეა საუბარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვოისის“ მონაწილე „ბინგო“, რომელიც ანრი ჯოხაძემ გადაარჩინა

„ისეთი რქიანიც არ ვარ, ჩემი ცოლი სამზარეულოში უნდა იყოსო, რომ გაიძახიან“

„მაგ ქალზე ბნედა მემართება, ისე მომწონს, ის რომ მჯდარიყო ჟიურიში, დაუფიქრებლად წავიდოდი მასთან“

„აზრზე რომ მოვედი, მაგრად დავიძაბე, ვიფიქრე, მორჩა, სახლში გამიშვეს-მეთქი. ბოლო წამზე ანრი განათდა და გამინათდა მეც სახე“

„რომ გითხრა, მესიამოვნებოდა ჩემი ცოლი რომელიმე სასიყვარულო სცენაში მენახა-მეთქი, მოგატყუებ“

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

სიმღერა წლების წინ დაიწყო. მერე, როგორც ხდება ხოლმე, მეგობართან, ოთო ბერიშვილთან ერთად იმღერა სუფრასთან. მათი ხმები ისე მოუხდა ერთმანეთს, გადაწყვიტეს თავიანთი სიმღერები შეექმნათ და დუეტად ჩამოყალიბებულიყვნენ. დაიწყეს წერა. „და ვსო“ „გუშინ გნახე“, „წამი“, ამ სიმღერებს, ინტერნეტმომხმარებელი კარგად იცნობს. მალე თინეიჯერი გოგონების კუმირებიც გახდნენ. მაშინ ირაკლი ილურიძეს მეტსახელით იცნობდნენ, „ბინგო“. ოთო და „ბინგო“ ხშირად გამოდიოდნენ საქველმოქმედო კონცერტებზე, პოეზიის საღამოებზე. ოთომ სოლო კარიერასაც მოჰკიდა ხელი. გახსოვთ, ალბათ, „საქართველოს ვარსკვლავის“ რომანტიკული გმირი. ასე წარადგენდნენ მაშინ მომღერალს ფილარმონიის სცენაზე. წლების შემდეგ ირაკლიმაც დაგაწყვიტა სოლო კარიერისთვის მოეკიდა ხელი და „ვოისში“ სცადა ბედი. უკვე ყველანაირი იმედი გადაწურული იყო, რომ „ბინგო“ ამ პროექტში მონაწილეობას განაგრძობდა. ზუსტად ბოლო წამზე შემოუტრიალდა მას ანრი ჯოხაძე.

ირაკლი ილურიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

- ირაკლი, როდის დაიწყე სიმღერა?

- ხუთი წლიდან ვმღერი... მე და ოთომ ერთმანეთი საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით. პირველად, ერთად რომ ვიმღერეთ, ისეთი გრძნობა გაგვიჩნდა, რომ დიდი ხანია ერთად ვმღეროდით. თავიდან სხვის სიმღერებს ვასრულებდით. ისე მოუხდა ჩვენი ხმები ერთმანეთს, გადავწყვიტეთ რაიმე საინტერესო გაგვეკეთებინა. პირველი სიმღერა რომელიც დავწერეთ იყო, - „და ვსო“. დაახლოებით შვიდი წლის წინ მეგობრის ქორწილში ვიმღერეთ მე და ოთომ, ახალ წყვილს მივუძღვენით სიმღერა. ეს ვიდეო „იუთუბიზე“ დადეს. კარგი გამოხმაურება ჰქონდა, ათი ათასობით ნახვა. დაიწყო შემოთავაზებები. გამოვდიოდით საქველმოქმედო კონცერტებზე, პოეზიის საღამოებზე.

- გყავდათ თქვენი ფანკლუბი, მე მახსოვს გოგონები, რომლებიც თქვენ გამო დადიოდნენ პოეზიის საღამოებზე...

- ჰო (იღიმება), მერე კიდევ დავწერეთ სიმღერები და ცნობადობაც გაიზარდა.

- თქვენ სიმღერებს სხვებიც მღეროდნენ.

- ჰო, გვეუბნებოდნენ, გულიან სიმღერებს წერთო.

- ძირითადად დაკარგულ სიყვარულს მისტიროდით სიმღერებში. ამ დროს არც ერთს არ გყავდათ ცოლი...

- ჰო, ამ სიმღერებით გაგვიცნო ხალხმა, მაგრამ მერე იყო სიმღერა „თბილისზეც“...

- ცოლები ფანი გოგონებიდან ამოარჩიეთ?

- არა. მარიამი ქუთაისელია, სილამაზის კონკურსზე იყო ჩამოსული თბილისში, მონაწილეობდა. მეგობრის ოჯახში ვნახე პირველად. მისი ნათესავი იყო. თავიდან თავს ვიკავებდი, რა ივლის ქუთაისში-მეთქი, ვფიქრობდი (იცინის), მაგრამ ისე მომეწონა... 15 წლის იყო რომ გავიცანი. 4 წელი ვიყავით შეყვარებულები.

- მალე მოიგე მისი გული?

- ბოლომდე მგონი ახლაც არ მაქვს მოგებული (იცინის), სხვანაირია მარიამი, არავის არ ჰგავს, მისი გულის მოგება რთულია ცოტა.

- მანამდე გიცნობდა, როგორც მომღერალს?

- ინტერნეტიდან მიცნობდა, მაგრამ დიდი სიმპათიები ჩემ მიმართ არ ჰქონია.

- რას საქმიანობს?

- მსახიობობდა, მოდელობდა, ახლა ბავშვს უვლის. გვყავს 2 წლის ნიაკო ილურიძე.

- რომ გაყოლოდა რემელიმე ამ სფეროს, მოდელობას, მსახიობობას, შენთვის მისაღები იქნებოდა?

- რატომაც არა. მოდელობა საქართველოში უკვე აღარ ტეხავს. სხვა ქვეყნის პოდიუმზე კი დადიან ნახევრადშიშველი გოგოები, მაგრამ ჩვენთან ეგ ტენდენცია არ არის, საბედნიეროდ. მსახიობობის რა მოგახსენოთ, რომ გითხრა მესიამოვნებოდა ჩემი ცოლი რომელიმე სასიყვარულო სცენაში მენახა-მეთქი, მოგატყუებ. თუმცა, სულ არ მინდა ჩემი მეუღლე სახლში იჯდეს. ისეთი რქიანიც არ ვარ, ჩემი ცოლი სამზარეულოში უნდა იყოსო, რომ გაიძახიან. პირიქით, ხელსაც შევუწყობ რეალიზებული რომ იყოს. უბრალოდ, ჯერ პატარაა იაკო, არ ცილდება დედას. მალე მივიყვანთ ბაღში და მარიამიც დაიწყებს მუშაობას.

- ირაკლი, უამრავი მუსიკალური კონკურსი ჩატარდა საქართველოში, სად იყავი აქამდე?

- თვალყურს ვადევნებდი ყველა მუსიკალურ კონკურსს, რაც აქამდე ყოფილა საქართველოში. ბევრი არ მომწონდა. მომეწონა „ვოისი“, მაგრამ თავიდან არ ვიყავი მზად გამოსასვლელად. წელს მეგობრებმაც შემაგულიანეს და გავბედე. ჩემმა კონცერტებმაც გარკვეული გამოცდილება შემძინა, მასწავლა სცენაზე დგომა, მაყურებელთან ურთიერთობა.

- ქართული სიმღერა რატომ არ იმღერე ბრმა ქასთინგზე?

- არჩევანი მქონდა, შემეძლო მემღერა ქართულიც, მაგრამ მაინც უცხოური გადავწყვიტე. მგონია, რომ ეს პროექტი მაინც უცხოურ სიმღერებზეა გათვლილი.

- ვიცი, რომ რუსა მორჩილაძეს უყვარს ქართული სიმღერები.

- კი, რუსას უყვარს და ზოგადად

ძალიან ძლიერი კომპოზიტორი და მუსიკოსია. მაგ ქალზე ბნედა მემართება, ისე მომწონს, ის რომ მჯდარიყო ჟიურიში, დაუფიქრებლად წავიდოდი მასთან.

- ბრმა ქასთინგზე, ბოლო წამს შემოგიტრიალდა ანრი ჯოხაძე, არ ნერვიულობდი, ამან სიმღერაში ხელი არ შეგიშალა?

- სანამ სცენაზე გავიდოდი, ძალიან ვნერვიულობდი. გავედი თუ არა სცენაზე, დავხუჭე თვალები და სადღაც გაქრა ეს ნერვიულობა. მვღეროდი ჩემთვის, მაყურებლისთვის, საერთოდ დამავიწყდა, რომ კონკურსში ვმონაწილეობდი და წინ შეფასება მელოდა. ბოლომდე ვიმღერე და მერე მივხვდი, რომ არავინ არ იყო შემოტრიალებული... აზრზე რომ მოვედი, მაგრად დავიძაბე, ვიფიქრე, მორჩა, სახლში გამიშვეს-მეთქი. ბოლო წამზე ანრი განათდა და გამინათდა მეც სახე.

- წინ გაქვს რინგი, როგორ გგონია დაგტოვებს ანრი გუნდში?

- ანრის მართლა ძალიან მაგარი გუნდი ჰყავს. დახვეწილი, გამოცდილი, კარგი მომღერლებით დაკომპლექტებული. არ ვიცი რა მოხდება, ვის დავუპირისპირდები. ვნახოთ.

- შენი სიმღერებით არ გაგვანებივრებ პროექტში?

- არ ვიცი, მგონი არც იციან, სიმღერებს რომ ვწერ. მერე, ალბათ, მოისმენენ.

- ახალ სიმღერაზე ხომ არ მუშაობ?

- თითქმის დავამთავრე მუშაობა, ინსტრუმენტალი ჩაწერილი მაქვს, ხმები დამრჩა ჩასაწერი. სიმღერას ჰქვია „ვერ გავიგე მთავარი“. ლექსი აჩიკო ჭანტურიძის არის, მელიდია - ჩემი. კვლავ მე და ოთო ვმღერით დუეტში. სულ სხვაა, ნირვანაში გაჰყავხარ, დრაივი მოდის. მე მომწონს, იმედია, ჩვენ მსმენელსაც მოეწონება.

- ვინ არის შენი მთავარი კრიტიკოსი?

- დედა და დეიდა. ორივე მღერის. როცა დედაჩემი ჩემს კონცერტს ესწრება, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ პირველ რიგში მას ვუმტკიცებ, რომ რაღაც შემიძლია. ჩემთვის ჟიურის მთავარი წევრი დედაჩემია. რეალურად დედაჩემთან არ ვმღერი ხოლმე. არც იცის, მით უმეტეს უცხოურ სიმღერებს რომ ვმღერი.

- ბრმა ქასთინგის შემდეგ რა გითხრა, კმაყოფილი იყო?

- შოკში იყო, სულ არ ელოდებოდა ასეთ შესრულებას. მგონი კიდევ არ აქვს იმედი, რომ მომავალშიც რამეს ვიზამ (იცინის).

„როცა დედაჩემი ჩემს კონცერტს ესწრება, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ პირველ რიგში მას ვუმტკიცებ, რომ რაღაც შემიძლია. ჩემთვის ჟიურის მთავარი წევრი დედაჩემია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაშიფრული კორუ
თავდაცვის ს

შავ ბაზარზე გაყიდული ამერიკული წამლები

EXCLUSIVE

ვინ მიითვისა ავღანეთში დაჭრილი სამხ

ირაკლი მამალაძე

ოფიცერი, რომელიც 1-ელ ოქტომბერს ამერიკაში საქართველოს საელჩოში გენერალური შტაბის უფროსთან მომხდარი ინციდენტის მთავარი მოქმედი პირია, ალაპარაკდა.

მანამდე კი პრეზიდენტთან დახურული შეხვედრის შემდეგ გენერალ ვახტანგ კაპანაძის ფეხებთან დალეწილი ჭიქის ისტორიის მიღმა რთულად იკითხებოდა მიზეზები. სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობა, ერთი შეხედვით, ერიდებოდა კიდეც ამ თემის გაშლას.

გასულ ნომერში „პრაიმტაიმმა“ უკვე შესთავაზა მკითხველს კულუარული ინფორმაციები ამ დაპირისპირების შესაძლო მიზეზების შესახებ. თუმცა ამჯერად ყველაფერს პირველი პირისგან შევიტყობთ.

კაპიტანი ვახტანგ დოლიძე ამჟამადაც ამერიკაში იმყოფება და მკურნალობის მორიგ კურსს გადის. ის 2011 წელს ავღანეთში ყოფნის დროს ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ორივე ფეხი და მარჯვენა ხელი დაკარგა. დღეს ის ჩვენთან საუბრისას შიფრავს იმ კორუფციულ სქემებს, რომლის საშუალებითაც, მისი მტკიცებით, გენერალური შტაბის მაღალჩინოსნებმა დაჭრილი სამხედროების კუთვნილი მილიონ-ნახევარი დოლარი მიითვისეს:

– ნაღმზე აფეთქებიდან ერთი თვის შემდეგ მოვედი გონს გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში, რომელიც ამერიკელების პატრონაჟის ქვეშ იყო. როდესაც საქართველოში დავბრუნდი, წამლების 6 თვის მარაგი გამომატანეს. მათ შორის, ბუნებრივია, მორფის შემცველი პრეპარატებიც იყო. თვითმფრინავიდან საკაცით პირდაპირ სასწრაფო დახმარების მანქანაში შემიყვანეს და გორის ჰოსპიტალში ჩამიყვანეს. სწორედ იქ ჩამომართვეს ეს წამლები. მათ შორის იყო „ლირიკაც“. მერე მე მიწევდა მათი შეძენა.

– რა ღირებულების იყო ეს წამლები?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, თუმცა ასე მარტო მე არ მომქცევიან, სხვა დაჭრილებსაც იგივე გაუკეთეს. მერე, ალბათ, შავ ბაზარზე გაყიდეს. წარმოიდგინეთ, „ლირიკის“ ერთი აბი 9 ლარი ღირს. დღეში ორი აბი უნდა მიმეღო. ახლა თავად გათვალეთ, მე რომ ამ წამლის 6 თვის მარაგს ჩამომართმევდნენ, მარტო ჩემი სამკურნალო პრეპარატების ხარჯზე რა თანხას მოიგებდნენ. ჩვენ წამლები წაგვართვეს და არიან კიდურებწართმეული ბიჭები, რომლებსაც მერე „ნიმესილით“ მკურნალობდნენ.

– ასეთი სახის პრეპარატები რატომ გქონდათ დანიშნული?

– დღესაც მაქვს ფანტომური ტკივილები. წარმოიდგინეთ, ფეხი არ მაქვს და მეჩვენება, რომ მტკივა. ხელი არ მაქვს – და მეჩვენება, რომ ხელის გული მეფხანება... კიდურების არქონა ნერვულ სისტემას არ აქვს დავიწყებული.

– წამლების ჩამორთმევის ფაქტს სამინისტროში აღიარებენ, თუმცა კულუარებში აცხადებენ, რომ ეს ფაქტი ჰოსპიტალის მაშინდელი ხელმძღვანელის, მუხაძის, ე.წ. ქილერას პასუხისმგებლობის სფეროა...

– მაშინ მუხაძე არ იყო დირექტორი...

– ვიცით, რომ პრეტენზიები გაქვთ გენერალ კაპანაძის ქალიშვილთან, ქალბატონ ანა კაპანაძესთან...

– გენერალმა თავისი 22 წლის გოგო დანიშნა დაჭრილი სამხედროების დახმარების პროგრამაში. მაშინ, მგონი, ჯერ არ იყო შექმნილი ვეტერანთა რეაბილიტაციის ცენტრი... რაც შეეხება ჩემს პრეტენზიებს, ეს მარტო მე კი არა, ყველა დაჭრილს ეხება: ჩვენს ნაცვლად მოაწერეს ხელი და ჩვენი კუთვნილი ფული აიღეს...

– რომელ კუთვნილ ფულზე საუბრობთ?

– როდესაც ჩვენ სამკურნალოდ მივდიოდით, თავდაცვის სამინისტრო გვიწერდა სამივლინებო ხარჯებს. დღეში 180 დოლარს, რითაც უნდა ანაზღაურებულიყო სასტუმრო, და ამას დამატებული კვების 42 დოლარი. გენერლის გოგომაც გვითხრა, რომ ისიც ასე იღებდა ხოლმე თანხას. ამერიკაში 2012 წლის ივლისში ჩამოვედი. ჩემს მდგომარეობაში თან უნდა იყოლიო გამყოლი პირი და მის ხარჯებსაც სამინისტრო იღებს. მეც მახლდა მეგობარი. სულ 6 სამხედრო ვიყავით. სხვაგან იყო წასული ერთგან 7, მეორეგან – 8 სამხედრო. წარმოგიდგენიათ, დღეში რამხელა ფულს ითვისებდნენ?

– ამ თანხას თქვენ არ გაძლევდნენ?

– არა. ჯიბით დაჰქონდათ ჩვენი ფული. იმიზეზებდნენ, ბარათების დამზადება ვერ მოესწროო, არადა, როცა ეს ბარათები დაგვირიგეს, მას დამზადების თარიღად 26 მაისი ეწერა.

– ვის დაჰქონდა ჯიბით ეს ფული?

– სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენელს, რომელიც გამო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ფიციული სქემები სამინისტროში

ვახტანგ დოლიძე

ვახტანგ კაპანაძე

კიდურეებ-დაკარგული ოფიცრების პროთეზირებიდან მიღებული „ატკატები“...

...ელდროების კუთვნილი მილიონ-ნახევარი?

გვაყოლეს. მეტიც, ორი კვირა ისე გვაცხოვრეს რაღაც სოროში, რომ კლინიკაშიც არ მივუყვანივართ. გვკვებავდნენ მაღაზიიდან მოტანილი ძეხვეულით. მერე როგორც გაირკვა, ამას ჩვენი ფულით ყიდულობდნენ. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოჩნდა ნორმალური, ადაპტირებული სასტუმრო, სადაც თითქმის ორი წელი ვიყავით. წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში, რამდენი თანხა მოტეხეს ჩვენი არსებობის ხარჯზე... ჩვენი გათვლით ეს თანხა მილიონ-ნახევარს აღემატება... როდესაც თავდაცვის მინისტრად ირაკლი ალასანია მოვიდა, შევხვდით და ამ თემებზე ვესაუბრეთ. აბრალებდნენ ძველ ხელისუფლებას. ახალაიას დროს არსებობდა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ამერიკულ მხარეს ჩვენი მკურნალობა და პროთეზირება ევალებოდა. ქართულ მხარეს – კვება და საცხოვრებელი პირობები. თუმცა, ის, რაც ახალაიას დროს დაიწყო, მერეც გაგრძელდა... როგორც ჩანს, წინა ხელისუფლებამ მაინც მოახერხა და ახლებიც გასვარა. მაგალითად, გენერალ კაპანაძეს ამ სფეროში გოგო დაანიშვნინეს... სხვათა შორის, ალასანიას მინისტრობის დროს ბიძინა ივანიშვილმა ჩვენი პროთეზირებისთვის 3 მილიონი გამოყო. თუმცა, ეს ფულიც მშვენივრად გადაინანილეს... პროთეზები, რაც 50 ათასი ღირდა, 80 ათასად შეიძინეს. ჩვეულებრივი „ატკატებით“ მუშაობდნენ ისევ. მე და ალეკო ტუღუშმა ამის გამო უარი ვთქვით პროთეზირებაზე, რომ ჩვენს ხარჯზე ფული არ ეკეთებინათ. გენერლის გოგო და სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი მეუბნებოდნენ, თქვენი ფულიდან 15 ათასს დაგიბრუნებთო... საბოლოოდ, ჩვენი კუთვნილი ფულის ერთი ნაწილი დააბრუნეს, მაგრამ დანიშნულებად სოციალური დახმარება დაარქვეს. დაიანგარიშეს ამერიკაში ყოფნის დროის მიხედვით. შესაბამისად, ზოგს მეტი შეხვდა, ზოგს – ნაკლები... თუ სოციალური დახმარება იყო, ასეთი დიფერენცირება რატომ გააკეთეს? ანუ ისევ შეცდომა დაუშვეს. ჩემს შემთხვევაში, საერთოდ, სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – როდესაც ვიღაცამ ჩემს ნაცვლად ხელი მოაწერა თავის დროზე, რომ თითქოს მე ეს თანხა აღებული მქონდა, მე იმ დროს ხელი საერთოდაც არ მქონდა.

– პირადად თქვენ რამდენი გადაგიხადეს?

– მგონი, 30 ათასი დოლარი...

– ფიქრობთ, რომ ეს არ არის სრული თანხა, რაც თქვენთვის უნდა დაეფარათ?

– მოდი, ეს გამოძიებამ დაადგინოს... იყო ქრთამის შეთავაზებაც. ერთხელ გვითხრეს 6-6 ათასს გადაგიხდით და ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დავიწყოთო. უარი ვთქვით, რადგან ბევრი უკვე დაბრუნებული იყო საქართველოში. ამ შემთხვევაში ეს თანხა მათთვისაც უნდა მიეცათ. ამის გაკეთება კი არ უნდოდათ.

„ფეხი არ მაქვს და მეჩვენება, რომ მტკივა. ხელი არ მაქვს - და მეჩვენება, რომ ხელის გული მეფხანება“

– მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენ ბინაც მოგცეს, ერთჯერადი დახმარებაც, საკუთარი სახლის ადაპტირების თანხაც გამოგიყვეს, რითაც თქვენ ქალაქგარეთ სახლი გაარემონტეთ...

– მე ოფიცერი ვარ და კონტრაქტში ისედაც მეწერა ბინით უზრუნველყოფა. უბრალოდ, ავღანეთში ტრავმების მიღებამ ეს პროცესი დააჩქარა. რაც შეეხება სახლის ადაპტირებას, ეს მართალია. მე ავლაბარში იტალიურ ეზოში ვცხოვრობ და იქ ლიფტი ვერ გაკეთდა, ვინაიდან პირველ სართულზე ავადმყოფი ბავშვი ცხოვრობს და მისი ოჯახი იყო წინააღმდეგი. ამიტომაც ამ 45 ათასი ლარით გამარჯვებაში მაქვს კერძო სახლი და მისი ადაპტირება მოვახერხე...

– თქვენ ვიდეო გადაგიღიათ, თბილისში სახლში როგორ აჰყავხართ კიბეზე თქვენს ძმას ზურგით და ამ ვიდეოს საფუძველზე აპირებთ ამერიკაში თავშესაფრის მოთხოვნას. მართალია ეს?

– თავშესაფარი ჯერ არ მომითხოვია. აქ ჩემი ხარჯებით ვცხოვრობ...

– მივლინებაში აღარ გითვლით იქ ყოფნას სამინისტრო?

– არა, ხელფასს ვიღებ, რომელსაც სააკაშვილის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე 2017 წლამდე ვერ შემინყვეტენ.

– ანუ დღემდე გაფორმებული ხართ იმ პოზიციაზე, სადაც ავღანეთში წასვლამდე მუშაობდით?

– დიახ. ეს გადაწყვეტილება ავღანეთში მონაწილე სამხედროების დასახმარებლად თავის დროზე სააკაშვილმა მიიღო. სხვათა შორის, 1-ლი ოქტომბრის ინციდენტის შემდეგ უმსჯელიათ და სამსახურში „ულირსი საქციელის გამო“ ჩემთვის საყვედური გამოუცხადებიათ.

– თქვენი აზრით, რატომ არ იძიებენ ამ საქმეებს?

– რატომ გამოიძიებენ ამ საქმეს? ანა კაპანაძეს მამა ჰყავს გენერალური შტაბის უფროსი. ქალბატონ მედეას, რომელიც სამედიცინო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს – ირაკლი ალასანია ჰყავს. მის დროს არის დანიშნული. მათი მამები ჟიული შარტავასთან ერთად დახვრიტეს. ამ ქალბატონის ხელმოწერებია გაცემულ თანხებზე. მერე თავს იმართლებდა, მე არ ვიცოდი, რას ვაწერდი ხელსო...

– კონკრეტულად 1-ლი ოქტომბერს როგორ განვითარდა კონფლიქტი?

– მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ პრეზიდენტი მოდიოდა საელჩოში. სულ არ ვიცოდი, რომ იქ თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსიც იქნებოდნენ. ამ შეხვედრაზე ონლაინში დავრეგისტრირდი. კამერების მიღმა შეხვედრაზეც პრეზიდენტთან იმაზე ვისაუბრე, რაზეც თქვენ გესაუბრეთ, იმის გარდა, რომ გენერალური შტაბის უფროსის ოჯახს არ შევხებივარ. ამ შეხვედრიდან რომ გამოვედი, მითხრეს, მინისტრს უნდა ნახვაო. დაახლოებით ერთი თვის წინ იყო ის ჩამოსული და ხმა მივაწვდინე, რომ შეხვედრა მინდოდა. გამომიგზავნა კაცი, ვისთანაც მე არ მინდოდა საუბარი. ახლა კი მე არ შევხვდი. თვითონ მოვიდა. ამასობაში მოვიდა გენშტაბის უფროსიც. ეგონა, რომ პრეზიდენტთან მის ოჯახზე ვისაუბრებდი. მერე მითხრა, იცი, რომ აქ უკანონოდ ხარო? მე ვუთხარი, არ მაინტერესებს-მეთქი, თუ გინდა, მომიხსენი ხელფასი, მაგრამ 2017 წლამდე ამის შანსი არ გაქვს-მეთქი. მერე მინისტრმა მკითხა, მარტო ხარო? ვუთხარი, ალეკო ტუღუშთან ერთად ვარ-მეთქი. სად არისო? თქვენ არ იცით? სად არის და გარაჟში-მეთქი. მისი იქ ყოფნა თავისი არჩევანიაო, – მითხრა გენერალმა და ეს იმ დროს, როცა კარგად იცის, რომ ტუღუშის სახლთან დაკავშირებული განცხადების გამო მისი მოხდილი ბოდიშების მოწმე ვარ. ვეღარ მოვითმინე და...

– ჭიქა ესროლეთ?

– თავი ძალიან შევიკავე... ფეხებში დავახეთქე ჭიქა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რის გამო იცდიდა სასჯე

my View
ნინო მჭედლიშვილი

„ჩემი სტატუსი არც ბოღმით არის სავსე და არც რაიმე ისეთით, მაგრამ ჩემი გულისტკივილი რომ არ ვთქვა, არ შეიძლება. ყველა იმ მომღერალს გაუმარჯოს, რომელიც „ოცნების“ მხარეზე იყო და დღემდე „ოცნებას“ უჭერს მხარს, მაგრამ ყველა იმ მომღერალს რა ვუთხარი, სააკაშვილის ფანები რომ იყვნენ და ახლა „ოცნების“ მხარეზე არიან. თქვენ მომღერლები კი არა, ტრ...ის მიმცემები ხართ. ხან იქით ხართ, ხან აქეთ. დღეს რომ ნათელაშვილზე ღადაობთ, ის რომ მივიდეს, იმასაც ტრ...ში შეუძვრებით. გული მწყდება იმაზე, რომ ბევრი ნიჭიერი მომღერალი არის დაბლოკილი.

მე ჩემს ცოლთან ერთად ათენში ვიყავი და ვერც ვიქნებოდით თბილისობის კონცერტზე, მაგრამ რა დააშვა ოთო ნემსაძემ, სალომე ბაკურაძემ ან ბევრმა სხვამ.

ნიაზ დიასამიძე, „კრუტოი ტიპი“ ხომ ამღერეთ, „რუსთავი 2“-ის მხარდაჭერას რომ ითხოვდა... მაგ ფარჩაკმა „იმედზე“ რატომ არ ამოიღო ხმა? თუ „იმედი“, გვარამიას თქმის არ იყოს, მართლა გადატრიალებას ახდენდა?

მეცოდებით, თქვე ტრ...ის მიმცემებო...“

ეს სტატუსი სოფო ბედიას ქმარს, მიშა მესხს ეკუთვნის. მიშა დიდი ხნის განმავლობაში ედგა ოპოზიციაში სააკაშვილის მთავრობას. დღეს ლტოლვილთა სამინისტროში ემიგრანტების დეპარტამენტს კურირებს.

- მიშა, რამ განაპირობა შენი ასეთი ემოციურობა?

- ჰო, დღეს ყველას ჩემი სტატუსი აქვს გაზიარებული ინტერნეტსივრცეში, ზოგი მაგინებს, ზოგი მლოცავს. ეგ არაფერი, მიჩვეული ვარ. ზოგადად, ემოციური კაცი ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა, ქართველი ხალხი. მაგრამ ვერც ქართველს და ვერც ოჯახის წევრს ვერ ავიტან ისეთს, რომელიც ხან ერთ მხარესაა და ხან - მეორე. პირველ რიგში ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ მე და ჩემი მეუღლე თბილისობის დღესასწაულზე ათენში ვიყავით, ვერანაირად ვერ მოხვდებოდა სოფო თბილისობის კონცერტზე. ამდენად, ეს ყველაფერი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მითქვამს.

- ეს კონცერტი ბევრად ადრე დაიგეგმა ვიდრე თქვენ წახვიდოდით. დაურეკეს სოფოს? შესთავაზეს ამ კონცერტში მონაწილეობა?

- არ ვიცი.

- როგორ?

- ალბათ, არ დაურეკავთ, იმიტომ რომ მეცოდინებოდა. მაგრამ, რომც დაერეკათ, ვერ დავთანხმდებოდით, რადგან ჩვენი წასვლა ათენში უფრო ადრე დაიგეგმა.

„არავისი არ მეშინია, თავის დროზე პრეზიდენტს ვუვარდებოდი რესტორანში“

- რა მიზეზით იყავით ათენში?

- კონცერტი ჰქონდა სოფოს, იქაურ ემიგრანტებს მოვეფერეთ... ჩემს სტატუსს დავუბრუნდები... ვაფასებ ნინა წკრიალაშვილს. ის უმღეროდა „ნაციონალურ მოძრაობას“, შეიძლება ქართველ ხალხსაც, მაგრამ ის არ უმღერის „ოცნებას“. ეს ყველაფერი რომ არ დაინახო არ შეიძლება.

- იქნებ არ შესთავაზეს გამოსვლა ამ კონცერტზე?

- არა, მე მახსოვს ნინას ინტერვიუები, მას თავისი პოზიცია აქვს დღემდე. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და ვიცი, რომ ის მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს შეიძლება სულაც არ იყოს ჩემთვის მისაღები, მაგრამ ყველას თავისი აზრი უნდა ჰქონდეს. ჩემთვის მიუღებელი იქნებოდა ის, ახლა „ოცნების“ დროშით რომ დარბოდეს ნინა და ამ პარტიის კონცერტებზე გამოდიოდეს. ეს ორპირები, დღეს ნათელაშვილზე რომ ღადაობენ, ხვალ შალვა რომ მოვიდეს ქვეყნის სათავეში, ბიძინას ლანძღვას დაიწყებენ და ნათელაშვილის ქება-დიდებას მოჰყვებიან.

- ფიქრობ, რომ მომღერლები პოლიტიზირებულები უნდა იყვნენ?

- ჩემი აზრით, პოლიტიკისგან შორს უნდა იყოს შოუბიზნესიც, სპორტიც. თუ რომელიმე ხელოვანს რომელიმე პარტიის მიმართ აქვს სიმპათია, ეს არჩევნებზე უნდა დაფიქსიროს.

- და საარჩევნო კონცერტებზე არ უნდა გამოვიდეს?

- გამოსვლის ფორმასაც გააჩნია. როცა უყურებ იმ ავადსახსენებელ კადრებს, რაც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინა და ამის მერეც მათი მხარდამჭერი ხარ, გამოდიხარ და ხალხს ამ ავადმყოფური რეჟიმის მხარდაჭერისკენ მოუწოდებ, ე.ი. გული არ გაქვს. მაგრამ მე ამ ადამიანებისაც მესმის და გეტყვით რატომ. ისინი იყვნენ მძევლები იმ მთავრობისა. ყველამ იცის რა შანტაჟს უწყობდნენ არა მხოლოდ მომღერლებს, არამედ ბევრ საზოგადო მოღვაწეს. ეს სხვა თემაა და შორს წაგვიყვანს... არავის ეგონოს, რომ მე ნიაზ დიასამიძე, როგორც მომღერალი არ მომწონს. ვაფასებ და ბევრი მისი სიმღერა მიყვარს. ჩემთვის მიუღერებელი იყო ის, რომ ნიაზ დიასამიძე გამოდის თბილისობის დღესასწაულზე კონცერტზე და პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს. „რუსთავი 2“-ს მხარი დაუჭირეთო, რომ ამბობს, ეს ჩემთვის პოლიტიკური განცხადებაა. სად იყო ნიაზ დიასამიძე მაშინ, როცა „იმედში“ შევარდა სპეცნაზი, მიწაზე დააწვინეს ჟურნალისტები და შეურაცხყოფა მიაყენეს? მე მახსოვს 2007 წლის აქციების დროს ეს მომღერალი, ნასვამ მდგომარეობაში, როცა გალახვას გადაურჩა.

- რისი თქმა გინდა, რადგან ნიაზ დიასამიძე მომღერალია, არ აქვს უფლება ჰქონდეს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია?

- მე არ მგონია ამ კონცერტის ორგანიზატორებს ნიაზისთვის დაევალებინათ, სცენაზე გამოდი და „რუსთავი 2“-ს მხარი დაუჭირეო.

- ანუ, ვინაიდან ეს კონცერტი მთავრობის მიერ იყო ონგანიზებული, ამიტომ არ ჰქონდა ამის თქმის უფლება?

- მთავრობა არაფერ შუაშია. მომღერალმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს, მას სიმღერა ევალებოდა და არა ლოზუნგებით გამოსვლა სცენაზე.

- მაგრამ, ჩვენ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სიტყვის თავისუფლებისკენ მივილტვით...

- თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და მადლობა ღმერთს, რომ დემოკრატიისკენ მივდივართ. მაგრამ რატომ არ დაუდგა ნიაზ დიასამიძე გვერდით ქართველ ხალხს მაშინ, როცა მართლა მოხდა დარბევა და როცა მართლა წაართვეს ვიღაცებს ქონება. 100 %-ით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტელევიზია ქიბარ ხალვაშის არის და ის მას წაართვეს. ამაში ეჭვი არ მეპარება. დღეს სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ვფიქრობ მომღერლები უნდა გაემიჯნონ ამ ამბავს. თუ „რუსთავი 2“ ჩაატარებს კონცერტს, გამოდი და რაც გინდა ის თქვი, მაგრამ როცა თბილისის მერია გეპატიჟება კონცერტზე, გიხდის ჰონორარს, შენ გამოდიხარ და „რუსთავი 2“-ს მხარდაჭერას უცხადებ, თან ხალხს მოუწოდებ მხარდაჭერისკენ, მიუღებელია ჩემთვის. რა გამოვიდა, კაი ტიპია? კაი, რაა.

„ნიკა გვარამიაც ისეთივე ჯალათია, როგორიც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები“

- შენს სტატუსში ნახსენები იყო ოთო ნემსაძე, სალომე ბაკურაძე. ვინ ბლოკავს მათ?

- მე ვთქვი, რომ ბევრი ნიჭიერი მომღერალი იბლოკება. ამ კონცერტზე არ იყო არც ოთო და არც სალომე. ეს ცუდი ფაქტია. რომ ვიცოდე ვინ ბლოკავს, არ მოვერიდებოდი, პირდაპირ მივიდოდი და ვკითხავდი, რატომ აკეთებს ამას. ასეთი ადამიანი ვარ, არავისი არ მეშინია, თავის დროზე პრეზიდენტს ვუვარდებოდი რესტორანში. იმას არ ვამბობ, რომ თბილისობის კონცერტზე უნიჭო მომღერლებმა იმღერეს, რა სისულელეა, ყველას პატივს ვცემ ვინც ამ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, იმის თქმა მინდა, რომ სხვა ბევრი სახლში დარჩა.

- ამბობ, რომ პოლიტიზირებული არ უნდა იყოს მომღერალი და ამ დროს თავად ჰყოფ მათ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით... მაგალითად, რა ქნას ნინი ბადურაშვილმა, რომელიც მანამდე ნაციონალების მხარდამჭერ არაერთ კონცერტზე გამოსულა, დღეს სახლში დაჯდეს? ეს მისი სამსახურია, მისი საქმეა... და ასეთი ბევრია...

- ნინის ძალიან კარგად ვიცნობ და პატივს ვცემ. ის საერთოდ არ მიგულისხმია ამ სიტუაციაში. ნინი თუ მღეროდა ნაციონალების კონცერტებზე, დღეს „ოცნების“ დროშით არ დარბის. ნაციონალების დროს ლელა წურწუმიაც მღეროდა და არც ის დარბის დღეს „ოცნების“ დროშით. ყველას შეუძლია ყველა დღესასწაულზე იმღეროს. მაგრამ როცა პარტიული კონცერტი ჩატარდება, იქ მათი გამოჩენა უბრალოდ სასაცილო იქნება. მთელი ჩემი ოჯახი, ჩემი ცოლიც კი „ოცნების“ მომხრეები ვართ. ხვალ, პირი ქვისკენ მიქნია, და ეს მთავრობა რომ შეიცვალოს და ჩემმა ცოლმა ირაკლი ალასანიას უმღეროს, ეს არ იქნება უთავმოყვარეობა?

- მაგრამ მთავრობები ხომ უშვებენ შეცდომებს, ადამიანების შეხედულებებიც ხომ იცვლება...

- მთავრობამ შეიძლება დაუშვას შეცდომა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც დაუშვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მე არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ არ უშვებს შეცდომას. შეცდომაა თუნდაც ის, რომ რასაც აკეთებს, იმას არ ამბობს. შეცდომაა ისიც, რომ დღემდე არიან ძალოვან სტრუქტურებში ის თანამშრომლები, რომლებიც აქციებზე გადიოდნენ და ხალხს თავში ურტყამდნენ. შეცდომაა ისიც, რომ ის მომღერლები იბლოკებიან, რომლებიც ნიჭიერები არიან. მაგრამ მომღერალმაც თავისი საქმე უნდა იცოდეს, სადაც გამოდის, რომელ რეგიონშიც მღერის, იმ ხალხს უნდა მოეფეროს, მათ უნდა უმღეროს და არა „რუსთავი 2“-ს.

- უბრალოდ, მინდა შეგახსენო, ეს ის „რუსთავი 2“-ია, რომელმაც შენი ცოლი გაგვაცნო „ჯეოსტარის“ წყალობით...

- ეს ის „იმედი“ იყო, რომელიც ბადრი პა-

„შეინახეთ ეს ჩანაწერი და გამახსენეთ, თუ ოდესმე სიტყვას გადავალ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„ხვალ, პირი ქვისკენ მიქნია, და ეს მთავრობა რომ შეიცვალოს და ჩემმა ცოლმა ირაკლი ალასანიას უმღეროს, ეს არ იქნება უთავმოყვარეობა?“

„ისეთი ბრძოლა და ცხოვრება გამოვიარე წინა ხელისუფლების დროს, რომ აღარაფრის მეშინია“

„გვარამიამ, მაშინ, როცა მთავარი პროკურორი იყო, როცა ჩვენ სიტყვის თავისუფლებისთვის და ჩვენი აზრის გამოხატვისთვის ვიბრძოდით, მოღალატეები და რუსეთის ჯაშუშები გვიწოდა“

„სად იყო ნიაზ დიასამიძე მაშინ, როცა „იმედში“ შევარდა „სპეცნაზი“, მიწაზე დააწვინეს ჟურნალისტები და შეურაცხყოფა მიაყენეს? მე მახსოვს 2007 წლის აქციების დროს ეს მომღერალი, ნასვამ მდგომარეობაში, როცა გალახვას გადაურჩა“

ტარკაციშვილმა გააკეთა, კაცმა, რომელმაც კარიერა აუწყო ბევრ მომღერალს და ფინანსურად დაუდგა გვერდით. მაგრამ სულში ჩააფურთხა ბევრმა, ისე მოკვდა, ერთს არ გამოუჩენია გულისტკივილი. როცა სოფო „რუსთავი 2“-ზე გამოჩნდა, სხვა ხელმძღვანელობა ჰყავდა ამ ტელევიზიას...

- მიშა, შენ შეურაცხყოფა მიაყენე კონკრეტულ ადამიანებს. მე კიდევ კორექტულად გადმოვიტანე შენი სიტყვები გაზეთში...

- ნიკა გვარამიას თუ გულისხმობ, ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ. ნიკა გვარამიამ მაშინ, როცა მთავარი პროკურორი იყო, მოღალატეები და რუსეთის ჯაშუშები გვიწოდა, როცა ჩვენ სიტყვის თავისუფლებისთვის და ჩვენი აზრის გამოხატვისთვის ვიბრძოდით. მაშინ სპეცრაზმმა უმოწყალოდ დაგვარბია. ეს არ იყო შეურაცხყოფა? ეს ის ნიკა გვარამიაა, დღეს „რუსთავი 2“-ს რომ იცავს ვითომ. ნიკა გვარამიაც ისეთივე ჯალათია, როგორიც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები.

- ქართული კანონმდებლობით სიტყვიერი შეურაცხყოფა ისჯება. არ გეშინია?

- ერთადერთი, ღმერთის მეშინია, რომ ისეთი არაფერი შევცოდო, რომ არ მაპატიოს. სხვა არავისი და არაფრის მეშინია. ისეთი ბრძოლა და ცხოვრება გამოვიარე წინა ხელისუფლების დროს, რომ აღარაფრის მეშინია.

- რა გამოიარე?

- „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი ვიყავი, 2004-5 წლიდან ძალიან ბევრი ტკივილი და ბევრი ტანჯვა. ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს ვიცავდი. ვითხოვდით გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელების დასჯას. იყო გატაცებები, დაჭერები. ბოლოს 4 თვე პატიმარიც ვიყავი, ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით.

- ჩაგიდეს?

- არა, ჩემთან ჩადება გამორიცხული იყო. მთელი ცხოვრება ჯანსაღი ცხოვრებით ვცხოვრობ, სიგარეტიც კი არ მომიწევია, წამალზე და იარაღზე ზედმეტია ლაპარაკი. მე ვერაფერს ჩამიდებდნენ.

- ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტის „ჩადებას“ ვგულისხმობდი...

- ჰო, ასე გამოდის, ჩამიდეს. ძალიან ბევრი ტანჯვა გამოვიარე ციხეში. საშინელებაა, როცა უსამართლოდ შვიდ კვადრატში ხარ გამომწყვდეული. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

- მიშა, რომ არ ყოფილიყავი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, იგივენაირი იქნებოდა შენი რეაქცია ნიაზ დიასამიძის გამოსვლაზე?

- მე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი არ ვიყავი, მაგრამ მათი პოლიტიკა თავიდან მომწონდა. მაგრამ როცა ეკლესიებში შევარდნა და ადამიანებისთვის ქონების წართმევა დაიწყეს, აღარ მომეწონა. პროტესტმა გამომიყვანა ქუჩაში. არავის ეგონოს, რომ რომელიმე პარტიის მონა გავხდები. ღმერთმა დაიფაროს და ხვალ „ქართულმა ოცნებამ“ იგივე რომ გააკეთოს, რასაც ესენი აკეთებდნენ, მათ წინააღმდეგ გამოვალ. შეინახეთ ეს ჩანაწერი და გამახსენეთ, თუ ოდესმე სიტყვას გადავალ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ასე მესმის მე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



როგორ შემოიტყუეს საბჭოთა კავშირში ადამიანი, რომელმაც „ელჩთა შეთქმულება“ მოაწყო?

გვერდი მოამზადა მირიან ბოქოლიშვილმა

როგორ დაიღუპა ჯეიმს ბონდის რეალური პროტოტიპი?

ბრიტანელები დარწმუნებულნი არიან, რომ იან ფლემინგმა თავისი ჯეიმს ბონდის სახე შოტლანდიელი მზვერავისგან გამოძერწა. რუსეთში კი იციან, რომ „აგენტ-007“-ის პროტოტიპი უკრაინელი ებრაელი მზვერავი, ხერსონში დაბადებული ზიგმუნდ (გიორგი) როზენბლუმი იყო.



სიტყვები „არავის ენდო!“ სწორედ როზენბლუმს ეკუთვნის, რომელსაც მსოფლიო უფრო სიდნეი რაილის სახელით იცნობს. მიუხედავად ამისა, ის თავად ენდო სხვას... თანაც ვის?! საბჭოთა ჩეკისტებს. შედეგად კი 1925 წლის ნოემბერში, მოსკოვის „სოკოლნიკის“ ბილიკებზე სეირნობისას, ზურგში უცნობი ჩეკისტის ტყვია მიიღო.

მაინც, როგორ შემოიტყუეს საბჭოთა კავშირში ადამიანი, რომელმაც „ელჩთა შეთქმულება“ მოაწყო? რომელიც 1918 წლის 3 დეკემბერს გაასამართლეს, სიკვდილი მიუსაჯეს, ის კი დახვრეტას პირდაპირ ციხიდან გაექცა? რატომ ვერ დაეტია თავის ლონდონში, ან აშშ-ში, სადაც მორიგ ცოლთან ერთად ცხოვრობდა? მართალია თუ არა, რომ სწორედ მისი მონათხრობიდან შექმნა იან ფლემინგმა „აგენტ-007“-ის – ჯეიმს ბონდის დაუვიწყარი სახე?

ოპერაცია „ტრესტის“ ავტორი არტურ არტუზოვი გახლდათ. მისი იდეა „შეფს“ – ფელიქს ძერჟინსკის ძალიან მოეწონა. ოპერაციის არსი შემდეგში მდგომარეობდა: საბჭოთა კავშირში უშიშროების მიერ ფიქციურად იქმნებოდა „რუსეთის ცენტრის მონარქიული ორგანიზაცია“ (МОЦР, ქართულად – „რცმო“). ამ ორგანიზაციას წლების განმავლობაში თვალი უნდა აეხვია ე.წ. „თეთრი ემიგრაციისთვის“, მათი განფენის მთავარ ქვეყნებში, ესტონეთიდან საფრანგეთამდე – მათ უნდა ჰგონებოდათ, რომ რუსეთში აღმოცენდა ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც ესესაა ბოლშევიკების ხელისუფლებას დაამხობს, მონარქიას აღადგენს და ქვეყნის სათავეში მოვა; მის შემადგენლობაში ტროცკისტები და ესერები კი არა, ნამდვილი მონარქისტები არიან და ემიგრანტთა ფუნქცია მხოლოდ ისაა, რომ მათ ამ ორგანიზაციას გარედან ხელი არ შეუშალონ.

ემიგრანტებს ეს გზავნილი „სანდო არხით“ – მოქმედი სტატს-მრჩევლის ალექსანდრე იაკუშევის პირით გაუხმოვანეს. შედეგად, ნიკოლოზ მეორის ბიძით, ნიკოლაი ნიკოლაევიჩით დაწყებული, მენერალ კუტეპოვით დამთავრებული, ყველა გავლენიანი ემიგრანტი მახეში გაება, გაიტრუნა და რუსეთში პოლიტიკურ ცვლილებებს დაუწყო ლოდინი.

რატომ მოტყუვდნენ ემიგრანტები? ალბათ, იმდენად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეამბოხე სულის დისიდენტი სახელმწიფო უშიშროების მოქმედი კაპიტანი აღმოჩნდა

EXCLUSIVE

პაროდიულად ეჩვენებოდათ თავად კომუნიზმის იდეა და, თანაც, ისე სურდათ სამშობლოში დაბრუნება, რომ სასურველი რეალობად მიიჩნიეს. ამასთანავე, ჩეკისტთა საკადრო შემადგენლობაში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, რომლებიც ისე კარგად იყვნენ ერთმანეთთან შეთამაშებული, რომ მათ დადგმულ სპექტაკლს, თავისი „არ მჯერა“-თი, ცნობილი ლეგენდარული რეჟისორი სტანისლავსკიც დაუჯერებდა.

მოკლედ, რაილი სწორედ იაკუშევმა „დაამუშავა“. ამასთანავე, იაკუშევს მისი საბჭოთა კავშირში შეტყუება დავალებული არ ჰქონდა. მზვერავს განუმარტეს, რომ რაილი პროფესიონალია, მასთან სიფრთხილეა საჭირო და ამიტომ ამოცანა ურთულესია. შესაბამისად, ოპერაციის მსვლელობა და გადაწყვეტილებების ადგილზე მიღება თავად იაკუშევს მიანდვეს.

რაილი საბჭოთა კავშირში გამგზავრებას არც აპირებდა. მეტიც, მას უკვე აღებული ჰქონდა თბომავლის ბილეთები და 1925 წლის 30 სექტემბერს მეუღლესთან ერთად ფრანგული შერბურიდან აშშ-ში უნდა გამგზავრებულიყო. სწორედ ამ მიზეზით, მან თავდაპირველად უარით გაისტუმრა იაკუშევი, რომელიც მას საბჭოთა ვოიაჟს დაჟინებით სთავაზობდა. თუმცა, იაკუშევი არ დანებდა. მან რაილის სუსტი ადგილი უპოვა: პროფესიონალი მზვერავი ერთობ თავდაჯერებული და ამბიციური იყო, რამაც საბოლოოდ დაღუპა კიდეც. იაკუშევმა მისი სისუსტე სათავისოდ გამოიყენა და რაილი დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მონარქისტთა მიერ დაგეგმილ ოპერაციას ის სულ რაღაც 4 დღეში შეასრულებდა და თბომავლის ბილეთების გადაცვლა არც კი დასჭირდებოდა. ცდუნებამ, რომ რაილი ასე უცებ მოასწრებდა იმ საქმეს, რომელსაც სხვები რამდენიმე კვირას მოანდომებდნენ, მზვერავი მოხიბლა და ის საკუთარი თავდაჯერებულობის მახეში გაება.

რაილი მოსკოვში აიყვანეს. თავიდან მან მუქარა მოსინჯა: „ინგლისელი ოფიცრის დაპატიმრებას საბჭოთა კავშირს არავინ აპატიებს“, „აი, ინგლისში გაიგებენ“ და ა.შ. თუმცა, მას სასწრაფოდ აჩვენეს გაზეთი, სადაც ეწერა, რომ რაილი 1925 წლის 29 სექტემბერს, ფინეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას, ორმხრივი სროლისას დაიღუპა... უკვე 30 სექტემბერს რაილიმ ძერჟინსკის წერილით მიმართა, რომელშიც „რკინის ფელიქსს“ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა და სამომავლო თანამშრომლობა შესთავაზა.

თუმცა, საბჭოთა ხელისუფლებას მასთან დაკავშირებით თავისი გეგმები ჰქონდა. მიუხედავად გულახდილი აღიარებებისა და უამრავი სასარგებლო ინფორმაციისა, რომელიც მან საბჭოთა დაზვერვას მიაწოდა, საბჭოთა ხელმძღვანელობა რაილისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას არ აპირებდა. ეს უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი – სწორედ ამისთვის დასჭირდათ მათ ორმხრივი სროლის ინსცენირება ფინეთის საზღვართან. რაილიმ მაინც სცადა სიცოცხლის გადარჩენა – დაკითხვებზე საბჭოთა ოფიცრები სიმპათიით განმსჭვალა, დაუმეგობრდა მათ და ბევრი საინტერესო იდეა ჩააწოდა.

სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შიში იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ინფორმაცია რაილის პატიმრობის შესახებ ინგლისში ჩააღწევდა, საბჭოთა ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევდა. შედეგად, 1925 წლის 5 ნოემბერს რაილი, ჩვეულებისამებრ, სასეირნოდ გაიყვანეს... მას, ხელმძღვანელობის ბრძანებით, ტყვია ერთ-ერთმა მცველმა – იბრაჰიმ აბისალოვმა დაახალა.

პროდასავლურ ნიღაბს ამოფარებული საბჭოთა მზვერავები

ეს არის ორი საბჭოთა ჯაშუშის ისტორია, რომლებიც „რადიო თავისუფალი ევროპის“ პროდასავლურ ჟურნალისტებად ინიღბებოდნენ. ერთი მათგანი პოლონეთში მოღვაწეობდა, მეორე კი – ჩეხეთში.

როცა „წითელი არმია“ ლიტვაში შევიდა, პოლონური წარმოშობის ჩეხოვიჩების ოჯახი რეპრესიებში მოყვა და ისინი ყახაზეთში გადაასახლეს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მათ პოლონეთში გაღწევა მოახერხეს, სადაც ახალგაზრდა ანჯეიმ ვარშავის უნივერსიტეტში ჩააბარა და ისტორია შეისწავლა.

სტუდენტობისას ანჯეი ე.წ. „თავისუფალი აზროვნებით“ გამოირჩეოდა, რაც საბჭოთა ბანაკში უკიდურესად გაკიცხვად თვისებად მიიჩნეოდა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ანჯეი ჩეხოვიჩმა დისიდენტობა დაიწყო, რის გამოც ის სამსახურიდან გააგდეს და მისი ცხოვრება დაპატიმრება-დაკითხვების ციკლად იქცა. მალე მან მოახერხა დასავლეთ გერმანიაში გაქცევა და მუშაობა „რადიო თავისუფალ ევროპაში“ დაიწყო. მისი გადაცემები ანტისაბჭოთა პროპაგანდით გამოირჩეოდა, სადაც ის პოლონეთის წითელ ხელისუფლებას აცამტვერებდა... ასე გრძელდებოდა 1971 წლამდე, როცა უეცრად პროდასავლური ორიენტაციის ჟურნალისტი ვარშავის რადიოში გამოჩნდა და „რადიო თავისუფალ ევროპას“ ისე შეუტია, რომ მთელი პოლონეთის მასშტაბით შეარცხვინა.

დისკრედიტაციამ წარმატებით ჩაიარა. გასაგები გახდა, რომ ჩეხოვიჩის დაპატიმრებები და მისი „გაქცევა“ დადგმული სპექტაკლი იყო – მეამბოხე სულის დისიდენტი სახელმწიფო უშიშროების მოქმედი კაპიტანი აღმოჩნდა.

მეორე ისტორია ჩეხოსლოვაკიელი ჯაშუში პაველ მინარიკი იყო. მისი ცხოვრებაც ჩეხოვიჩის მსგავსად წარიმართა, დისიდენტობისა და დასავლეთ გერმანიაში გაქცევის შემდეგ ისიც „რადიო თავისუფალი ევროპის“ რედაქციაში აღმოჩნდა.

მინარიკი მხიარული, კომუნიკაბელური ახალგაზრდა იყო. მის კოლეგებს ისე შეუყვარდათ, რომ 1976 წელს, როცა მან, ჩეხოვიჩის მსგავსად, რადიოს დისკრედიტაციას მიჰყო ხელი, მისი ღალატი არავის სჯეროდა. „ალბათ, რაღაც მოხდა, თორემ ის ისეთი ადამიანია, ღალატს არ იკადრებდა!“ – ირწმუნებოდა მისი გარემოცვა. იმედები მხოლოდ მას შემდეგ გაუცრუვდათ, რაც „საიდუმლო“ გრიფმოხსნილი დოკუმენტები ნახეს. როგორც გაირკვა, მინარიკი აქტიური ჯაშუში იყო და გამუდმებით ცდილობდა, ცენტრი სხვადასხვა ოპერაციაზე „დაეყოლიებინა“. ერთ-ერთი მისი ინიციატივა „რადიო თავისუფალი ევროპის“ დანაღმვა და აფეთქება იყო... მისი „მეგობარი“ თანამშრომლებიანად. მეორე საინიციატივო წერილით ის ცენტრისგან მის მიერ თვითნებურად გაშიფრული უშიშროების გაქცეული აგენტის ლიკვიდირების უფლებას მოითხოვდა.

საინტერესოა, რომ რევოლუციის შემდეგ მინარიკს, მისი „სისხლიანი“ ინიციატივების გამო, დაპატიმრება დაუპირეს, მაგრამ ტერაქტის გეგმა ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ტერაქტი, ამიტომ მინარიკი პასუხისგებას დროებით გადაურჩა. თუმცა, სასჯელი მას მეორე მხრიდან წამოეწია: უკრაინაში მოულოდნელად მისი კუთვნილი დაზღვეული ტვირთი – ოპტიკური ბოჭკო დაიწვა, სასამართლომ კი დაასკვნა, რომ უკრაინაში არავითარი ოპტიკური ბოჭკო არ ყოფილა... და მინარიკი თაღლითობისთვის ჩასვეს.

პრინციპში, ჯაშუშების შემთხვევაში სულ ასე ხდება – მათ მიერ ნამდვილად ჩადენილი დანაშაულისთვის პროფესიონალი ჯაშუშების დაკავება ხომ, როგორც წესი, ვერ ხერხდება ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N42 (343), ორშაბათი 26 ოქტომბერი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



„ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ბევრი ცუდი გაეკეთებინათ ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის“

exclusive

რეზო ჩხიკვიშვილის ცხოვრებისეული გამოცდილება

exclusive

გია ყანჩელის 80 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში შედგა

exclusive

რის გამო იხდიდა სასჯელს სოფო ბედიას ქმარი

„არავისი არ მეშინია, თავის დროზე პრეზიდენტს ვუვარდებოდი რესტორანში“

exclusive

„სად იყო ნიაზ დიასამიძე მაშინ, როცა „იმედში“ შევარდა „სპეცნაზი“, მიწაზე დააწვინეს ჟურნალისტები და შეურაცხყოფა მიაყენეს? მე მახსოვს 2007 წლის აქციების დროს ეს მომღერალი, ნასვამ მდგომარეობაში, როცა გალახვას გადაურჩა“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

„ვოისის“ მონაწილე „ბინგო“, რომელიც ანრი ჯოხაძემ გადაარჩინა

exclusive

„რომ გითხრა, მესიამოვნებოდა, ჩემი ცოლი რომელიმე სასიყვარულო სცენაში მენახა-მეთქი, მოგატყუებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება